ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



www.ilori.ge

№134 (193) 30 აგვისტო - 6 სექტემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს!

ბატონო პრეზიდენტო,

ამ წერილს გწერთ 70 წელს მიღწეული ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ჟურნალისტიკას, პუბლიცისტიკას და მწერლობას მიუძღვნა.

მაქსიმალურად მოვერიდები დიდაქტიკურ ტონს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ასაკის ადამიანს აქვს მასზედ ბევრად ახალგაზრდა კაცის დამოძღვრის მორალური უფლება.

პირველ რიგში ხაზს გავუსვამ თქვენს გასაოცარ უნარს, ბრწყინვალედ ფლობდეთ რამდენიმე უცხო ენას, რაც თავისთავად სიმპათიის გამომწვევია ფართო საზოგადოებისათვის. მაგრამ მხოლოდ ენების ცოდნით შორს ვერცერთი სახელმწიფოს მეთაური ვერ წასულა. სახელმწიფოს მეთაურს სჭირდება საზოგადოების მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის ზედმიწევნით კარგად ცოდნა, მაგრამ არა იმისთვის, რომ დათრგუნოს საზოგადოება, მოახდინოს მასის ზომბირება და მასზე მინდობილი ხალხი გამოიყენოს საკუთარი ნების ბრმა შემსრულებლად.

ნუთუ ისე უნდა გალიოთ თქვენი რვაწლიანი პრეზიდენტობა, რომ ერთხელ მაინც არ უთხრათ სიმართლე ქართველ ხალხს? თუმცა, არც ეს გაგვიკვირდება თქვენგან, რადგან იმ ედუარდ შევარდნაძის აღზრდილი და დაკვალიანებული ხართ პოლიტიკაში, რომელსაც თავისი მეცხრე ათეული წლის სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ არ ყოფილა გულწრფელი ქართველი ერის მიმართ და მუდამ ატუტუცებდა მას.

დღეს, როცა თქვენი დანაშაულებრივი კლანების მიერ მონოპოლიზებულია მთელი ქართული სასიცოცხლო არე, როცა კომუნალური გადასახადები, კვების პროდუქტები და სხვა პირველადი მოხმარების საგნების ფასები კონკურენტული სფეროს განადგურების გამო უსაშველოდაა გაბერილი და ქართველი ერის გაღატაკების მართულ პროცესებს დიდად უწყობს ხელს, განსაკუთრებით ცინიკური და გულისამრევია თქვენი რიხიანი განცხადებები იმის თაობაზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვერით კორუფცია საქართველოს უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში.

თქვენ ალბათ არ იცით, ან იცით, და შეგნებულად გვიმალავთ, რომ სახელისუფლებო მონოპოლიაზე ბინძური კორუფცია ქვეყნად არ არსებობს, რადგან კორუფციონერ ჩინოვნიკთან ურთიერთობაში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მოქალაქე ზარალდება, თქვენს მიერ დანერგილ კორუფციულ-მონოპოლიური სისტემას კი დაუძლურებამდე და განადგურებამდე მიჰყავს მთელი ქართველი ერი.

ამის შემდეგ, როგორ აძლევთ თავს უფლებას, რომ საქართველოში კორუფციის დამარცხებაზე ისაუბროთ, როცა თქვენი და თქვენი გარემოცვის წყალობით დღეს კორუფცია არნახულ სიმაღლეებამდეა ასული და წურბელად აზის კისერზე ყველა ქართულ “არანაციონალურ” ოჯახს!

ნუთუ მართლა ასეთი უბადრუკი და ბეჩავი გგონიათ ქართველი ერი?

ვითომ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეთ კრიმინალურ სამყაროს, მაგრამ ხელისუფლებაში გყავთ ისეთი პირები, რომელთაც მრუმე შლეიფად მოჰყვებათ კრიმინალური წარსული! როგორც შეიძლება ხელისუფლებას “ამშვენებდნენ” მკვლელები და ბნელი წარსულის მქონე ადამიანები. განა არ იცით, რომ ბუნებაში არ არსებობს ყოფილი მკვლელი, რომ მკვლელი ყოველთვის მკვლელად დარჩება, რომ მგელი მგლობას არასოდეს მოიშლის, რაოდენ რბილი ცხვრის ტყავითაც არ უნდა შეიმოსოს?

ან იმაზე რა უნდა ვიფიქროთ, საქართველოს პარლამენტი რომ ქუთაისში გადაგაქვთ, რასაც შემდეგ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა მოჰყვება? რატომ გგონიათ, ქართველებმა არ ვიცით, რომ ამით თქვენ ახორციელებთ სომეხთა მრავალსაუკუნოვან მზაკვრულ ოცნებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს დედაქალაქი დასავლეთ საქართველოში გადაიტანონ, თავად კი აღმოსავლეთ საქართველოს დაეპატრონონ? ხომ იცით, რომ ამ გეგმას სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ხანჟიანი შეეწირა! ამიტომ, მამაშვილურად გირჩევთ, რომ თქვენც ფრთხილად იყოთ, როცა საქართველოს დაშლის წინაპირობას ქმნით და საფრთხის ქვეშ აყენებთ ქვეყნის ერთიანობას, რასაც ქართველი ერი არც დაუშვებს და არც არასოდეს გაპატიებთ!

განა თქვენი მზაკვრული გეგმის ნაწილი არ იყო 2008 წლის უაზრო ომის დაწყება, რამაც ფაქტობრივად იურიდიულადაც დაგვაკარგინა აფხაზეთი და სამაჩაბლო. განა სწორედ თქვენი მზაკვრული გეგმით არ ყოვნდება აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების პროცესი, რათა იქ შეთესლილმა 80.000-მა სომეხმა რაიმე დისკომფორტი არ იგრძნოს? განა ამიტომ არ ცდილობთ, ყველა ძალისა და ვერაგობის გამოყენებით, არ დაუშვათ თუნდაც სახალხო დიპლომატიის აღდგენა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის?

სომხურ უმადურობაზე ჩვენ არაერთხელ გაგვიმახვილებია ყურადღება და არ განვმეორდებით, მაგრამ ორი ფაქტი მაინც უნდა შეგახსენოთ.

დიდი საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი თბილისში დაიბადა და აღიზარდა, დედამისი დამლაგებლად მუშაობდა რუსთაველის თეატრში და ლამის მთელი დასი ეხმარებოდა შვილისათვის სათანადო განათლების მიცემაში. შემდეგ, როცა პეტროსიანი სახელგანთქმული მოჭადრაკე გახდა, თბილისი და ქართველები ერთხელაც არ უხსენებია და ერთ-ერთ გაზეთში განაცხადა: “მე ყველაფერი სომხეთმა მომცაო”!

რაც შეეხება კინორეჟისორ ფარაჯანოვს, იგი სომხებმა ჯერ კიდევ 1966 წელს მოიძულეს წინაპრებზე გადაღებული მხატვრული ფილმისათვის. ცხოვრობდა თბილისში, კიევში კი ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და რვა წელი ციხის კედლები ახეხინეს. პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ ფარაჯანოვი თბილისში დაბრუნდა. კინოსტუდია “ქართული ფილმის” დირექტორმა ბატონმა რეზო ჩხეიძემ ანგარიში არ გაუწია საბჭოთა ოფიციოზის უარყოფით დამოკიდებულებას ამ პიროვნებისადმი, რაც შეიძლებოდა საკმაოდ ძვირად დაჯდომოდა. მან ფარაჯანოვს დაუფინანსა ფილმი, მაშინ, როცა ქართველი კინორეჟისორები უსახსრობის გამო ფილმების გადაღებას ვერ ახერხებდნენ. ვიდრე გარდაიცვლებოდა, ფარაჯანოვმა დაიბარა, მშობლიურ ერევანში დამასაფლავეთო. არავის უხსენებია ის სიკეთე, რაც რეზო ჩხეიძემ და ქართველებმა მიჰმადლეს ყველასაგან, მათ შორის სომხებისგანაც შერისხულ ფარაჯანოვს. უფრო მეტიც, ამას წინათ, საქართველოში სომხური დიასპორის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, სულდამახინჯებულმა ვიღაც არნოლდ სტეპანიანმა მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს, სხვა სახელოვან მოღვაწეებს და სასულიერო პირებს (მათთან ერთად – მეც, ჩემთვის კი საამაყოა ამ ადამიანების გვერდით თუნდაც უარყოფით კონტექსტში მოხსენიება, თანაც გააჩნია – ვისგან – რ.ჯ.) ქსენოფობიასა და სომეხთმოძულეობაში დასდო ბრალი.

როგორ დავიჯერო, რომ მართლაც ასეთი სულმოკლე, ნაძირალა და უმადურია სომეხი ერის რეაქციული ნაწილი, რომელთა საზიზღარმა ინტრიგებმა არაერთი უბედურება დაატეხა თავს სომხეთის მშვიდობიან, უდანაშაულო მოსახლეობას!

ნუთუ თურქეთთან სომეხი რეაქციონერების დაპირისპირებამაც ვერ გასწავლათ ჭკუა. განა ისტორიულად არ არის დამტკიცებული, რომ სომეხთა საზარელი ხოცვა-ჟლეტვის ინიციატორები და სულისჩამდგმელები სწორედ სომეხი რეაქციონერები იყვნენ? თუ ამ სიტყვების რეალობაში ეჭვი შეგეპარებათ, გირჩევთ წაიკითხოთ დიდი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კავკასია”, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ თურქეთში დატრიალებული ტრაგედიის მოთავეები სწორედ სომეხი რეაქციონერები და მათ მიერ გამოკვებილი სომეხი ტერორისტები იყვნენ!

განა ტერორი არ არის ის ძალადობა, რასაც თქვენ და თქვენი გუნდის წევრები ახორციელებთ ქართული მოსახლეობის მიმართ? მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ საპროტესტო აქციების დაუნდობლად დარბევა და უდანაშაულო ახალგაზრდების ქალაქის ცენტრში ჩაცხრილვა, არამედ ის გეგმაზომიერი ეკონომიკური ანტიპოლიტიკა, რომელიც აიძულებს ქართველ ადამიანს, რომ სამშობლო უკანმოუხედავად დატოვოს და სადღაც დასაკარგავში წავიდეს ლუკმა-პურის საძიებლად!

მართლაც, ასე რამ შეგაზიზღათ ქართველი ერი?

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიაში სოციალური ვითარება დამძიმდა და ხალხი ღიად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, შავრაზმელური ძალის იმედად მყოფ იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს დიდმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ წერილი მისწერა (ღმერთმა დამიფაროს ამპარტავნობისაგან, რომ საკუთარი თავი ოდნავ მაინც შევუდარო ამ დიდ მწერალსა და მოაზროვნეს). არა მგონია, თქვენ გაცნობილი იყოთ ამ წერილის ტექსტს, სადაც მწერალი მამა-შვილურად მოძღვრავდა იმპერატორს და შავრაზმელური პოლიტიკის შეცვლას ურჩევდა ხალხისადმი უფრო ტოლერანტული დამოკიდებულებით. თან აფრთხილებდა, რომ მასებში ზიზღის მუხტი მძლავრდება, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვისო! ამბიციურმა ნიკოლოზ მეორემ, რა თქმა უნდა, არ გაიზიარა დიდი მწერლის რჩევა და რუსეთის იმპერია სადღრჩობელების ტყედ აქცია. თქვენ შეიძლება გაცნობილი არ იყოთ დიდი რუსი მწერლის ზემოდაღნიშნულ წერილს, მაგრამ ის კი მოგეხსენებათ, თუ რა ბედი ეწია ნიკოლოზ მეორეს და მის ცოლ-შვილს!

საქართველოში დღეს სიძულვილისა და უნდობლობის დიდი მუხტია დაგროვილი ხალხში და ამიტომ, გირჩევთ, შეცვალოთ თქვენი ანტიქართული პოლიტიკა და ყველაფერი იღონოთ საიმისოდ, რომ ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს ხალხის სოციალური მდგომარეობა!

ვერავითარი სტინგი, ჰულიო ეგლესიასი, ბოჩელი თუ სხვა დიდი შოუმენი ვერ დაავიწყებს ხალხს შიმშილს! ამგვარი გართობებით თქვენ შეიძლება დროებით აიყოლიოთ ახალგაზრდობა, მაგრამ როცა ამ კონცერტების ეიფორია ჩაივლის, მაშინ სწორედ ის დამშეული ახალგაზრდები მოგკითხავენ პირველები, თუ რატომ იხარჯებოდა ამ არაფრისმომტან შოუებში სახელმწიფო ხაზინის სახსრები, მაშინ, როცა ეს საკმაოდ დიდი თანხები შეიძლებოდა სოციალურ, განათლების ან ჯანმრთელობის სფეროს მოხმარებოდა?!

გთხოვთ მეტი ყურადღება გამოიჩინოთ საქართველოსა და ქართველებისადმი!

წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ ამ სიძულვილმა იფეთქოს და საერთო ამბოხებაში გადაიზარდოს! ისიც ფაქტია, რომ ზიზღისა და რისხვის დიდ მუხტი ხალხში უკვე დაგროვილია და ღმერთმა არ ინებოს, რომ მისი კუმულირება თქვენი მისამართით მოხდეს! საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად, თქვენ, სამშობლოს ღალატისათვის აქ ვერავინ გაგასამართლებთ, რადგან თქვენი სამშობლო ის სომხეთია, რომელსაც დღემდე ერთგულად და უღალატოდ ემსახურებით, მაგრამ ქართველი ხალხის სამართალი ბევრად უფრო მკაცრი და სამართლიანი იქნება ვიდრე ხალხის სახელით მოქმედი ოფიციალური სასამართლო!

ეს იქნება არა მხოლოდ პირადად თქვენი, არამედ მთელი საქართველოს ტრაგედია!

თქვენ უკვე ამოწურეთ თქვენი შესაძლებლობები, რადგან ქართველმა ხალხმა ალღო აუღო თქვენს პროსომხურ მოღვაწეობას საქართველოს საზიანოდ და რაც უკვე გააფუჭეთ, ამაზე მეტის გაფუჭების საშუალებას აღარ მოგცემთ. ამიტომ, სჯობს შეირგოთ პრეზიდენტობისას ნაშოვნი დიდი ფული და რომელიმე ქვეყანაში მშვიდად გააგრძელოთ ცხოვრება!

იმედია, გაითვალისწინებთ ყოველივეს და თქვენი მასწავლებლის ედუარდ შევარდნაძის მსგავსად სამარცხვინოდ არ დასტოვებთ მაღალ პოლიტიკურ არენას!

ბოლოს და ბოლოს, მუდამ უნდა გახსოვდეთ უძველესი ლათინური შეგონება: თვით ყველაზე დიდი მეფის ტახტზეც კი საჯდომი ზის!

სამუდამო არაფერია ამ ქვეყნად, გარდა დროისა, დრო კი აშკარად აღარ მუშაობს თქვენს სასარგებლოდ!

მანამდე კი, ისიც გახსოვდეთ, რომ თქვენ ნახევრად ქართველი ხართ და თქვენი შესაძლებლობების თუნდაც ნახევარი რომ მოახმაროთ, ჩვენს სამშობლოს და ქართველ ხალხს, ბედნიერებისათვის ესეც გვეყოფა!

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,

**როლანდ ჯალაღანია,**
გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი,
“ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი.
“ჩარეცხილთა” სამოს ერთ-ერთი წარმომადგენელი.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“ გულითადად ულოცავენ ბატონ

**ალექსანდრე ანქვაბს**

დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საერთო ძალისხმევით დაჩქარდება ნდობის აღდგენა აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამ მოძმე ხალხთა მტრები!

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსეული წინაპარი

სამეგრელოს ულამაზეს კუთხეში, სენაკის რაიონის სოფელ მენჯში ცხოვრობდა ცნობილი სახალხო მთქმელი ვლადიმერ სალაყაია. მისი მეგრულენოვანი ლექსები მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საფუძვლად დაედო ბევრ სიმღერას. მოსახლეობა ჩონგურზე და ფანდურზე ასრულებდა მათ. მაგალითად **"სისა ტურა", "მეჩონგურე ქალები", "შენ ვარდს სჯობიხარ","სიყვარულისგან ნაშობი"** და უამრავი სხვა.

შოთა რუსთაველის 80 წლის იუბილეზე, რომელიც სენაკში შედგა, ვლადიმერ სალაყაიამ წაიკითხა ლექსი **"საქორთუოშ ოცქვაფური"** ანუ **"საქართველოს სადიდებელი"**, რომელიც მალევე იქცა სიმღერად, ჩაიწერა პლასტინკაზე და მოსახლეობა პატეფონის მეშვეობით უსმენდა.

ვლადიმერ სალაყაია ახალგაზრდობაში აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის საქმიანობაში. პირადად იცნობდა აკაკი წერეთელს, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა სენაკში, რადგან აქ გამოთხოვილი იყო მისი და მავრა (იგივე – მარტა). მავრას მეუღლე გახლდათ ალექსანდრე დადიანი.

რადგან ვლადიმერ სალაყაიას ლექსები ზეპირად ან სიმღერების მეშვეობით ვრცელდებოდა ხალხში, მას ასრულებდნენ სხვადასხვა ანსამბლები, ლოტბართა ინიციატივით არა იშვიათად ლექსები იცვლიდა სახეს (ემატებოდა სტროფები, ან იკვეცებოდა). ვლადიმერ სალაყაიას ლექსები გამოქვეყნებულია ხალხური პოეზიის კრებულში, ისინი დასტამბა ხელოვნებათმცოდნე გივი ბოჯგუამ საკუთარ წიგნში, რომელიც დროდადრო ქვეყნდება გაზეთ **„ილორში"**, რაც სასიამოვნო და მისასალმებელია.

გამოქვეყნებული ლექსები ნაწილობრივ განსხვავდება იმ ვერსიისაგან, რომელიც მომაწოდა ვლადიმერ სალაყაიას ახლობელმა, 85 წლის ქალბატონმა ეთერ ეჯიბიამ. ვლადიმერი ქალბატონ ეთერის ბიძა იყო, ყმაწვილქალობაში შეისწავლა უახლოესი მოკეთის ცნობილი ნაწარმოები, რომლებიც დღესაც კარგად ახსოვს და სიამოვნებით ჩამაწერინა.

გთავაზობთ მათ ნაწილს ისე, როგორც ქალბატონმა ეთერიმ მომითხრო. მათ საკუთარი თარგმანი დავურთე, რადგან ზოგჯერ მეგრულენოვანი ნაწარმოებების თარგმნა ხდება პოეტური ინტონაციებისა და რითმების დაცვის გარეშე. იქნებ კლასიკური თარგმანის წესი ამით დავარღვიე, მაგრამ მთავარი იყო ჩემთვის არა მეგრულენოვანი მკითხველის დარწმუნება ავტორის ემოციასა და მხატვრული აზროვნების უნარში.

## სისა ტურა

ვოი, დიდოუდო ნანა სკუა, ნანაშ ჭირი მა,
არკვანიშა მიშამჯანუ ვარდიშ პირი მა.
განმუოწყი შქართუნი დო, ეშვოჯინი მა,
ბჟა დო თუთას ქოგურაფუ,
მუში ჭირი მა.
სისა, ტურა მურსია, ბონდოშ ბიშის ლურსია,
ბონდოშ ბოში ოხუტოლუ,
მუში დიდაშ გურსია.
ბრუია ბონდო, ბრუია ნანა,
ბრუია ბონდო, ნანინა.
ცაშე დონაბადი რექი,
ბჟა დო თუთაშ ნარდი რექი.
ბრუია ბონდო, ბრუია ნანა,
ბრუია ნანინა.

## სისა ტურა

ვოი, დიდოუდო, ნანაია შვილო,
ნანას ჭირი მე.
აკვანში მიწევს ვარდის კოკორი მე.
გადავხადე საბანი და, ჩავიხედე მე.
მზე და მთვარეს შეედრება,
მისი ჭირიმე.
სისა ტურა მოდისო, ბონდოს ბიჭს სძინავსო.
ბონდო ბიჭი ეხუტება, გულსო დედისო.
ბრუია ბონდო, ბრუია ნანა,
ბრუია ბონდო ნანინა.
ციდან ნაშობი ხარ, მზის და მთვარის,
გაზრდილხარ, შენი ჭირიმე.
ბრუია ბონდო, ბრუია ნანა,
ბრუია ნანინა.

**ქალბატონ ეთერის თქმით, ავტორმა ეს ლექსი საკუთარ პირმშოს მიუძღვნა. სამწუხაროდ, ის ვაჟი მდინარე ცივში დაეხრჩო 12 წლის ასაკში.**

## სი ვარდის ვაუჯგუდე

სი ვარდის ვაუჯგუდე,
ზოთონს ვარდი ვავარდენს.
მუჭოიო ვარდის უჯგუქუნ,
მაფშალია ამართლენს.
თეცალი მაჭუალსი,
ღორონთ განგებ აბადენი.
სქან თოლეფ მაჭუალი მუჭო ალერგინუნი,
ვაი, შური საყვარელი,
ირო თიშა მოჯინუნი.
სონ ვარდიე ქომიწი, ღვალენს ალგოფინუნი,
ტანი კოხტა, საგანგებო,
ნაკეთები წკიროწკილი,
ჩხვინდი ხვიფა, თოლი გვირა,
თომა კუნტა, კიროკილი,
აბა, ჯგირო დექვირით,
ვაგაგორე შური კილი.
მილიონ ფარას ვაუჯგუნო,
ორდე თიში ყოროფილი.

## შენ ვარდს სჯობიხარ

შენ ვარდს სჯობნიხარ,
ზამთარში ვარდი აღარ ყვავილობს,
რომ ვარდზე უმჯობესი ხარ,
ამას, მაფშალია ამტკიცებს.
მთვარეს სჯობს შენი სიმშვენიერე,
კიდევაც მასზე უფრო ანათებ.
ამგვარ მწველ არსებას, ღმერთი საგანგებოდ ბადებს.
შენი თვალები მწველი, ელვარებს როგორც ალი.
ვაი, სულო საყვარელო, მაყურებინა ბევრი.
სადაურია ეს ვარდი, ღაწვზე რომ გაფენია?
ტანი კოხტა, საგანგებოდ ნაძერწი და ჩამოქნილი.
ცხვირ-პაჭუა, თვალ-გვირილა, თმა მოკლე და დახვეული.
აბა, კარგად დააკვირდი, მოუნახე რამე ნაკლი?
მილიონ ფულს ხომ სჯობია,
იყო მისი საყვარელი.

## სირჩინუე

საქმე ვენწყუაფუ ჯგირო,
ვორწყექ დროქ გინომილუ,
სირჩინუე მჯოგუდუო,
ასე ყუჩა მინომილუ.
ბოშ ვორდიკო, ოვჭოფუნდი.
ეფერ ფრინველთ მიკომილუ,
თე ფრინველი კანკალეშა,
დუს ქოგმოილუანს,
გამვათხოზე ვამაჭოფე,
ნეტა ბოში ქოპუას,
სუა ტახილ ძერაცალო
შორშე მუმოჯონუანსი.

## სიბერე

საქმე არ ეწყობა კარგად.
ვხედავ, დრომ გადამისწრო,
სიბერე მეზიზღებოდა და
ახლა სახლში შემომისწრო.
ვყოფილიყავი ჭაბუკი, დავიჭერდი,
ისეთმა ფრინველმა ჩამიქროლა,
ის ფრინველი, ხანდახან,
თავს შემახსენებს ცუდად.
გამოვედევნო, ვერ დავიჭერ,
ჭაბუკი გამხადა ნეტავ,
ფრთამოტეხილ ძერასავით,
მაყურებინებს ნეტავ რა.

**ბორის დავითაია,**
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის
ლაურეატი,
ქალაქი სენაკი

# ქსენოფობია – სამოთხის ვაშლი მხოლოდ მიშასთვის

არასამთავრობო ორგანიზაცია **„მრავალეროვანი საქართველოს"** გამგეობის თავმჯდომარე არნოლდ სტეპანიანი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სპეციალური განცხადებით მიმართავს, რომელშიც მას ქსენოფობიური ხასიათის განცხადებებისგან თავის შეკავებას სთხოვს. ორგანიზაციის წარმომადგენლები ქსენოფობიურად ახალი ზღვისპირა კურორტი ანაკლიის საზეიმო გახსნაზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას მიიჩნევენ.

მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ სოფელ, მაგრამ მის მიერ უკვე საკურორტო **"ქალაქად"** მოინათლულ ანაკლიაში სიტყვით გამოსვლისას აფხაზეთში არსებული ვითარება ამ სიტყვებით დაახასიათა: **„იქით არიან ბარბაროსები, აქეთ კი – ცივილიზაცია; იქით არის მონღოლოიდური გადმონაშთები და იდეოლოგია, ხოლო აქ – ნამდვილი, უძველესი კოლხური ევროპა, უძველესი ცივილიზაცია, უძველესი სიყვარული, უძველესი ნიჭიერება"**.

ამ სიტყვების წარმოთქმისას საქართველოს ნეტარი პრეზიდენტი, ალბათ, არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც **„ქსენოფობიური"** განცხადებების შემდეგ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა თანამდებობიდან **„მოხსნა"**, მის ტერმინოლოგიას, რომელიც აქამდეც უდავოდ გამოირჩეოდა ქსენოფობიური ელემენტებით, საზოგადოება უფრო მეტად დააკვირდებოდა და გააკრიტიკებდა. რომ აღარაფერი ვთქვათ **„ველურ ზანგებსა"** და **„წვერგაუპარსავ თურქ მძღოლებზე"**, მისი ანაკლიაში გაკეთებული განცხადებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ პრეზიდენტი სწორედაც რომ ქსენოფობად მოვიხსენიოთ, რადგან მსგავსი განცხადებების გაკეთება ქვეყნის პირველ პირს უკვე ჩვევაში გადაეზარდა.

რა თქმა უნდა, საზოგადოებას იმის მოლოდინი არ აქვს, რომ ამის გამო სააკაშვილი საკუთარ თავს მოხსნის თანამდებობიდან ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს, რომლებიც, ასევე, გამოირჩევიან ქსენოფობიური ელემენტების შემცველი განცხადებებით (გაიხესენეთ თუნდაც ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიერ აწგანსვენებული ბადრი პატარკაციშვილის **"ურიად"** მოხსენიება), თუმცა, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ბუმბერაზი ხელოვანის – რობერტ სტურუას, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მაინც შეეკავებინა პრეზიდენტ სააკაშვილს თავი ქსენოფობიური განცხადებებისგან.

აქვე გვინდა, შეგახსენოთ, რომ რობერტ სტურუამ მხოლოდ სააკაშვილის ეთნიკურ წარმომავლობას გაუსვა ხაზი და ამით ახსნა ის გარემოება, რომ სააკაშვილს საქართველო და ქართველები სწორედ მისი არაქართული წარმომავლობის გამო არ უყვარს, რასაც ნამდვილად არ შეიძლება ქსენოფობიური განცხადება ეწოდოს, განსხვავებით მიხეილ სააკაშვილის არაერთი **"კომპეტენტური"** განცხადებისა, რომლებიც ქსენოფობიის კლასიკური მაგალითებად შეიძლება ვაღიაროთ.

თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, პრეზიდენტს დიდი ხანია, პასუხი აღარაფერზე მოეთხოვება – ერთი მხრივ, მას შეურაცხადსაც უწოდებენ, მეორე მხრივ კი, ქსენოფობია და ყველაფერი მორალურად, ზნეობრივად თუ კანონიერად არასწორი, რასაც ის და მისი ხელისუფლება აკეთებენ, სამოთხის ვაშლია, რომლითაც სააკაშვილი ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს, სხვას კი ამ ვაშლის დაგემოვნება **„სამოთხიდან გამოძევების"** ფასად უჯდება.

**საქინფორმი**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი:** ***აქ აშკარაა, რომ არნოლდ სტეპანიანმა ვერ გაიგო იმ მზაკვრული მინიშნების არსი, რითაც სააკაშვილმა ქართველებს "გაგვაგებინა" რომ საქართველოს საზღვარი*** *უკვე მდინარე ენგურზე გადის და საზღვრის იქით "მონღოლოიდური გადმონაშთები" არიანო. შეიძლება სომეხი სააკაშვილისათვის აფხაზი ხალხი "მონღოლური გადმონაშთი" იყოს, მაგრამ აფხაზები ჩვენი ძმები არიან და, თუ სააკაშვილს ვერწმუნებით, გამოდის, რომ ქართველებიც მონღოლოიდები ვყოფილვართ!*

*ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ სააკაშვილი ყველა ძალისა და მეთოდების გამოყენებით ცდილობს ერთმანეთს დააშოროს აფხაზი და ქართველი ხალხი და გამოირიცხოს აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის უკან დაბრუნება, რათა იქ შეთესლილმა 80.000-მა სომეხმა რაიმე დისკომფორტი არ იგრძნოს. სტეპანიანმა ალბათ იფიქრა, რომ თავის ქსენოფობიურ განცხადებაში სააკაშვილმა "მონღოლოიდურ რასად" სწორედ აფხაზეთში შემძვრალი სომხები მოიხსენია. ამ შემთხვევაში კი განრისხებისა და პროტესტის საბაბი უფრო მონღოლებს უნდა ჰქონდეთ, ვიდრე სტეპანიანს...*

*სომხური შეკვეთების პირნათელმა შემსრულებელმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც უკვე გაავლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ენგურზე, ნელ-ნელა გვაჩვევს ანაკლიელებს და სრულიად საქართველოს იმ აზრს, რომ აფხაზეთი უკვე „მონღოლოიდური გადმონაშთების" საკუთრებაა და არა საქართველოსი. ძნელი განსაჭვრეტი არც ისაა, რომ ანაკლიაში აგებული რამდენიმე შენობა სწორედ აფხაზეთის საზღაურად ქცეული "ორმოცი ვერცხლი" გახლავთ, რის საფასურადაც ნიფხავით ზღვიდან ამომძვრალ მიშას მეგრელი ქალები წივილ-კივილით ეგებებოდნენ, ეხვეოდნენ და მასთან ფოტოსურათს ლამის სექსუალური აღტკინებით იღებდნენ.*

*ევროპელი მოგზაურები და კონკისტადორები ხომ სარკის ნატეხებითა და სხვა ჭრელა-ჭრულა ნივთებით ხიბლავდნენ ტიტლიკანა პაპუასებს და შემდეგ მონობის უღელს ადგამდნენ კისერზე!*

*ვაი, სირცხვილო!*

*ვაი, შენ, ჩემო სამეგრელო და მეგრელ ბანოვანთა მოკრძალებავ, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემით უმღეროდნენ ჰომეროსი და ღმერთთან მიახლოებული სხვა შემოქმედები. აღარაფერს ვამბობ მწერალ კონდრატე თათარაშვილზე (უიარაღო), რომელსაც შესანიშნავ ნაწარმოებ "მაცი ხვიტიაში" განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ჰყავს აღწერილი ხორგელი ქალები...*

*თუ ამ მეგრელ ქალებს არ ყოფნით შეგნება, რიდი და თავშეკავება, ნუთუ მამაკაცები მაინც არ ჰყავთ სახლში, რომლებიც აუხსნიდნენ, რომ, თუნდაც ზღვაზე, ნიფხვისამარა მამაკაცთან უცხო დედაკაცის ჩახუტება, მარტივად რომ ვთქვათ, ამ ქალის ოჯახის სირცხვილი და თავლაფისდასხმაა!*

*ნიფხვისამარა სააკაშვილთან ზღვაში მისაგებებლად სირინოზებივით შეჭრილო მეგრელო ქალბატონებო, იარეთ, ახლა, ბედნიერებად, მაგრამ თავსლაფგასხმულებად!*



# მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარებისათვის ზრუნვა სეპარატიზმი არ არის!

ამ დღეებში მარტვილის წიგნის მაღაზია **"ინტელექტში"** შევიძინე გამომცემლობა **"ინტელექტის"** მიერ 2011 წელს გამოცემული ვახტანგ ჯავახაძის წიგნი **"ლექსიდან-ლექსამდე"** (ჩანაწერები), სადაც ავტორი სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად გვთავაზობს თავის მოსაზრებას პოეტ მურმან ლებანიძის იმ ლექსზე, რომლის გამოქვეყნებამ თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სამეგრელოს კუთხის წარმომადგენლებში, რადგან იმ ლექსში ძირითადად მეგრელები და მეგრული ენა იყო გალანძღული და დამცირებული.

**"დარწმუნებული ვარ, რომ არა ბოლოდროინდელი აღზევებული სეპარატიზმი, ის ლექსი არ დაიწერებოდაო"**, ბრძანებს ბატონი ვახტანგ ჯავახაძე (გვ. 136). საინტერესოა, რომელ სეპარატიზმზეა აქ საუბარი? აფხაზურზე? თუ აფხაზურზე, რა შუაშია სამეგრელო და მეგრული ენა?

მკითხველს, ალბათ, ახსოვს მურმან ლებანიძის იმ ლექსის ეს სტრიქონები:

***ვით დედა-მტკვართან***
***ჭოროხს და ენგურს,***
***რიონს და ტეხურს,***
***იორს და არაგვს,***
***აგრეთვე ენას — ქართულთან მეგრულს***
***ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს.***

მე ამ ლექსის შესახებ ჯერ 1999 წელს გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომელიც, როგორც რაიონულ, ასევე სამხარეო და რესპუბლიკურ გაზეთებში დაიბეჭდა. ამიტომ, ახლა ამ საკითხების გამო კამათს არავისთან არ ვაპირებ, მაგრამ ვახტანგ ჯავახაძის ზემოაღნიშნული ჩანაწერების წაკითხვის შემდეგ თავს მოვალედ ვთვლი ორიოდ სიტყვით იმ საკითხებზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება, რომელიც მეგრულ ენასა და ამ ენისადმი ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას ეხება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში დღესაც ბევრ ვინმეს ჰგონია, რომ მეგრული ენის განვითარებისათვის ხელის შეწყობა დამღუპველია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, რადგან ეს თურმე აღვივებს სეპარატიზმს, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასე არ არის, რაც ჩვენზე უკეთესად იცოდა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტმა კლასიკოსმა გრიგოლ რობაქიძემ, რომელიც ამბობდა: **"საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია, მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად, ქართული მწერლობა ამით არას დაჰკარგავს, — პირიქით, კიდეც მოიგებსო".**

მე, რა თქმა უნდა, მჯერა ამ სიტყვების ჭეშმარიტებისა, მაგრამ მარტო ჩემი დაჯერება არაფერია.

გრიგოლ რობაქიძე იმდენად დიდია, რომ მისთვის სულკურთხეულ მურმან ლებანიძესაც უნდა დაეჯერებინა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეწერა მეგრული ენის შესახებ ასეთი სტრიქონები: "***აგრეთვე ენას — ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს***".

რას ნიშნავს "***ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს?***' სამეგრელოში მეგრელმა კაცმა მეგრულად არ ილაპარაკოს? მეგრული სიმღერები **"ჩელა", "სისა-ტურა", "კუჩხი ბედინერი", "ოდოია"** არ იმღეროს? ან განა დღესაც არ უნდა შეიქმნას ახალი მეგრული სიმღერები, მეგრული ლექსები? თუ ვინმე მეგრულ ენაზეც შექმნის ღირსეულ ნაწარმოებებს, დაწერს მოთხრობას, ზღაპარს, იგავ-არაკს ან ლექსს, არ მესმის ამაში მაინცდამაინც სეპარატიზმი რატომ უნდა დავინახოთ? განა მეგრული ენა ქართველური ენა არ არის? მერე რა, რომ ის უმწერლობო ენაა? განა ამისათვის მას პატივისცემა არ სჭირდება? გაიხსენეთ დიდი ინგლისელი ენათმეცნიერის მაქს მიულერის სიტყვები: **"ის უმწერლობო ენებიც, რომელთაც არასოდეს შეუქმნიათ ლიტერატურული ნაწარმოები, ასევე მნიშვნელოვანია, როგორც ჰომეროსის პოეზია, ანდა ციცერონის პროზა".**

მეგრული ენა უძველესი ქართველური ენაა, რომლის მეშვეობით შეიძლება მრავალი ახალი სიტყვა ითქვას მეცნიერებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ჩვენი ტოპონიმების ასახსნელად რად ღირს იგი.

სულ მეგრული წარმოშობისაა აჭარაში, გურიაში, იმერეთში არსებული გეოგრაფიული სახელები და მეგრული ენის გაუთვალისწინებლად ვერაფრით ვერ აიხსნება მათი მნიშვნელობები. მაგალითად, სამტრედიის რაიონში არის სოფელი ჯიხაიში (საიდანაც იყო ნიკო ნიკოლაძე), მაგრამ თუ მეგრულ ენას არ ფლობ და არ იცი, რომ **"ჯიხა"** არის ქართული **"ციხე"** სიტყვის მეგრული შესატყვისი, ვერასოდეს ვერ გაიგებ, რომ ჯიხაიში ციხისა-ს ნიშნავს.

სამტრედიაში არის აგრეთვე სოფელი **"ქვაყუდე"**, რომლის სახელიც მხოლოდ მეგრულით აიხსნება, **"ყუდე"** არის სახლი, ქვაყუდე კი ნიშნავს ქვის სახლს.

გენიალური ქართველი პოეტის გალაქტიონის მშობლიური სოფლის სახელი **"ჭყვიში"**-ც, რომელიც რიონის პირას მდებარეობს, მეგრულ სიტყვასთანაა დაკავშირებული და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმ ადგილებში წინათ მეგრელები ყოფილან დასახლებული.

საქართველოს ისტორიის მამის, დიდი ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, ჩვენი ქვეყნის ის ტერიტორიები, სადაც ახლა იმერლები და გურულები ცხოვრობენ, წინათ მხოლოდ მეგრულ-ლაზურ ტომებს ეკუთვნოდა. ივანე ჯავახიშვილს იქვე მოჰყავს რომაელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პლინიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ რიონი მეგრელების მიწაზე გადიოდაო (იხილეთ ივანე ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, 1913 წელი, გვ. 315).

პლინიუსის ამ ცნობას ივანე ჯავახიშვილი ქართულ გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვებითა და მეგრული ენის დახმარებით ასაბუთებს, უფრო სარწმუნოს ხდის.

ასე რომ, მეგრული ენის არსებობას, მის შესწავლას და დანიშნულებისამებრ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული თვალსაზრისითაც, რაც, სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის და უნდა, რომ არც სხვას ესმოდეს.

ცამდე მართალი იყო პოეტი ვახტანგ ხარჩილავა, როდესაც წერდა, რომ **"ქართული ენა სახელმწიფო ენაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სვანური და მეგრული უგულვებელვყოთ, აბუჩად ავიგდოთ და კანონგარეშე გამოვაცხადოთო".**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მეგრული ენისა და სამეგრელოსადმი დანარჩენი საქართველოს გულგრილი დამოკიდებულება **"არ ახალია, ძველია".** ეს აშკარად ჩანს ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფის ფარნავაზის დროიდანაც, რაზედაც შესანიშნავად ილაპარაკა მრავალ კოლხურ საიდუმლოებათა ამომხსნელმა მეცნიერმა და მწერალმა-აკადემიკოსმა ვლადიმერ ალფენიძემ. აი, მისი სიტყვები:

**"ქართლის ცხოვრებაში თითქმის არაფერია დაწერილი კოლხების ოქროს საწმისის შესახებ, არაფერია დაწერილი კირკეს ღვთისმშობლობის შესახებ... რატომ არ მიაჩნდა საჭიროდ მროველს და ავტორებს მოეხსენებინათ ერთი სტრიქონით მაინც ის, რაც ასე აღაფრთოვანებდათ ევრიპიდეს, სენეკას, ჰეროდოტეს, კანტს? რატომ?**

**რატომაა ასე გაბზარული ჩვენი ისტორია და ეროვნული ცნობიერება საწყისიდანვე, ფარნავაზიდან და ლეონტი მროველიდან მოყოლებული დღემდე რატომ წერდნენ ოქროს საწმისზე ჰომეროსი, ჰესიოდე, ვერგილიუსი, აპოლონიოს როდოსელი, ევრიპიდე, სენეკა და რატომ დუმდნენ ქართველები თითქმის სამი ათასი წელი"**

იმავე ვლადიმერ ალფენიძის თქმით, **"შესაძლოა ეს გამოწვეულია იმით, რომ "ქართლის ცხოვრების" არაქრისტიანული პერიოდის ამსახველმა ტექსტმა მეტად მძიმე, "ქრისტიანული და არაქრისტიანული" რედაქტირება განიცადა.**

**"ქართლის ცხოვრება" მართლაც არ იცნობს არც ოქროს საწმისის მითს და არც სხვა მითებს აიეტის, კირკეს, მედეას შესახებ.**

**ალბათ იმიტომ, რომ ქართლის ცხოვრება უპირატესად ქართლის ცხოვრებაა და არა იმდენად "კოლხეთის ცხოვრება".**

**"ქართლის ცხოვრების"** ანალოგიური, მისი პარადიგმული **"კოლხეთის ცხოვრება"** დაკარგულია ან განადგურებული. ამიტომ, ქართველებს, შეიძლება ითქვას, დღეს მხოლოდ ნახევარ-ისტორია გაგვაჩნია სრული ისტორიის ნაცვლად.

ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვა ავტორთა თხზულებები ეგრისის, კოლხეთის შესახებ ვერ ავსებს ამ ხარვეზს.

**"ისტორიული ვაკუუმის"** შედარებით სრულფასოვანი შევსება ხდება ელინური, ბიზანტიური, რომაული და სხვა წყაროების მიხედვით (**ვლადიმერ ალფენიძე**).

ახლა კი მინდა ეს წერილი დავამთავრო ჩემივე ლექსით **"ჩქიმი ჭიჭე სამარგალო"**, რომელსაც დღეს თითქმის მთელი სამეგრელო მღერის:

**ირ ქიანა გიყორდასუ**
**მარა რშუდას სი მიქ რდუნი,**
**ვეშგოჭყორდას დიდა ნანას**
**მუ ნინაშა გიბირდუნი.**
**საქორთუოშ არძა კუნთხუს**
**საყოროფოდ გუნჯი გური,**
**მარა ვეშეჭყოლიდუა**
**სქანი ნინა მარგალური.**
**ვჩირთუქუდა მაპატიით**
**დო ქოფთქუან მართალს გვალო,**
**მა არძაშა ქომისხუნუ**
**ჩქიმი ჭიჭე სამარგალო.**

ეს ლექსი ჩემი მშობლიური კუთხისა და ენის სიყვარულმა დამაწერინა და მასში არაფერია სეპარატისტული.

მეგრული ენა უძველესი ქართველური ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობდა არგონავტების თქმულების ერთ-ერთი გმირი, კოლხეთის მდიდარი და სახელგანთქმული მეფე — აიეტი და მისი ქალიშვილი მედეა, რომელთა სახელები მთელმა მსოფლიომ იცის. კოლხური, იგივე მეგრული დამწერლობის შესახებ ღაღადებდნენ ძველი ბერძენი პოეტები — ჰომეროსი და აპოლონიოს როდოსელი, მსოფლიო ისტორიის მამა ჰეროდოტე და მრავალი სხვა.

და ეს ისტორიული ფაქტი არა მხოლოდ მეგრელებს, არამედ საქართველოს ყველა კუთხის შვილებს უნდა ემაყებოდეს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მეგრული (ასევე — სვანური) ენობრივი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ზრუნვა სეპარატიზმი სულაც არ არის და ასეთი ფიქრი მხოლოდ არატოლერანტული აზროვნების შედეგია.

**ფაუსტ ნადარაია,**
**გაზეთი "მარტვილი", №5, 2011 წელი.**

**გაზეთი "ილორი" დიდ მადლობას მოახსენებს ბატონ ფაუსტ ნადარაიას ამ და სხვა საინტერესო მასალების მოწოდებისათვის და იმედოვნებს, რომ ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალში კვლავაც გაგრძელდება.**

# ძნელია მასზე წარსულში საუბარი...

***ზედა ნაჯახაოს საჯარო სკოლას მიენიჭა პოეტის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის — ნოშრევან ჯიშკარიანის სახელი***

(პუბლიკაცია გადმობეჭდილია გაზეთიდან **„მარტვილი"**)

პირველი, ვინც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში გავიცანი, ნოშრევან ჯიშკარიანი იყო. გამიკვირდა, ისე თბილად შემხვდა და გაცნობის დღესვე სადღაც დამპატიჟა. ეს ჩემი პირველი სამსახური იყო და ასეთ მეგობრულ შეხვედრას სრულიად არ ველოდი. კარგა ხანი გავიდა, სანამ დავრწმუნდი — ეს ნოშრევანის ცხოვრების წესი იყო. ის არც კეთილ კაცს თამაშობდა და არც გულთბილი კაცის ნიღაბს ეფარებოდა. სრულიად გულწრფელი იყო, თავიდან ვერ გავერკვიე, რა კაცი იყო. როგორ შეიძლებოდა კომუნისტების ჯერ კიდევ მყარად მდგარი დიქტატურის დროს ახლად გაცნობილ კაცთან ყველაფერზე საუბარი? მაგრამ (ამაში მერე დავრწმუნდი) ჩემი ახლადგაცნობილი კოლეგა საოცრად უშიშარი კაცი გამოდგა. აბსოლუტურად ვერ გრძნობდა შინაგან ცენზურას, ყველას რომ ფარულად გვღრღნიდა და მისი ეს სულიერი თავისუფლება ისეთი მომხიბლველი იყო, რომ მის გარშემო მყოფ ნებისმიერ ადამიანზე რაღაცნაირად, გადამდებად მოქმედებდა.

მაშინ სულ 21 წლის ვიყავი, ნოშრევანი ჩემზე 6 წლით უფროსი იყო და ძალიან ბევრი რამ შეეძლო ჩემთვის ესწავლებინა. არასოდეს შემიმჩნევია მისთვის მენტორული ტონი, თუმც ძალაუნებურად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი მის აზრსა თუ განწყობილებას. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო, რომ ყველასაგან განსხვავებული, ძალზე ადამიანური და გახსნილი ურთიერთობა ჰქონდა ზვიად გამსახურდიასთან (ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით). კომუნისტების მიერ დაჩაგრულ ზვიადს ან მონურად ალმერთებდნენ, ან ბრმად ეზიზღებოდათ. ნოშრევანისთვის კი ის ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როგორიც მე ან რომელიმე მისი მეგობარი. არც თვალებში შესციცინებდა და არც ზემოდან უყურებდა იმ ავადსახსენებელი მონანიების გამო (ეს უმძიმესი შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ იყო განელებული). ბევრჯერ მინახავს, რუსთველოლოგიის ცალკეულ საკითხებზე როგორ კამათობდნენ. ზვიადი ხანდახან ხმასაც უწევდა, თუ არ ეთანხმებოდნენ, ნოშრევანი — არასოდეს. მე გაბრაზებული ნოშრევანი საერთოდ არ მახსოვს, თუმცა კამათისას უკადრისი სიტყვებიც მოუსმენია. რატომღაც იოლად იღებდა, არ ნერვიულობდა და არ ღელავდა ხოლმე. ეს უიშვიათესი თვისება იყო — ჩემი თვალით მინახავს, როგორ ბრაზდებოდნენ კამათის დროს ჩემი კოლეგები და მზად იყვნენ, ერთმანეთი ლამის დაეხოცათ.

ახლა რომ ვიხსენებ, ერთადერთი კაცი, ვისაც ასე თავდაჭერილად და აუღელვებლად შეეძლო ეკამათა, სარგის ცაიშვილი იყო — ბრწყინვალე მეცნიერი და ყველასაგან გამორჩეული კაცი. არ მეგულება ამ თაობაში მეორე ისეთი პიროვნება, რომელსაც ასე ეზრუნოს ახალგაზრდების მეცნიერებად ჩამოყალიბებისათვის, როგორიც სარგის ცაიშვილს (მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და საგანგებო საუბარს მოითხოვს). სარგის ცაიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნოშრევანს, სულ რაღაცას ავალებდა, სულ ამუშავებდა. მე მგონი, მისი ნიჭის დიდი იმედი ჰქონდა. ნოშრევანმა ძალიან კარგად იცოდა აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურა და ლიტერატურა. რუსთველოლოგიაში მის ცოდნასა და უნარს სარგისი ძალზე ეფექტურად იყენებდა. ახლა ვხვდები, რა საინტერესო სამეცნიერო დისკუსიებსა და განხილვებს შევსწრებივარ რუსთველოლოგიის განყოფილებაში და გული მწყდება, ნოშრევანის გამოკვლევები (წლიური თემების სახე რომ ჰქონდა) არ გამოქვეყნებულა. არ ვიცი, ინსტიტუტის არქივში ინახება თუ არა.

ლიტერატურის ინსტიტუტში ჩვენი თაობის მეტრი აკაკი გაწერელია იყო — დიდი მეცნიერი და დაუდობელი პოლემისტი, რომელსაც მეტ-ნაკლებად ყველა თანამშრომელი ერიდებოდა. არ იყო იოლი ასეთი უსაზღვრო განათლების მქონე, უკომპრომისო მეცნიერთან ურთიერთობა. მასთან საუბრისას მუდმივად იმის შეგრძნება მქონდა, რომ არაფერი ვიცოდი და ვერც ვერასოდეს შევიძენდი ასეთ მრავალმხრივ განათლებას. ეს ცოტა არ იყოს, დამთრგუნველად მოქმედებდა. მაშინ უკვე თარგმნილი იყო ინგლისურად მისი ფუნდამენტური გამოკვლევა **"ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან"** და ევროპელი მედიევისტები კარგად იცნობდნენ აკაკი გაწერელიას სახელს.

აკაკი გაწერელიას ახალგაზრდებთან საუბარი უყვარდა, მაგრამ ჩემი თაობის მხოლოდ ორი წარმომადგენელი უბამდა მხარს მას ამ საუბრებში. ძალზე ხშირად ვხედავდი მის გვერდით თემურ ქორიძეს და ნოშრევან ჯიშკარიანს. საკმაოდ მალე დავრწმუნდი, რომ ნოშრევანს ბატონი აკაკი მეგობრადაც თვლიდა და ისეთ კოლეგადაც, ვისთანაც შეიძლებოდა საუბარი არეოპაგიტიკისა და ნეოპლატონიზმის ურთულესი საკითხების შესახებ. არაერთხელ შევსწრებივარ, გატაცებით საუბრობდნენ და ნოშრევანი სულაც არ იყო ხოლმე მსმენელის როლში. საერთოდ, ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო და სხვისი მოსმენის უიშვიათესი უნარი ჰქონდა. ორიოდე შემთხვევა მახსოვს როდესაც მასთან ერთად მოვხვდი სუფრაზე და მივხვდი, რომ ისინი სულიერად ძალზე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ძალზე ტრაგიკულად განიცადა აკაკი გაწერელიამ თავისი უმცროსი მეგობრის გარდაცვალება.

მაშინ ნოშრევანი ჩემთვის მხოლოდ მეცნიერი იყო.

სულ ორიოდე ლექსი თუ წაუკითხავს ჩემთვის სუფრაზე, როდესაც ადამიანი ბოლომდე გულწრფელი და ალალი ხდება ხოლმე. მაგრამ როგორც პოეტი, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინე და გაოცებული დავრჩი: მეგონა. კარგად ვიცნობდი, მაგრამ თურმე რაღაც არსებითი რამ არ მცოდნია მისი ცხოვრებიდან.

ყოველგვარი პათეტიკის გარეშე იცოდა საქართველოს ისტორიაზე საუბარი და ძალიან კრიტიკულიც იყო ჩვენი უდარდელობისა და სიზარმაცის მიმართ. უცნაური თავდაჯერებით ამბობდა, ჩვენ ამ იმპერიის დანგრევას და საქართველოს დამოუკიდებლობას მოვესწრებითო. მე ამაზე მეცინებოდა. არადა, ის ვერ მოესწრო, მე კი მოვესწარი. ძალიან მწყდება გული და მისი სევდიანი ლექსი მახსენდება:

**"ვაი, როგორ ჩაიფერფლა ამ ცხოვრების ზღაპარი,**
**ვით მდინარემ ჩაიარა, იყო და აღარ არი.**
**გინდ იყავი მეფეთმეფე, გინდა გლახა, საპყარი,**
**ბოლოს მაინც სიკვდილია, მიწაა და სამარი..."**

მაგრამ სხვა რამეც რჩება — კარგი კაცის, მეცნიერისა და პოეტის სახელი, დაკარგული სითბოს შეგრძნება და მეგობრის მონატრება...

**კახა ჯამბურია,**
**ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი, მარტვილი.**

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

## თავი 21
## ბერიას რეზოლუციები და კაპიცას წერილები

ბერია მართვის საქმეთა დიდოსტატი გახლდათ, და ვვარაუდობ, რომ მკითხველისათვის წინამდებარე წიგნის ამგვარი კონსტატაცია ტრივიალური გახლავთ. მისადმი უარყოფითად განწყობილი ადამიანები კი იძულებული არიან აღიარონ, რომ, მართალია, ბერია **"ბოროტი სული"** იყო, მაგრამ, ამავდროულად, იყო გამორჩეული ორგანიზატორი და **"ხალხთან მუშაობა შეეძლო"**.

მაგრამ ამ წიგნში მე ასევე მინდა წარმოვაჩინო ლავრენტი ბერიას მსხვილი პიროვნული მასშტაბიც, რომელიც, – მე ახლა ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული,– იყო არა მხოლოდ გამოჩენილი და გამორჩეული პიროვნება, იგი გახლდათ უაღრესად მაღალზნეობრივი ადამიანიც.

ზემოთ მე უკვე მოვიყვანე ამ ჭეშმარიტების დამადასტურებელი მაგალითები, მაგრამ მე კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი არაორდინალურ პიროვნებაზე, როგორც საბჭოთა მოქალაქესა და ადამიანზე... აი, მაგალითად, იულიან ბორისის ძე ხარიტონს მოჰყავს ნიშანდობლივი ეპიზოდი, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა გენერალ ა.ს. ალექსანდროვის უშუალო გადმოცემით, რომელიც 1951 წლიდან 1955 წლამდე ხელმძღვანელობდა №11 საკონსტრუქტორო ბიუროს.

სსრკ მინისტრთა საბჭოს ხაზით ბერია, სხვა დარგებთან ერთად, კურირებას უწევდა სათბობის მრეწველობასაც და 1946 წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრკ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ორად გაყოფის თაობაზე – დასავლეთ რაიონების და აღმოსავლეთ რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროებად. პირველ უწყებას სათავეში უნდა ჩადგომოდა ადრინდელი **"საერთო"** მინისტრი ვ.ვ. ვახრუშჩევი, მეორეს კი – დ.გ. ონიკა. ბერიამ ორივე მინისტრი დაიბარა და ურჩია, რომ **"მეგობრულად"** გაეყოთ შუაში ყველაფერი, ქონებაც, კადრებიცა და სოციალური სფეროც კი. მიცემული ვადის ამოწურვის შემდეგ კვლავ დაიბარა ორივე მინისტრი და ჰკითხა: ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია. ვახრუშჩევმა თქვა, რომ მას არა აქვს პრეტენზია (საერთოდ კი მას მეტი უფლებები გააჩნდა ქონების გაყოფისას), ონიკამ კი პროტესტი გამოთქვა – ვახრუშჩევმა საუკეთესო კადრები თავისთან წაიყვანა და სანატორიუმებიც **"დაითრიაო"**.

ბერიას გადაწყვეტილება იყო ელვისებური და სისტემურად უზუსტესი: რახან ასეა, ვახრუშჩევმა უხელმძღვანელოს ონიკასათვის გამოზნულ სამინისტროს და – პირიქით! და ეს გადაწყვეტილება შეიძლება შევიტანოთ მეურნეობის მმართველობის სისტემათა შესწავლის სახელმძღვანელოებში, როგორც სანიმუშო მაგალითი, რადგან ბერიას ლოგიკა იყო ზუსტი და უნაკლო:

თუ გაყოფა განხორციელდა პატიოსნად, მაშინ ნაწყენი არავინ დარჩება.

თუ ვახრუშჩევმა **"იეშმაკა"**, იგი თავისი არაკეთილსინდისიერების ნაყოფს მოიმკის.

გ) ხოლო, თუ იეშმაკა ონიკამ, მაშინ იგი დღეიდან კრინტს ვეღარ გაძრავს იმაზე, რომ ცუდი სასტარტო პირობები ჰქონდა.

ამავე დროს, მან სხვებს მისცა იმის თვალნათელი მაგალითი, რომ ბერიას წინაშე სჯობს იყო წესიერი, ვიდრე არაწესიერი!

და აი, სხვა თათბირის აღწერა, რომლის სტენოგრამა გააკეთა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, თანაც იმან, რომელიც უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს ლავრენტი ბერიასადმი. ესაა – გრიგორი კისუნკო, რომელიც 1953 წლის თებერვალში ბერიასთან გამოიძახეს კაპუსტინ იარის პოლიგონიდან... მანამდე, კისუნკოსა და ბერიას გზები გადაიკვეთა, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს პირადად არ შეხვედრიან. მაშინ – 1952 წლის თებერვალში გრიგორი ვასილის ძე თავის კაბინეტში იხმო სსრკ შეიარაღების სამინისტროს მე-8 მთავარი სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა სერგეი ნიკოლოზის ძე სავინმა და მაგიდაზე დაუდო საკმაოდ სქელი საქაღალდე, რომელიც შემდეგი წერილით იხსნებოდა:

**"სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინს**

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ!**

**არ შემიძლია ხმა არ ამოვიღო, მარტივად რომ ვთქვა, "ბერკუტის" სისტემაზე მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის კისუნკოს მავნებლურ ქმედებებზე. მოვიწვიე რა გრიგორი ვასილის ძე და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ ბორისის ძე ზაქსონი..."** და ა.შ. და ა.შ.

ზემო მარცხენა მხარეს წითლად კიაფობდა რეზოლუცია: **"ამხ.ამხ. რიაბიკოვს, უსტინოვს, ელიანს. გაერკვიეთ და მომახსენეთ. ლ. ბერია"**.

სსრკ შეიარაღების მინისტრ უსტინოვისაგან წამოსულ ამ წერილზე პასუხის მომზადება სავინმა თავად კისუნკოს შესთავაზა, რაც მან გააკეთა კიდეც. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც არაფრით დამთავრდა. ამასთან, კისუნკომ მაინც ვერ შეიგნო, რომ ლავრენტი ბერია პატივისცემას იმსახურებდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს წერილი განსახილველად გადაუგზავნა მხოლოდ დარგის ტექნიკურ ხელმძღვანელობას და არა იგნატიევის თავკაცობით მომქმედ სსრკ უშიშროების უწყებას. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კისუნკოს მამა, რომელიც გააკულაკეს 1930 წელს, მაგრამ მაინც **"ვერ ისწავლა ჭკუა"**, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მავნებლური საქმიანობისათვის დახვრიტეს 1938 წელს.

გავიდა ერთი წელი და კისუნკოს ბერია პირადად უნდა გაეცნო, მაგრამ, რომელ საკითხთან დაკავშირებით, ეს კისუნკომ არ იცოდა. კრემლში იგი თავისი **"ზიმ"**-ით კუქსენკომ მოიყვანა.

მათ გარდა ბერიას კაბინეტში შეიკრიბნენ მესამე მთავარი სამმართველოს უფროსი ვ.მ. რიაბიკოვი, სსრკ შეიარაღების მინისტრი დ.ფ. უსტინოვი, **"მელოკატორე"** პროფესორი ა.ა. რასპლეტინი, **"რადისტი"** ვ.დ. კალმიკოვი (სსრკ რადიომრეწველობის მომავალი მინისტრი), რიაბიკოვის მოადგილე სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწილში, აკადემიკოსი ა.ნ. შჩუკინი.

თათბირს ასევე ესწრებოდა ბერიას თანაშემწე სერგეი მიხეილის ძე ვლადიმირსკი (მისი თავაზიანი ღიმილი სტუმრების შეპატიჟებისას კისუნკომ შეაფასა, როგორც **"კეთილმოყვრობის ტრაფარეტის შემადგენელი გრიმასა"**)...

კისუნკოს მიერ აღწერილ ბერიას პორტრეტში აშკარად იგრძნობა მის მიერ ნანახი ლავრენტის ზოგიერთი ფოტოს აშკარა გავლენა, რომელიც იმ **"შავბნელ"** ეპოქაში იბეჭდებოდა საბჭოთა პრესის ფურცლებზე. და რაც მთავარია, კისუნკოს არ დავიწყნია ბერიას ჩაცმულობა: **"თხელი ქსოვილისაგან შეკერილი შესანიშნავი კოსტიუმი, გაქათქათებული თეთრი ხალათი და განსაკუთრებული პეწით შეკრული ჰალსტუხი..."** კისუნკო ისე აკრიტიკებს ლავრენტი ბერიას უნაკლო ჩაცმულობას, თითქოს ის აჯობებდა, რომ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ხალხში გამოსულიყო ქალამნებით, გაცვეთილი დაბამბული ქურთუკით, ჭუჭყიანსაყელოიანი ხალათით და გვერდზე მოქცეული **"მუდმივი"** რეზინნარევი ქსოვილით შეკერილი ჰალსტუხით...

ზუსტად აღწერს იგი ბერიას ვეებერთელა სამუშაო მაგიდასაც, რომელიც **"გადაჭედილი გახლდათ ტელეფონის აპარატებით"...** ნამდვილად, ვეებერთელა სამუშაო მაგიდა აუცილებელია, მაგრამ აშკარად არასაკმარისია ეფექტურად მოღვაწე, საქმით უაღრესად გადატვირთული ადამიანისათვის. მართლაც, ამხელა მაგიდასთან მსხდომნი კი არ *ხელმძღვანელობენ*, არამედ *მუშაობენ*, მოხერხებულად განალაგებენ მასზე საქმიან ქაღალდებს, რათა ისინი მუდმივად მათი მზერის ქვეშ იყვნენ მოქცეული და ა.შ.

როცა ყველანი სავარძლებში მოკალათდნენ, ბერიამ...

სხვათა შორის, თავიდანვე ვაღიარებ, რომ კისუნკოს ციტირებას ვახდენ ლავრენტი ბერიას კისუნკოსეული **"კავკასიური"** აქცენტის გარეშე (რაც მას სჭირდებოდა ლავრენტი ბერიას კიდევ უფრო ნეგატიურ ფონზე წარმოსადგენად), ჩვეულებრივი ტრანკრიპციით, რათა მკითხველი არ დავძაბო...

მაშ ასე:

**"– დასაწყისშივე გავეცნობით ერთ დოკუმენტს, – დაიწყო ბერიამ და სავარძლიდან წამოდგა** (მე დიდად ვემადლიერები კისუნკოს ამ ფასეული წვრილმანის გაჟღერებისათვის, რადგან იგი ადასტურებს, რომ ლავრენტი პავლეს ძე უაღრესად თავაზიანი გახლდათ და არა უხეში და გაუთლელი ხელმძღვანელი, რომელიც სავარძელზე გადაშხლართული აძლევს **"ფასეულ"** მითითებებს ქვეშემრდომ **"წვრილფეხობას"** – **ს.კ.) და მაგიდიდან საქაღალდე აიღო. – მე ახლა მას წაგიკითხავთ: "ძვირფასო ლავრენტი პავლეს ძევ! მოგახსენებთ, რომ "ბერკუტის" სისტემის საზენიტო რაკეტების რეალური სამიზნეებისაკენ გაშვება ყოვნდება პოლიგონზე №9 ქარხნიდან უხარისხო ანტენების მოწოდების გამო. ქარხანამ დავალება შეასრულა არაკეთილსინდისიერად... №1 საკონსტრუქტორო ბიუროს წარმომადგენელმა ზაქსონმა თვითნებურად მიიღო ამ არასრულყოფილი ანტენების გადმოტვირთვის გადაწყვეტილება. გთხოვთ თქვენს შემდგომ მითითებებს. კალმიკოვი, რასპლეტინი".**

**– ვინ დაწერა ეს შიფროგრამა? – იკითხა ბერიამ.**

**– ჩვენ, ლავრენტი პავლეს ძევ, – მხედრული ომახით უპასუხეს ფეხზე წამომდგარმა კალმიკოვმა და რასპლეტინმა, – ჩვენ ორმა.**

**– როგორ თუ ორმა? რა, ორივეს გეკავათ კალამი?** (პირადად მე აღმაფრთოვანა ამ შეკითხვის იუმორით გაჟღენთილი ლაკონიურობა, რაც თავიდანვე აღკვეთდა გაუგებრობის ბურუსის გაშვების შესაძლებლობას და აიძულებდა ავტორებს, ყოფილიყვნენ კონკრეტულები. – **ს.კ.**).

**– ტექსტი ორივემ განვიხილეთ, უბის წიგნაკში კი მე ვაკეთებდი ჩანაწერებს, – განმარტა კალმიკოვმა.**

**მე მივხვდი, რომ წაკითხული შიფროგრამა მოულოდნელი იყო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა დამსწრისათვის** (კისუნკო აქ მთლად ზუსტი არ არის: კალმიკოვისა და რასპლეტინისათვის მოულოდნელი იყო ის, რომ ბერიამ ყველა წესიერ ადამიანს გააცნო მათი თითქოსდა პასკვილური შიფროგრამა! – ს.კ.) **აი, თურმე რას აკეთებდნენ შიფროგრამის ავტორები ჩემგან და ზაქსონისაგან მალულად... საშინელებაა ასეთ ხალხთან მუშაობა...**

**– ახლა კი წავიკითხოთ კიდევ ერთი დოკუმენტი, – გააგრძელა ბერიამ. – "ძვირფასო ლავრენტი პავლეს ძევ! მოგახსენებთ, რომ სერიული ქარხნების მიერ ტექნიკური ნორმებიდან გადახრებით დამზადებული A-11 და A-12 ანტენები, ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად გადაეტვირთათ "ბერკუტის" სისტემის სამხედრო ობიექტებს. ხელს აწერენ რიაბიკოვი, უსტინოვი, კალმიკოვი, შჩუკინი, კუქსენკო, რასპლეტინი, კისუნკო".**

**– რომელ დოკუმენტს დავუჯერო? – იკითხა ბერიამ. – პოლიგონზე ანტენები უვარგისია, ხოლოს სამხედრო ობიექტისთვის ვარგისი? ამიხსენით ეს პარადოქსი ამხანაგო რიაბიკოვ.**

**– ამხანაგო ლავრენტი პავლეს ძევ, როგორც ჩანს, ამხანაგები კალმიკოვი და რასპლეტინი აჩქარდნენ და არავისთვის შეუთანხმებიათ აღნიშნული შიფროგრამის დაწერა. ჩვენ ვეთათბირეთ მთავარ კონსტრუქტორს და ვთვლით, რომ ანტენები ვარგისიანია, – უპასუხა რიაბიკოვმა.**

**– იქნებ კი არ აჩქარდნენ, არამედ მოსკოვიდან "დააწვნენ" და აიძულეს ხელი მოეწერათ სხვა დოკუმენტისათვის, რომელიც ანტენების სამხედრო ქარხნებში გაგზავნას ითვალისწინებდა? იქიდან კი სად გადავტვირთავთ, სანაგვეზე?.."**

ყველას, ვისაც კი ოდესმე საქმესთან (და არა ყბედობასთან) შეხებამ მოუწია, უკვე იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ დაიწყო ბერიამ ეს თათბირი, დარწმუნდება, უპირველესად, თუ როგორი ძლიერი მმართველი იყო ბერია და მეორე, პატივისცემით განიმსჭვალებოდა მისი, როგორც ადამიანის მიმართ. საქმეს ამგვარად წარმართავს მხოლოდ უაღრესად კეთილმოყვარე და ნათელი პიროვნება!

ბერიამ კიდევ რამდენიმე კონკრეტული და დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა, მოისმინა კისუნკოსა და კუქსენკოს პასუხები, და შემდეგ...

**"მცირეხნიანი პაუზის მერე ბერიამ გააგრძელა:**

**– მე დავრწმუნდი, რომ ეს არაა მთლად უბრალო საქმე. საჭიროა გავერკვეთ სპეციალური კომისიის შექმნით. კომისიაში უნდა ჩავრთოთ რიაბიკოვი, უსტინოვი, ელიანი, კუქსენკო.**

**– და შჩუკინიც, – დავამატე მე.**

**კეთილი... კომისიის მუშაობის შედეგები მომახსენეთ ორშაბათს, ექვს მარტს".**

მაგრამ ამჯერად ყველაფერი კისუნკოსათვის **"არაფრით"** დამთავრდა. ამის მიზეზად იგი მიიჩნევს არა ბერიას ობიექტურობას, არამედ თათბირის მომდევნო დღეებში სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებას. მაგრამ ამ სიკვდილს არ ჩაუშლია მუშაობის ჩვეული რეჟიმი არც პირველ, არც მეორე და არც მესამე მთავარ სამმართველოებში, ბერიას სამუშაო რეჟიმი კი რამდენიმე დღით შეცვალა (რაზედაც დოკუმენტები მეტყველებენ). ასე რომ, თუ კისუნკოს აღმოაჩნდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი შეცოდება, ბერიას იგი არც 1953 წლის 5 მარტის შემდეგ დაავიწყდებოდა. და ლავრენტი პავლეს ძის აპარატიც (არა სადამსჯელო, არამედ მმართველი) არ გახლდათ ისეთი გულუბრყვილო, რომ მხედველობის არედან გამორჩენოდა რაიმე სერიოზული საკითხი, განსაკუთრებით – საკადრო.

სამწუხაროდ, სიძულვილი ბრმაა და კისუნკო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დარჩა ლავრენტი ბერიას მოძულე. მაგრამ ბერიასთან მისი ერთადერთი კონტაქტი კისუნკომ, ფაქტობრივ ნაწილში, სავსებით სარწმუნოდ გადმოსცა და ობიექტურად (რა თქმა უნდა, უნებლიედ) საკმაოდ მაღალ დონეზე შეაფასა ლავრენტი ბერიას მმართველობითი უნარი და მისი მაღალი ადამიანური თვისებებიც.

ახლა კი ვნახოთ, როგორ იქცეოდნენ, მაღალი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან გამომდინარე, ისინი, ვისაც **"ჯალათ"** ბერიას თვითნებობის უდანაშაულო მსხვერპლებად წარმოგვიდგენენ... მაგალითად, ავიღოთ ავიაკონსტრუქტორი ტუპოლევი...

1949 წლის 1 ნოემბერს ზავენიაგინი წერილობით მოახსენებს ლავრენტი ბერიას, რომ ჩვენი მაშინდელ ერთადერთ ბირთვული იარაღის გადამტან თვითმფრინავ **"Ту-4"**-ში (**"ბოინგ-29"**ის ტიპი) 10 კილომეტრი სიმაღლის აღებისას კაბინაში ტემპერატურა ეცემა –50 გრადუსამდე. ასეთ ძლიერ ყინვას კი შეუძლია ბზარები გაუჩინოს **РДС-1** სისტემას.

ასე რომ, აღნიშნულ თვითმფრინავის საბომბე ლუკის გათბობა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პრობლემას წარმოადგენდა. ამის გარეშე კი მთელი ჩვენი ატომური შეიარაღება უსარგებლო ფენომენად იქცეოდა! და, აი, რას იუწყებოდა ზავენიაგინი:

**"...მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ამხანაგებთან ტუპოლევსა და არხანგელსკისთან თვითმფრინავის საბომბე ლუკების გათბობის თაობაზე... მაგრამ ამხანაგებმა ტუპოლევმა და არხანგელსკიმ, ამ საკითხის ბოლო განხილვისას, ამა წლის სექტემბრის თვეში განმიცხადეს, რომ ისინი გადატვირთულები არიან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამუშაოებით** (რაც იმას ნიშნავს, რომ **"ჩემთან ნუ მოხვალ, ყველაფერზე უარს მიიღებ!" – ს.კ.) და საერთოდ, ამ სამუშაოებს თვითმფრინავების მშენებლობასთან საერთო არაფერი აქვსო"** (ხაზგასმული წინადადებები ჩემია – **ს.კ.**)...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარულის ნოსტალგია

**ნარო კოლხელს გამოცემული აქვს რომანების ციკლი „ღმერთების სევდა“, ასევე მოთხრობები და ზღაპრები, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.**

**გახლავთ რეკორდსმენი რომანებისა და მოთხრობების სწრაფ წერაში (სულ – 7 რომანი და 17 მოთხრობა), რომელიც იწერებოდა საგანგებო ჟიურის მიერ მოცემულ თემებზე. მათ შორის აღსანიშნავია რომანები: „ორი სიცოცხლე – ორი სიყვარული“ (თემა „მეზღვაური და შავი პატარძალი“. ბათუმი. ორგანიზატორი „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი“), „ძველი მიწა“ (თემა „ჭირსა შიგან გამაგრება“. ახალციხე. ორგანიზატორები: თსუ ახალციხის ფილიალი და გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“. რომანი მიეძღვნა ვეფხისტყაოსნის შექმნის 800 წლისთავს), „წვიმის ცრემლები“ (თემა „ბედი“. იზმითი. გოლჯუკი. თურქეთი. ორგანიზატორები: „საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობის ასოციაცია“ და „თურქეთში მცხოვრებ კავკასიელ ხალხთა მეგობრობის კავშირი“), მოთხრობების ციკლი „ყოფა მეგრული“ (ზუგდიდი. ორგანიზატორი ზუგდიდის მერია)...**

**1999 წელს აღინიშნა პუშკინის დაბადების 200 წლისთავი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნარო კოლხელმა 3 დღეში შექმნა რომანი „სიყვარულის ნოსტალგია“.**

**მკითხველებს ვთავაზობთ ამ რომანის გაგრძელებას.**

## ოჯახის სიხარული

მამუკა სოფლის შარაგზაზე გამოჩნდა თუ არა, ბავშვებმა ყიჟინი ატეხეს:

– ჯარისკაცი დაგვიბრუნდა, ჯარისკაცი!

– ჩვენი მამუკია!

– რეზოია ძიას მამუკია!

მთელი სოფელი შეიყარა. ყველა ჯარისკაცს ეხვეოდა.

ბებია იცრემლებოდა.

– ცოცხალს ჩამომისწარი, შვილო? აწი რა მომკლავს, სულ შენი ჯავრი მქონდა.

– აბა, საქმეს მივხედოთ! – დაიძახა ბაბუამ,– ყველას გეპატიჟებით!

სუფრა მალე გაიშალა.

დაიწყო სადღეგრძელოები.

სიმღერები, ცეკვები.

იყო ერთი ამბავი.

ყველა ერთად ლაპარაკობდა.

– ახლა ერთი კაი გოგო მოვუყვანოთ ჩვენს მამუკიას.

– დოხტური გოგო.

– გერონტიას ჰყავს კაი გოგო, სწორედაც რომ სადოხტუროზე ჩააბარა წელს.

– არა, იმელსია კიკაბიძის გოგო ჯობია.

– კი მაგრამ, მე არაფერს მეკითხებით? – იცინოდა მამუკა.

– შენი საქმე ჯარიდან დაბრუნება იყო, ეგ უკვე ჩვენი საქმეა.

– მოიყვანოს, ვინც უნდა ის მოიყვანოს, ბებია ენაცვალოს, დასანიშნი ბეჭედი გვაქვს.

– სოფელში მსმელებიც ბევრი გვყავს.

– ღვინო არი, არაყიც რამდენიც გინდა!

– რეზოიას პიმპილიანი არაყი.

მამუკას მეგობარმა, ტარიელ ტრაპაიძემ, ახოვანმა ულვაშა ახალგაზრდამ ჯიბიდან სურათი ამოიღო, ააფრიალა და ყველას გასაგონად თქვა:

– ჩვენს მამუკიას საცოლე უკვე ჰყავს, ფრიადოსანი სტუდენტი გოგონა! აგერ, ნახეთ სურათი, ზღვის პირას არიან გადაღებული, სოჭში.

ყველა სურათს ათვალიერებს.

– ლამაზი გოგოა.

– ნამდვილი სადედოფლოა.

– რა ლამაზი თმები აქვს.

– ქერაა.

– რუსია? – ჰკითხა ერთმა მამუკას.

– რუსია, აბა ვინ იქნება? – სიტყვა მოუჭრა ტარიელმა,– აბა რუსეთიდან ინგლისელს ხომ არ ჩამოიყვანდა?

– ჰოდა, რუსებს ძალიან მოეწონებათ რეზოიას პიმპილიანი არაყი.

ყველას გაეცინა.

ბებიამ სურათი გულთან მიიტანა.

– თქვენ გენაცვალოთ, ბებია.

– ხო კაი გოგოა? – ჰკითხა ტარიელმა.

– სურათზე კაი კია.

– სტუდენტია, ფრიადოსანი, ახლა ბანაკში ისვენებს, ერთ-ორ კვირაში ჩამოვიყვანთ.

– თქვენ გენაცვალოთ ბებია.

– ორი დიდი სიხარული ერთად, კატო ბებია, შვილთა შვილის შვილიშვილს მოესწრებით.

ბაბუამ ღვინით სავსე ყანწი მაღლა შემართა.

– შევსვათ სიყვარულის სადღეგრძელო.

ყველამ შესვა.

ქეიფი დილამდე გაგრძელდა.

## სტუდენტური ქორწილი

– ისევე, როგორც ამ ლამაზ დასასვენებელ სახლს, ასევე ამ პატარა კაფესაც ცისარტყელა ჰქვია, ჩემო ტარიელ, – უთხრა მამუკამ მეგობარს.

– ისე, პატარა სუფრას აქაც გადავიხდით.

– სტუდენტურ ქორწილს, – მამუკამ ლუდი მოსვა და შენობისკენ გაიხედა, – აი იქ არის, მესამე სართულზე, მარჯვნიდან მესამე ფანჯარა.

– ახლა სად იქნებიან? ალბათ ექსკურსიაზე.

– შეიძლება ზღვაზე არიან.

– წავედით.

პლიაჟზე ხალხმრავლობაა.

ანაზდად გოგონას ხმა მოესმათ:

– მამუკა! მამუკა!

მთელი პლიაჟი აღტაცებული უყურებდა ერთმანეთს ჩახუტებულ ქალ-ვაჟს.

– გაიცანი, ტანია, ეს ჩემი უახლოესი მეგობარია, ტარიელი.

ცოტა ხანში მათ ირგვლივ ტანიას მეგობრები გაჩნდნენ.

– მე ნატაშა მქვია.

– გალკა.

– კოლია.

– ვანია.

– ქსენია.

– ნინკა.

– მარინა.

– ფედია.

– მე ტარიელი მქვია, ერთი საინტერესო წინადადება მაქვს, მზის დასხივება რომ არ მიიღოთ და თავი არ აგტკივდეთ, ცისარტყელას კაფეში შევიდეთ, იქ გადავიხდით სტუდენტურ ქორწილს.

აღტაცებისგან ტაში შემოჰკრეს და ურა დაიძახეს.

– სხვათა შორის ამ კაფეს სხვანაირად მტრედების კაფესაც ეძახიან, ისევე როგორც თქვენს ქალაქს, – იხუმრა ერთ-ერთმა გოგონამ.

ყველას გაეცინა.

– ადრე ბებრების კაფე რქმევია თურმე, – სხვათა შორის თქვა კოლიამ.

– ჩაის, კეფირის და **„ბულკის“** მეტი ალბათ არაფერი იყიდებოდა და იმიტომაც შეარქმევდნენ ბებრების კაფეს,– გაიხუმრა მსუქანლოყა ნატაშამ.

– ალბათ შეყვარებულებისთვისაა ეს კაფე, იმიტომაც ჰქვია ასეთი სახელი, მე რა მეშველება, შეყვარებული რომ არა მყავს? – ტარიელმა გოგონებს თავი შეაცოდა.

– თქვენზეა დამოკიდებული, გაიხედეთ ირგვლივ, რამდენი ლამაზი გოგოა,– უთხრა ნატაშამ.

– სწორედ იმიტომაც, ვერ აარჩევ, ყველანი ერთმანეთზე უკეთესები ხართ..

– მე ნუ მიყურებ, მეზღვაურს ველოდები, შორს, ოკეანეში უნდა წამიყვანოს.

ისევ გაიცინეს.

სუფრა მალე გაიშალა.

მამუკამ საზეიმო ვითარებაში, მუსიკის ფონზე ტანიას თითზე საქორწინო ბეჭედი გაუკეთა.

– გორკა! – წამოიძახა ვიღაცამ.

ტარიელს ხმამაღლა გაეცინა:

– ჩვენთან გორკა არ იციან, არ არის მიღებული.

– აბა რა იციან? – ჰკითხა უკვე შემთვრალმა კოლიამ,– მაინც გორკა!

– გორკა მერე იქნება, ქორწილის მერე, ლოგინში! ახლა შევსვათ დიდი ჭიქით!

– სიყვარულის სადღეგრძელო?

– აუცილებლად.

ყველა სვამდა.

სიმღერები: ხან რუსულად, ხან ქართულად.

ცეკვები.

ნატაშამ ტარიელს ჰკითხა:

– ჩვენ ვიცით მამუკა რას ნიშნავს, ტარიელიც ხომ რაღაცას უნდა ნიშნავდეს?

– მე მერიდება, მამუკა გეტყვით,– მიუგო ტარიელმა.

– რატომ გერიდებათ, ცუდ რამეს ხომ არ ნიშნავს?

– არა, პირიქით.

მამუკამ თქვა:

– ტარიელი არის დიდი შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანის მთავარი გმირი.

– ვიცი, გამახსენდა! – შესძახა ერთ-ერთმა გოგონამ,– ტარიელი ძლიერი მეომარია, მას ვეფხვის ტყავი აცვია.

– ვეფხვი მოკლა, ტყავი გააძრო და ჩაიცვა, – თქვა ნატაშამ. – თქვენ არ გაქვთ ვეფხვის ტყავის პალტო?

სიცილი და სიცილი.

– არა.

– როგორ მოგიხდებოდათ?

– ძალიან მომეწონა თქვენი ხუმრობა,– ტარიელმა ლუდის კათხა ღვინით გააპიპინა,– რადგან შოთა რუსთაველის ტარიელს მიმამსგავსეთ, რადგან ძლიერი ვარ, ამ კათხით უნდა დავლიო პირადად ტანიას და მამუკას სადღეგრძელო.

ტაში შემოჰკრეს და ისევ ურა დაიძახეს.

– ბიჭებმა კათხით, გოგონებმა დიდი ჭიქით!

დალიეს.

ბევრი იცინეს.

ბევრი იცეკვეს და იმღერეს.

სუფრის დასასრულს ტარიელმა განაცხადა: ორ კვირაში ავტობუსით ჩამოვალ და ყველას ქორწილში წაგიყვანთ, მერე იქიდან წადით კარტოშკაზეო!

– მტრედების ქალაქში წაგვიყვანთ? – ჰკითხა ერთ-ერთმა.

– მტრედების ქალაქთან ახლოს არის პატარა ლამაზი სოფელი, იქ გადავიხდით ქორწილს, ოღონდ არა სტუდენტურს, ნამდვილ, დიდ, ხუთასკაციან ქორწილს.

– ოოოო!? ეტა დააა! – შესძახეს ერთხმად.

– არ უნდა მას ოოო! რა გაგიკვირდათ, ჩვენთან ასეთი წესია.

– ეს რაა, სტუდენტური ქორწილი იყო? – შეეკითხა ნატაშა.

– აბა რა იყო?

– ამდენი ღვინო რომ დავლიეთ, ამას ჰქვია სტუდენტური ქორწილი?

ისევ სიცილი.

– გმირო ტარიელ,– არ ეშვება ნატაშა. – ხელი გადახვია.

– რა გინდა გოგო, შენი მეზღვაური რომ ჩამოვიდეს და გნახოს, მერე იეჭვიანებს.

– გემი ჯერ აკვატორიაში არ შესულა.

– ჰო, გისმენ.

– გმირო ტარიელ, რა ჰქვია თქვენს სოფელს?

– წიაღუბანი.

– ამას დამახსოვრება არ უნდა?... ციაგუ, ციაგუნი...

– რას ნიშნავს? – ჰკითხეს ერთხმად.

– წიაღი ბუნებრივ სიმდიდრეს ნიშნავს, უბანი კი ადგილია, ეს არის ადგილი, სადაც ბუნებრივი რესურსებია.

– მერე რას მოიპოვებენ თქვენს სოფელში, რკინას, ქვანახშირს, სპილენძს...

– იქნებ ოქროს მოიპოვებენ?

– სიყვარულს, სიყვარულს მოიპოვებენ.

მეორე დღესაც გააგრძელეს. საღამოთი ტანია და მამუკა რკინიგზის სადგურში გააცილეს. ტანიამ მეგობრებს უთხრა: რამდენიმე დღეს აფხაზეთში გავატარებთ, შემდეგ ჩემს მშობლებს ჩამოვიყვანთ, ქორწილში ერთად წამოხვალთო.

– ნინა პეტროვნაც დავპატიჟოთ, – უთხრა მამუკამ ტანიას.

– აუცილებლად, ნინა პეტროვნას ძალიან გაუხარდება ჩვენი ბედნიერება.

## ყავა აღმოსავლურად

ტანია და მამუკა კაფეში ისხდნენ და ყავას მიირთმევდნენ.

– ჩვენთან უნალექო იციან.

– ნალექიან ყავაზე მკითხაობენ.

– რა ჰქვია ასეთ ყავას?

– ყავა აღმოსავლურად.

– საინტერესოა.

ამ დროს მათ თმააწეწილი სახენაოჭიანი ბოშა ქალი მიუახლოვდა.

– აბა, მარჩიელი, მომეცით მანეთიანი და გეტყვით, თქვენ შორი გზა გაქვთ.

ორივეს ჩაეცინა. ერთმანეთს შეხედეს.

– გზა კი გვაქვს, მაგრამ შორი არც ისე... – უთხრა ტანიამ.

– არა, შორი გზა გაქვთ.

– შეიძლება, მერე ხომ ჩვენთან წავალთ, შორი არ არის? – შეხედა მამუკას. – თქვენ საიდან მიხვდით?

– ეს ჩემი პროფესიაა, ყველაფერს ვხედავ, მარტო ის არ ვიცი, როდის მოვკვდები... თუ გინდათ სამარჩიელო კარტს გაგიშლით, სურვილი ჩაიფიქრეთ.

მამუკას ბოშა ქალი არ მოეწონა და უკმეხად უთხრა:

– არ გვინდა, მე არ მჯერა და საერთოდ არც მაინტერესებს.

– მაშინ ყავის ჭიქაში ჩაგიხედავთ, გადმოაპირქვავეთ,– არ მოეშვა ქალი.

– არა.

ტანიამ მამუკას სევდიანად შეხედა. მამუკამ თავი გააქნია და მაგიდაზე მანეთიანი დააგდო.

– დაიწყე, ოღონდ მალე მორჩი.

ქალმა ჭიქაში ჩაიხედა და ჩაილაპარაკა:

– მართლა შორი გზაა, არ გირჩევთ წასვლას, თუმცა...

– რაა, თუმცა? რა მოხდება? – ჰკითხა ტანიამ.

– ხომ გითხარით, არ გირჩევთ-მეთქი, არც ამ მხარეზეა დახაზული კარგი ფიგურები,– უცბად ორივეს შეხედა,– თქვენ ერთმანეთის რა ხართ?

– ცოლ-ქმარი.

– ჭიქაში არ ჩანს, რომ ცოლ-ქმარი ხართ.

– რატომ არ ჩანს? – ტანიას სახეზე ფერი ეცვალა, – ჩვენ რამდენიმე დღეა რაც დავქორწინდით.

– აუცილებლად მმაჩის ქაღალდია საჭირო? მალე გვექნება, მაშინ მობრძანდით და გვიმკითხავეთ, უკეთ მოგისმენთ, – უთხრა მამუკამ და ტანიას შეხედა,– წამო, ტანია, წავიდეთ, მე არ მჯერა მათი მკითხაობის.

– მამუკა, აბა შენ რომ მატარებელში...

– მე ვხუმრობდი, თქვენ ხომ ხუმრობდით და მეც ჩემებურად გაგეხუმრეთ.

– გეხვეწები, რა...

– კეთილი, თუ ასე გულით გინდა, მოუსმინე.

– გააგრძელეთ, გეთაყვა, – სთხოვა ტანიამ ბოშა ქალს.

ბოშა ქალმა ჩაიხითხითა:

– აი, ვხედავ, ყველაფერს ვხედავ, გეფიცებით, არ გატყუებთ, ოღონდ კიდევ ერთი მანეთია საჭირო.

– თქვენ რაა, თითო სიტყვაზე თითო მანეთს იღებთ? კი არ მენანება, უბრალოდ გკითხეთ, – მამუკამ თავი გააქნია და მანეთს მანეთი დაადო.

ბოშა ქალმა ფული დაყნოსა, რაღაც ჩაიბუტბუტა და მკერდის ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ ყავის ჭიქა თვალთან მიიტანა.

– მიხვეულ-მოხვეული გზები, საუბრები, აყალ-მაყალი, მილიციელის ქუდი.

– ალბათ შეგეშალათ,– უთხრა მამუკამ, – იქნებ ჯარისკაცის ქუდია?

– ჩემი მამუკა რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა ჯარიდან, – ტანიამ მამუკას მხარზე თავი დაადო და ლოყაზე მოეფერა.

ბოშა ქალმა თავი გააქნია:

– არა, ჩემო კარგებო, ეს არ ჰგავს ჯარისკაცის ქუდს.

მამუკას ჩაეცინა:

– წარმოიდგინე, შავ ნალექში რაღაც ხატია, რა თქმა უნდა შავად და არა მწვანედ და წითლად, ჰოდა, მიდი და გაარჩიე, ჯარისკაცის ქუდია თუ მილიციელის.

– სხვათა შორის შავ ქუდსაც ვხედავ.

– ეგ რას მიშნავს?

– ალბათ პატიმრის ქუდი იქნება.

მამუკა წამოდგა.

– წავიდეთ ტანია,– ხელი გადახვია.

– კიდევ ცოტა ხნით, ბოლომდე თქვას, გთხოვ.

მამუკა დაჯდა.

ბოშა ქალმა ისევ მიიტანა თვალთან ჭიქა.

– რას ხედავთ? – ჰკითხა ტანიამ.

– თავიდან ცუდად წავა თქვენი საქმე, ძალიან გაგიჭირდებათ, შეიძლება კარგა ხნითაც დაშორდეთ ერთმანეთს.

– როგორ? – ტანია ლამის ატირდა.

– მაგრამ ნუ შეშინდებით, ჭიქის ზემოთა მხარე თეთრია.

– მერე რას ნიშნავს?

– ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდება... – ამოიოხრა და მამუკას შეხედა,– სევდიან თვალებს ვხედავ, ვერ გეტყვით, ქალია, ბავშვია...

**ნარო კოლხელი**
**(ნარიმან იაშაღაშვილი)**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“ თანაგრძნობას უცხადებენ დიდ ქართველ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს მეუღლის**

**ნატაშა ჩხიკვაძის**

**გარდაცვალების გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ინჩხურის ტოპონიმები

**აბენაშ ნაკაროუ** – საბალახო ტაბაკონაზე, ქუაჯვარის ქვემოთ. **"აბენა მოსიავას კარავი მდგარა".**

**ანტოშ ნაცალა** – ტყე-ბუჩქნარიანი ფერდობი დიხაგიანთხორის დასავლეთით, დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით. **"ანტონ მოსიავას ნაცელ-ნაკაფია".**

**ბობოხოური** – სახნავ-საბალახო ოყურიაშ გოლასა და ჭოდინას შუა, ინჩხიის ნაპირებზე.

**გვაზოური ნაცაალეეშქვინჯი** – სახნავ-საბალახო ეწონორეში, ტაბაკელას სამხრეთით კლდისძირში, ლაკადის შემოგარენში.

**გუდულნაღურა – "სადაც გუდუ მოკვდა"** – წაბლნარი იაგეშის ზემოთ, 500 მეტრში. **"გუდუ ბაჩია წიფელს ჭრიდა და დაეცა. ომისდროინდელი ამბავია".**

**და დო ჯიმა ცხემური "და-ძმა რცხილის ხე"** – ორი რცხილის ხე ქვაბის ზემოთ, 250 მეტრის მოშორებით მიკაღალარღეესა და ქირფაღეეს შორის, ტაბაკონის ფერდობზე.

**დგებიაშ ნაღოხორუ, დგებიაშ ნამამულუ** – შემაღლება საბალახოებით დიდ და პატარა ინჩხიას შორის.

**დიართეი** – დაღმართი ემოსიეში, ებართიე – ბალდის გადასახედზე, გუდულნაღურას მახლობლად.

**დიდი კირდე** – კლდე ნაკირდაშის გასწვრივ.

**დიდი ქუა** – ლოდი ჩიჩიე გიშაის დასავლეთით, პლატოშ ყონას ქვემოთ, დაახლოებით 300 მეტრში.

დიდი ქუა, ჩეღეეშქვინჯი – სახნავ-საბალახო და ქვა-ლოდი ხურუს გასწვრივ, ხეიშის ქვემოთ.

**დიხაბია(ნ)თხორიი "მიწაჩამოყრილი"** – ფერდობი ნაფაცხუს ქვემოთ. **"შარა რე მიკოთებუი".**

**დიხაკურზულა, დიხაკურზულე** – გორაკი გაჭედილისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, სასაფლაოს პირდაპირ. **ჯვეშო დაჩხირი გერზუდუა დო ნიშანს არძენდესია. გონთხორიი დო გეკურზუერირე.**

**დობარე, მარანი** – ა) საბალახო ხურუში, ქვაბის ქვემოთ, უჩეფიშ ღეეს მახლობლად. უჩავების საგვარეულო მარანი ყოფილა უწინ გამართული. **გირძე მარანი გედგუდუ, ჯირგვაიში. ივანე უჩა იხვამანდუ, თიშ მუკუი – ბასილა უჩა. ასე ამირან უჩა იხვამანსი. უკუი თიშ სკიმომავარს გეირჩენა მახვამურო. ხვამა უჩქუდეს გიორგობას. ხელაიენს, წოწორიეფს დო უჩეფს ართო უჩქუდეს ხვამა (ინფ.);** ბ) საბალახო ინჩხიის ხეობაში, ყაიშის მახლობლად, ქუაჩამურის შემოგარენში.

**ვალოდიაშ ნაქერუ** – საბალახო ტაბაკონის ფერდობზე, ოთიეშის ქვემოთ, ხირგუსთავზე. **"ვალოდის ჩქოფოიას ქერი ეთესა".**

**ვასიშ დიდი ყონა** – საბალახო და ტყე-ბუჩქნარი ქეთეშ დიდი ყონას ქვემოთ. ვასილ მოსიავას ნაყანევი ყოფილა.

**ვედიდი** – მინდორი ტაბაკოს ქვემოთ, თე(ი)მ(უ)რაზიშ ნაყონეის აღმოსავლეთით.

**ვინა** – ბორცვი საბალახოებით ჭოდინას შემოგარენში.

**ზაკადარი** – ტყიანი ფერდობი ტაბაკონაზე, ჩეღეეს გვერდით.

**ზენიაგეეში** – ტყე ორტვინწყარის ზემოთ.

**თედორეშ ნაშენი** – საბალახო ხუტიაღეეს ზემოთში.

**იაგეში** – დავაკება, წაბლნარი ორტვიიწყარის დასავლეთით, გუდულნაღურას შემოგარენში.

**იაკობაშ წისქვიი** – წისქვილი ტუტაუჩას მახლობლად, პატარა ინჩხიაზე.

**ისიდორეშ ნაცალა** –ტყებუჩქნარიანი ფერდობი ინჩხიის მარჯვენა მხარეს, ნაქეროუს ქვემოთ, ემოსიეში. **"ისიდორე მოსიავას აქ შეშა დაუმზადებია და ტყე გაუკაფავს".**

**ისკიოდა** – დავაკება ნამარანუს ქვემოთ, სანკირეს გვერდით **"გოგო კიოდა და – ის კიოდაო. ამიტომ უწოდებიათ ისკიოდა. გამიგონია, ძველი სალოცავი ადგილი ყოფილა. აქვე დიდი კაკლის ხე იდგა".**

**კაჭარაშ ნახაჩქა "კაჭარავას ნათოხნი"** – მინდორი წიფურგას სიახლოვეს.

**კიბუეში** – ფერდობი და გზა-ბილიკი ზეინდის ჩრდილოეთით, ტაბაკოლას სამხრეთ კალთაზე.

**კონჩხი** – კლდე ტაბაკონის მთისკალთაზე, ემოსიეში, ინჩხიის სათავესთან, ჭითა(ნ)ტკიის დასავლეთით.

**კოტო(რ)წყარი** – წყარო შირიმიშ ნაფერმუს ზემოთ, წყარამღეეს შემოგარენში. ოშუმაი წყარი გეხვიუ კოტოჯგუა ქუას.

**ლადიმერიშ ზეინდი** – სახნავი, ზეინდის ნაწილი; ვლადიმერის ეკუთვნოდა.

**ლაკადა** – საბალახო გვაზოურის ზემოთ, ტაბაკოლას სამხრეთ კალთაზე.

**მართალმიკნაეფი "სადაც მართა გადავარდა"** – კლდე-ფერდობი ინტყერეს აღმოსავლეთით, დაახლოებით 100 მეტრში, ინჩხიის სათავესთან. **"მართა მოსიავა გადავარდნილა და დაღუპულა".**

**მართ(ო)უ** – მორევი ინჩხიაზე, ჭიჭე ინჩხიის შტო-სათავესთან.

**მაქსემე გაძღაშ ნეძი, მაქსიმეშ ნეძი** – მინდორი ეჩქოფოიეში, მაქსიმეშ ნოყონიეში. **"ყანაში საჩრდილობელი კაკლის ხე იდგა. ახლა არ დგას, კომუნისტების დროს მოჭრეს".**

**მეისარონი** – ტყებუჩქნარიანი ფერდობი და მინდორი ნაკაროუს ქვემოთ, სიკოშ ფერდის დასავლეთით, ემოსიეში.

**მიკაღალარღეე** – ხევი ტაბაკონის ფერდობზე, ქვაბის დასავლეთით. შარა ინწირორენ დო ფერდის ჯაეფი ხეთ ოკო მიკიღენ. წყარ მოურს ჭვიმაია დღას.

**მიკოტატაცერი, ტეფეაღაი, ტეფიაღეე** – ფერდობი ტაბაკოლაზე, ჩეღეესა და ხეიშიშ ღეეს შუა.

**მიხაიშ მასვანჯებუ "მიხას შესასვენებელი"** – ქვა ზეინდის ჩრდილოეთით, კიბუეშში.

**ნაბართოუ** – დავაკება ინჩხიის მარჯვენა ნაპირას, ეჭიჭაღუეში. სასაფლაოს შემოგარენს ეძახიან.

**ნამაცხვარუ** – ტყებუჩქნარიანი გორაკი და საკარმიდამო ეხელაიეში.

**ნარც(ი)ეი** – მაღლობი რეგასა და ჩხუტერს შუა, ეჭიჭაღუეში. უწინ სახნავები ყოფილა.

**ნაქაცარუ** – მინდორი ჭოდინაში, ინჩხიის მარცხენა ნაპირზე.

**ნაშეფუ** – შემოღობილი დავაკება, ტყებუჩქნარი ტაბაკონაზე, ნოჯიხენის ზემოთ.

**ნაშხურეში** – დავაკება ეწოწორეში, ჩეღეესძირში, ხეიშთან.

**ნაჭვი** – საბალახო ჩეშონას გვერდით, ხარაზოუსთან.

**ნესტორიშ ნაშხურეი** – ტყიანი ფერდობი დახოჯგიონჯირას შორის.

**ნოხორეი "ნასახლარი"** – სახნავები ეჯღარკეში. **"სამსო (ბაზი) ხელაიას ნასახლარია".**

**ნოჯიხენი** – ტყებუჩქნარიანი ფერდობი როპიაღეეს ნაპირზე, ნაფსიას დასავლეთით.

**იგორ კეკელია**
**მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი**

# სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში

*ყველა ერს აქვს თავისი ტრადიციები, ადათები და წეს-ჩვეულებები. ისინი შექმნა თვით ხალხმა, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ტომის, გვარის თუ ოჯახის ქცევა-მოქმედებებს, ცხოვრების შინაარსს. ყველა ზნე-ჩვეულებას გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი რიტუალური მოქმედება. ამის საფუძველზე იქმნებოდა ხალხური თქმულებები და ლეგენდები. ხალხური წეს-ჩვეულებები წარმოადგენდა მშრომელი ადამიანების ერთობის საშუალებას.*

*დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი არა მხოლოდ, უბრალოდ, ალამაზებენ ცხოვრებას, არამედ ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ისტორიულ გამოცდილებას. როგორც ქრისტიანობა, ისე ყველა სხვა რელიგია, სათემო-საგვარეულო დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ნერგავდნენ ხალხში თავიანთ ძირითად იდეებს.*

*ყველა ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული დღეები, რომელიც უკავშირდება რაიმე უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რამაც სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ამ დღესასწაულების დიდი ნაწილი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი დღესასწაულობდა ხვნათესვას, მოსავლის აღებას, იგონებდა სახალხო გმირებს. შემდგომში ბევრმა დღესასწაულმა რელიგიური ხასიათი მიიღო, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.*

*გაგაცნობთ საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, ომისა და შრომის ვეტერანის, ბატონ* **მირიან ჯალაღონიას** *მიერ მოძიებულ სამეგრელოსა და აფხაზეთში დღემდე შემორჩენილ დღესასწაულებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან იღებენ სათავეს.*

## ოჭკადირე (ხერხუნჯობა)

ეს სალოცავი ტარდებოდა სამურზაყანოში. მეხვამრეს (მლოცველს) სახლში ჰქონდა მოწყობილი სამჭედლოს პატარა მაკეტი, სადაც ტარდებოდა ლოცვა. ლოცვას ესწრებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცები. ზოგიერთებს მოჰყავდათ შესაწირი ცხვარი, თხა ან მამალი. ერთხელ გალელ სამ ძმას ოჭკადირეს მლოცველთან მიუყვანიათ დიდი ვაცი. გზად უფიქრიათ იქვე ეჭამათ ვაცის ხორცი, მაგრამ მლოცველმა თხა გაუშვა, ხოლო მათ კი მლაშე ყველი აჭამა.

## აბრეშუმის ჭიის სალოცავი

მაისში, თუთის ხის გაფურჩქვნისას ოჯახებს ურიგებდნენ აბრეშუმის ჭიის თესლს. მისი მოვლა და ზრდა თითქმის პირველ აგვისტომდე გრძელდებოდა. მას მეორენაირად თუთის აბრეშუმხვევიას ეძახდნენ. ეს ჭია ოთხჯერ იცვლიდა კანს, ე.ი. ოთხ საფეხურს გადიოდა. მეგრულად მას უწოდებდნენ: 1. სქიბუშ ფერი; 2. საჭყაპუტო; 3. საცირო; 4. დიდი კანი.

პირველად აბრეშუმის ჭიის თესლს ათავსებდნენ სპეციალურ ყანჭის ქაღალდზე (ჭიის ქაღალდზე), შემდეგ გადაჰყავდათ ჩაფარიაზე (დაწნული სიმინდის ღეროები), ბოლოს – ჩერტზე (წნელით დაწნულ სათავსოზე). საბოლოოდ, აბრეშუმის ჭია, როცა მოემზადებოდა დასაჭუპრებლად, მეაბრეშუმე უკვე აწყობდა ცახს. ზრდადამთავრებული ჭია ადიოდა ცახზე და იწყებდა პარკის ახვევას. სწორედ ამ დროს, რათა მისი ყანჭი (ჭია) ჯანმრთელი ავიდეს ცახზე, მეაბრეშუმე ასრულებდა სალოცავ რიტუალს. აცხობდა ხაჭაპურს, ანთებდა სანთელს, ჭიის სათავსოს ქვევით წვავდა წითელ ვარდს, ამბობდა სალოცავ სიტყვებს: **"ღმერთო, ჩემს აბრეშუმის ჭიას მიეც ძალღონე, რათა აახვიოს საღი პარკები, არ გამოერიოს ბახვა (დომფილი), ჭყვანჭყვა (ჩხარი), ნაპერტალი და ბონდღი".** ამის შემდეგ ოჯახის წევრები დიდი და პატარა ჯდებოდა სუფრასთან. სხვა მეზობლებს არ მიიწვევდნენ, ეშინოდათ, არ გაეთვალათ. მეზობლებსაც ერიდებოდათ, რადგან ხშირად პარკის უშემოსავლება ბრალდებოდა მაკუჩხურს (მეფეხურს).

აბრეშუმის ჭიის მოსვლისას ხალხში გავრცელებული იყო მავნე მწერების, მღრღნელებისა და ქვეწარმავალთა სახელების დამალვა. ჭიანჭველას ეძახდნენ **"პუხუამს"** (კუზიანს), თაგვს – **"კუდელამს"** (კუდიანს), რწყილს – **"მაცოყალს"** (მხტომარეს), გველს – **"უჩაღართამს"** (შავჩოხიანს) **"უსახელოს"**.

აბრეშუმის პარკის აღებისთანავე წვავდნენ ცახსა და ნაგავს, რომელიც დატოვა აბრეშუმის ჭიამ. ეს ემთხვეოდა ზუსტად ჭიაკოკონობას. იშვიათად თუ იყო შემთხვევა ძველი სტილით, 20 ივლისს, ელიობის დღეს წვიმა არ მოსულიყო და არ გადაერეცხა სიბინძურე.

სამეგრელოში ამ დარგს დიდი ყურადღება ექცეოდა, რადგან უწინ ეს იყო გლეხკაცის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყარო. ჯერ ერთი, სახელმწიფო აბრეშუმის პარკს იბარებდა მაღალ ფასებში და მეორეს – პარკიდან ამზადებდნენ აბრეშუმის ძაფს. უმრავლესობას სახლში ჰქონდა საქსოვი დაზგა. ქსოვდნენ დარაიებს, კერავდნენ საბნებს, ახალუხებს და სხვა ტანისამოსებს.

## ალანურობა

ალანურიბა ტარდებოდა ხობის რაიონის სეფელ ბიაში, 20 აგვისტოს, ჭანისწყლისა და მდინარე ხობისწყლის შესართავთან. ამგვარი დღესასწაული ტარდებოდა აგრეთვე გალის რაიონის სოფელ ოქუმში, ჩხორთოლსა და რეფში.

ეს დღესასწაული ეძღვნებოდა ყველაზე ძლიერ მამაკაცებს. ახლაც იტყვიან **"ალანცალო სქი"**-ს (ალანივით ბიჭიაო). აქედანაა სახელი არამხუტუ, ე.ი. ძლიერზე-ძლიერი. სხვადასხვა სოფლების ალანები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სადაც გამოვლინდებოდა ძლიერზე-ძლიერი. ეს იქნებოდა ჭიდაობაში, ცეკვა-თამაშსა თუ ჯირითში.

სოფელ რეფში ალანურიბას ხელმძღვანელობდა მღვდელი ალექსანდრე რურუა. ლოცვის შემდეგ იმართებოდა ჯარალუა. ერთ-ერთ ალანობაზე მღვდელს უთქვამს **"ვინც დღეს დაიმსახურებს ალანობას, იმას ჩემს ქალიშვილს მივათხოვებო".** ასეთი ბედნიერება კი თარასხან ტაბაღუას რგებია.

ალანებს ეძახდნენ თათარ-ყაჩაღებს.

ოსებს ალანების სადღეგრძელოდ სპეციალური თასი ჰქონიათ. სასმისს ნუაზანი ერქვა. ამგვარი სასმისით გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ და მხოლოდ ისინი სვამდნენ ამ თასიდან. შეჯიბრში დამარცხებულნი კი შერცხვენილნი ისხდნენ და ემზადებოდნენ შემდეგი ბრძოლისათვის, რათა ეს სასმისი მიეღოთ. სასმისს აძლევდნენ იმასაც, ვინც სიმართლეს არ უღალატებდა.

ალანები წარმოადგენდნენ სკვითთა შთამომავლობას. მათაც ასეთი სასმისი ჰქონდათ შეჯიბრების დროს.

გამარჯვებულთათვის ასეთი სასმისი ჰქონდათ ნაართებსაც, რომელსაც ნართაობას ეძახდნენ.

*(გაგრძელება იქნება)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვიგოთ არჩევნები

*(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)*

**ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.**

ახლა კი განვიხილოთ სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მიერ შემოთავაზებული საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმის **„სამომავლო"** მოწყობის მოდელები. მაგრამ, სანამ უშუალოდ თითოეულს ცალ-ცალკე განვიხილავდეთ, მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ **„სახელმწიფოს მმართველობის ფორმა"** ეს არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება.

საქართველოში პოლიტიკური სუბიექტების დიდი ნაწილი მოითხოვს პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას, რომლის ხელშიც თავმოყრილია სოლიდური ძალაუფლება და უფლებამოსილება. პრეზიდენტის ინსტიტუტი პირველად **აშშ**-ში იქნა შემოღებული, როგორც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც შემდეგ ევროპის და სხვა კონტინენტების ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა შემოიღო. ამჟამად მსოფლიოს 130 სახელმწიფოში არსებობს პრეზიდენტის ინსტიტუტი. ამერიკული **„პრეზიდენტის"** ტრანსფორმირება და დამკვიდრება სხვა ქვეყნებმა სხვადასხვა ფორმით მოახდინეს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს. საერთოდ **„დემოკრატიულ"** სახელმწიფოებში საპრეზიდენტო სისტემებს აქვს გარკვეული ტენდენცია პარლამენტი დაუმორჩილოს პრეზიდენტის აღმასრულებელ რგოლს. პრეზიდენტს, რომელსაც აქვს უმაღლესი უფლება გამოსცეს ბრძანებულებები (დეკრეტები) და დადგენილებები, გარკვეულწილად გვერდს უვლის ხელისუფლების მაკონტროლებელ შტოებს და ახდენს ნაწილობრივ საკანონმდებლო უფლებამოსილების უზურპაციას, რაც, ბუნებრივია, შედის კონფლიქტში სამართლიანობასთან და ამკვიდრებს კვაზიდემოკრატიას. ამიტომ ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის პირობებში აუცილებელია ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა და დემოკრატიული პრინციპების დაცვა. ამას თავად საზოგადოებამაც უნდა შეუწყოს ხელი ჩვენთან არსებული საპრეზიდენტო, უფრო სწორად ნახევრად-საპრეზიდენტო (ე. წ. ფრანგული მოდელი) მართვის მოდელი ვერ იცავს ბალანსს სახელისუფლო შტოებს შორის. შესაძლოა, ეს სამოქალაქო აქტივობის არარსებობის ბრალია. საზოგადოებამ, რომელიც ირჩევს ხელისუფლებას და უხდის **„გასამრჯელოს"** გაწეული სამსახურისათვის, უნდა იკისროს ვალდებულება **„ამუშაოს"** თავის და ქვეყნის საკეთილდღეოდ მისი რჩეულები და იმავდროულად გააკონტროლოს მათი მოქმედება კანონის ფარგლებში. თუმცა ფაქტია, ის რომ საზოგადოება გამოთქვამს უკმაყოფილებას არსებული ხელისუფლების მიმართ და გამოთქვამს გარკვეული სახის ბრალდებებს, მაგრამ, **სოკრატეს თქმისა არ იყოს, „ადვილი როდია ისეთი საქმის პოვნა, რომელშიაც ვინმეს რაიმე ბრალი არ დაედოს, ძალზე ძნელია ისე გააკეთო საქმე, რაღაცაში არ შეცდე, უნაკლოდაც რომ შეასრულო საქმე, მაინც ძნელია, განუკითხავი მსაჯულის ყბაში ჩავარდნას გადაურჩე".**

რაც შეეხება მმართველობის საპარლამენტო მოდელს, ამ დროს ერთადერთ კანონიერ (უპირველეს) ინსტიტუტად გვევლინება პარლამენტი. მთავრობა კი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უდგას სათავეში, მთლიანად დამოკიდებულია ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის ნდობის ვოტუმზე და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. საპარლამენტო რესპუბლიკის დროს (უმეტეს შემთხვევაში) სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი, რომელსაც აქვს შეკვეცილი უფლებამოსილება. იგი აირჩევა პირდაპირი (ხალხის) კენჭისყრის ან პარლამენტის მიერ. ამ სისტემაში პრეზიდენტი არ აგებს პასუხს მთავრობის საქმიანობაზე. მას აქვს სიმბოლური ფუნქცია და წარმოადგენს კონსტიტუციური წყობის ურყეობის გარანტს და მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისების გამწვავების დროს გამოდის **„სამოღვაწეო ასპარეზზე"** და იყენებს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ საშუალებას, შეინარჩუნოს საზოგადოებრივი სიმშვიდე.

**საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში არსებობს მინიმალური საფრთხე – მოხდეს ხელისუფლების უზურპაცია (ასეთი გამონაკლისი არის ჰიტლერის მოსვლა ხელისუფლებაში). ამ მოდელის დროს პარლამენტი, რომელიც არის ქმედითუნარიანი და ქმნის რეალურ პოლიტიკურ ამინდს (კანონებთან ერთად), სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარების მეტი შანსი არსებობს. საპარლამენტო რესპუბლიკა უზრუნველყოფს მრავალპარტიულ და პლურალისტურ პარლამენტს, მთავრობა კი კომპლექტდება პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების კვოტების მიხედვით.** საპარლამენტო რესპუბლიკის დროს აუცილებელია არსებობდეს სოლიდური შესაძლებლობების მქონე პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შეძლებენ პარლამენტში წონასწორობის შენარჩუნებას. ამ სისტემაში **„ქუჩის პოლიტიკის"** საჭიროება ნაკლებად არსებობს, რადგან პარტიებს თავიანთი ელექტორატის დაკვეთით აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ პოზიცია პარლამენტში. მაგრამ აქაც საჭიროა პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე, რადგან საპარლამენტო დებატები თუ განხილვები პოლიტიკურ **„ყაყანად"** არ იქცეს.

საერთოდ კი **პოლიტიკური კულტურის მქონე და ცივილიზებულად განვითარებული ერისთვის უმჯობესია მმართველობის საპარლამენტო მოდელი,** თუმცა ამ ეტაპზე, როდესაც არ არსებობს ძლიერი ოპოზიციური პარტიები (ზოგიერთს უკანასკნელი **„ამოსუნთქვაღა"** დარჩენია ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო), შესაძლებელია უმჯობესი იყოს პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა – კონსოლიდირებული აღმასრულებელი რგოლით, რომელიც იქნება დაბალანსებული სამართლებრივი და დემოკრატიული ნორმებით.

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით კონსტიტუციური მონარქია არის ერთ-ერთი ცივილიზებული ფორმა მმარველობისა. ამ დროს მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია, მას აქვს მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია და განასახიერებს სიმბოლოს, შემდეგი ფორმულით **„მეფობს, მაგრამ არ მართავს".**

კონსტიტუციური (წარმომადგენლობითი) მონარქიის პირობებში მონარქი არის სახელმწიფოს მეთაური. იგი ითვლება სახელმწიფოს (ერის) ერთიანობის და ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლოდ. მონარქი არის ზეპოლიტიკური და ზეპარტიული ავტორიტეტი (ლიდერი). იგი ნეიტრალურია პარტიული იდეოლოგიისაგან და აღიარებს ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას გამარჯვების შემთხვევაში, რამეთუ **„ეს არის ნება ერისა".** ამიტომ საპარლამენტო არჩევნების შედეგის გათვალისწინებით არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს ავალებს, წინასწარ განსაზღვრულ კონსტიტუციურ ვადებში მოახდინოს მთავრობის ფორმირება.

მონარქი ასევე არის მთავარსარდალი, რომელსაც ემორჩილება სამეფო სარდლობა და საჯარისო შენაერთები. სწორედ მისი პრეროგატივაა საომარი თუ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ა. შ.

კონსტიტუციური მონარქიის დროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის და მთავრობის ხელშია. ამ უკანასკნელს კი სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი. მონარქი არ ერევა აღმასრულებელი, საკანონმდებლო თუ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში, მაგრამ არის გარანტი იმისა, რომ სახელმწიფო შტოებს შორის შენარჩუნებულ იქნას ბალანსი და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობა.

ამრიგად, **სახელმწიფოს მმართველობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს კონსტიტუციური მონარქია, რომელიც საქართველოს მოწყობის შესაძლო მოდელად არის წამოყენებული.** აღსანიშნავია ისიც, რომ ეს იდეა ყველაზე პირველმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წამოაყენა. უდავოდ მისასალმებელი და დასაფიქრებელი წინადადებაა, თუმცა რაც არ უნდა მოვინდომოთ ამ იდეის უახლოეს წლებში ხორცშესხმა, მაქსიმალური გათვლებით მინიმუმ 10 (თუ მეტი არა) წელი მაინც დასჭირდება (რადგან მონარქი ჯერ უნდა აღიზარდოს, მანამდე კი მომზადდეს ნიადაგი მონარქიის აღსადგენად), ანუ კიდევ ორი **„საპრეზიდენტო"** (?) არჩევნები. მაგრამ ამ იდეაზე დაფიქრება და სერიოზული დისკუსია საზოგადოებაში აუცილებელია.

რაც შეეხება ზოგიერთი **„პოლიტიკური ძალის"** მიერ გაჟღერებულ განცხადებას სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის სამომავლო გეგმაზე – **„ქვეყნის ფედერალიზაციაზე"**, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ეს **„იდეა"** არის ერის ღალატი და სახელმწიფოს დაქუცმაცებას ნიშნავს. ზოგადად შეიძლება იდავო სახელმწიფოს მმართველობის ფორმებზე, მაგრამ საქმე როგორც კი ტერიტორიული მოწყობის ფორმას შეეხება, გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოსთვის ერთადერთი საუკეთესო ტერიტორიული მოწყობის ფორმა არის უნიტარიზმი!!! რადგან ქვეყნის დაყოფა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიებად, ანუ ე. წ. საკავშირო სახელმწიფოებად, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებას.

და ბოლოს, რაც არ უნდა ვიდავოთ, სახელმწიფო მმართველობის როგორი ფორმა გაამართლებს ან არ გაამართლებს, ძნელია ამაზე თეორიების დონეზე იმსჯელო, რადგან ზოგჯერ თეორიაში იდეალიზებული პრაქტიკაში კრახს განიცდის ხოლმე. თუმცა, ნებისმიერი ტიპის მმართველობა გაამართლებს თუკი იქნება დემოკრატიული პრინციპები და სამართლიანობა დაცული.

ამიტომ ასეთი სახის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებამ უნდა მიიღოს, რადგან ისეთი ტიპის პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც ერთი ფორმაციის მეორე ფორმაციით ჩანაცვლებას გულისხმობს, შესაძლებელია უარყოფითი ასახვა ჰპოვოს პოლიტიკური განათლების დეფიციტში მყოფ საზოგადოებაზე. პოლიტიკური მმართველობის ფორმაციული ცვლილებები (ზოგჯერ თავს მოხვეული) რევოლუციური ხასიათის მატარებელია და მეტწილად კონსერვატიული შეგნების მქონე ქართული საზოგადოება ამას ვერ გუობს, რადგან **„იყო კონსერვატორი, ნიშნავს უპირატესობა მიანიჭო ცნობილს – უცნობთან შედარებით, პრაქტიკით შემოწმებულს – გამოუცდელთან შედარებით, ფაქტს – მოგონილთან შედარებით, დღევანდელ დაკმაყოფილებულს – უტოპიურ ღვთაებრივთან შედარებით..."** – ამბობს მ. უოკშიტი. ამიტომ ასეთი ტიპის ფორმაციული ცვლილებები, რომელიც ერთი ხელის მოსმით ხალხის ინტერესების საზიანოდ იქნება განხორციელებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისების წარმოშობის საფრთხეს კიდევ უფრო მეტად გაზრდის. აქედან გამომდინარე, **„ერის ხმისთვის"** ყურის გდება აუცილებელია.

საერთოდაც ძნელი სათქმელია წინასწარ თუ რომელ მოდელს მიანიჭებს საზოგადოება უპირატესობას, მაგრამ როგორც თომას პეინმა ბრძანა, **„ხალხის განუყოფელი უფლებაა ნებისმიერ დროს მოსპოს მისთვის მიუღებელი მმართველობის ფორმა და შეცვალოს იგი მისი ინტერესების, სურვილის და ბედნიერებისაკენ მისწრაფების შესაბამისი ახალი ფორმით".** ვნახოთ, გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას ხალხი, შეცვლის თუ დატოვებს მმართველობის არსებულ ფორმას, შემოუშვებს თუ არა საზოგადოების პოლიტიკურ ძარღვებში ახალ პოლიტიკას თუ დატოვებს იგივეს. დიახ, ამას არჩევნების გზით ხალხი გადაწყვეტს, რადგან **„მისი უდიდებულესობა"** ხალხია წყარო ხელისუფლებისა და შემოქმედი პოლიტიკისა.



ილორი

# ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში "ამბროსი აღმსარებლის" სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი".*



ცხენისწყლის გადაღმელები ქუთაისსა და თბილისში ცოდნის დასაუფლებლად ნებართვას მთავრის კანცელარიაში ითხოვდნენ. საარქივო მასალებით ამგვარი ნებართვა მხოლოდ რამოდენიმეს მიუღია. მათ შორის საჭილაოდან კონსტანტინე ნანეიშვილს, მარტვილიდან ალექსანდრე ჭალაგანიძეს და ბანძიდან ალექსანდრე ფაღავას. ამგვარი მოწმობები გაუტანიათ მთავრის ნებართვით, ჩიჩუას, ფაღავას, ლოლუას და გაბუნიას. თუმცა გავლენიანი თავადის მაქსიმე ქოჩაკიძის თხოვნას, აი ასე უპასუხეს:

„მოწყალეო ხელმწიფევ,დავით ლევანის ძევ!

„კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორმა გადმოგზავნა ჩემს სახელზე სამეგრელოს სამფლობელოს – მარტვილის ოლქის მდივანბეგის პროპორჩიკ თავ. მაქსიმე ქოჩაკიძის მოხსენებითი ბარათი დასკვნისთვის მისი შვილის გიორგის დაბადებიდან 6 წლის, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კეთილშობილთა პანსიონში მიღების შესახებ. ამის გამო მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს უგანათლებულესობას, უბრძანოთ გამოუცხადონ მთხოვნელს,რომ კავკასიის სასწავლო ოლქის დებულების საფუძველზე, თბილისის პანსიონში არ ეკუთვნით აღსაზრდელად სახელმწიფოს ხარჯზე სამეგრელოს თავადებისა და აზნაურთა შვილებს. ხოლო ქუთაისის გიმნაზიის კეთილშობილთა პანსიონში მათთვის არის ხუთი ვაკანსია და პანსიონთა ჩარიცხვა თქვენი ბრწყინვალების შეხედულებაზეა მინდობილი. ამასთან საჭიროდ ვთვლით დავსძინოთ,რომ ქუთაისის პანსიონი უნდა გაიხსნას 1854 წლის დამლევს და 1855 წლის დასაწყისში ე. ი. მაშინ,როდესაც თავადი ქოჩაკიძის შვილი მიაღწევს ამ დაწესებულებაში მისაღებად დადგენილ სათანადო ხნოვანებას".

გარემო,რომელიც ბესარიონის ირგვლივ შექმნა უფრო ეკლესიური სჭარბობს. მამა მღვდელია. მორდუ და დედა მორწმუნეები არიან. სწავლა სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, სადაც უმთავრესად წერა-კითხვას, ლოცვებს და საეკლესიო ცხოვრების აუცილებლობებს ასწავლიან.

ყოველივე შთაგონების ძალას იძენს.

მისი გონება, გული და სული უფრო იმას გუობს, რაც ყოველდღიურობამ შვა ყმაწვილის არსებაში.

ამ ძალას დაჰყვა იგი,სადაც თეორიული ცოდნა და იურიდიული მოწმობა უნდა მიეღო, რაც მისი ხორციელი ცხოვრების, სულიერ არსებობად გარდაქმნას უქადის.

სასწავლებელში მოსწავლეებს „დიაკვნებს" უწოდებდნენ.

ორი სასწავლო წლის განმავლობაში რამდენი რამ დაამახსოვრდა ამბროსის. ყველაზე უფრო ის, როცა აუხსნეს, რომ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის ტიტული იყო მეათე საუკუნიდან და მას სხვადასხვა დროს ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიები, ჰქონდა დიდი გავლენა. იყვნენ ჭყონდიდელები გიორგი, ანტონი, ევდემონი, რომლებიც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

მეორე. მარტვილის ტაძრის მხატვრული დეკორი სახიერად წარმოაჩენდა უხილავი ზეცის სამყაროს. აერთიანებს და კრავს სხვადასხვა დროსა და სივრცეში მომხდარ საგანგებო ქრისტიანულ მოვლენებს. მუდამ მკაცრი შინაგანი ლოგიკით დაკავშირებული,ერთ მთლიან ორგანიზმად გაიაზრება. რადგან ყოველი ეკლესია ხილული ხატია უფლისა. იგი გადმოსცემს კიდეც ყველა ცალკეულ შემთხვევაში განუმეორებლად, განსაკუთრებულ სახეს ორი სამყაროს მიუწვდომელ საიდუმლოებას.

„გუმბათის კამარაში ანგელოზთა ზეციური დასის ორმაგი სარტყელით მოსილი მაცხოვრის გამოსახულების ფრაგმენტია, რომელსაც თექვსმეტი წინასწარმეტყველი შემოუყვება. გუმბათი,როგორც მოცემული წარწერა განმარტავს „საყდარი უფლისა არს". ხოლო გუმბათქვეშ სივრცე – ხილული სამყაროა. შუაში კი გუმბათის წრიდან გუმბათქვეშა კვადრატზე გარდამავალი ოთხი ბურჯის თაღოვან ტრომპებზე,გამოყვანილია მხატვრობის ძირითადი არსი ოთხი სიმბოლური გამოსახულების სახით. ესენია ძველი აღთქმა, „სამება" ანუ „აბრაამის სტუმართმოყვარეობა",„ნიშნოვანი ღმრთისმშობელი",„პირი უფლისა" ანუ „ხელთუქმნელი ხატი" და „ვედრება". ყოველივე მიანიშნებს უფლის განკაცების გზას დასაბამიდან დასასრულამდე".

პირველად გაიგო ტაძრის მხატვრობას რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ასევე პირველად განიცადა კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის განსხვავებულობის შესახებ.

მასწავლებელმა დეტალურად აუხსნა, რომის პაპის მიერ საქართველოში მისიონერთა მოვლინების შესახებ. მან დაასახელა ვინმე არქანჯელო ლამბერტი, რომელიც სამეგრელოში,დადიანთა კარზე შვიდი წელი ცხოვრობდა. მისიონერმა ვერაფერი გააწყო, პირიქით, კინაღამ თავად მოექცა მართლმადიდებლად. „რწმენა ქართველთათვის ძლიერი ძალაა, რწმენა კლდეა უტეხი, რწმენა ულევი ზღვაა" – თქვა მასწავლებელმა და დაამატა. როცა ლამბერტი სამშობლოში დაბრუნდა წიგნი გამოსცა, სადაც აუგად მოიხსენია ქართველები,ფეხშიშველა დარბიანო,ქურდობა მათი ხელობააო, თუმცა რწმენით მყარნი არიან და შეუვალნიო.

***

მესამე წლის მეცადინეობა განსხვავებული და კიდევ უფრო რთული შეიქნა. რუსულ გაკვეთილს შარაბიძე ატარებდა. მათემატიკას კაპიტონ გაწერელია ხელმძღვანელობდა, ქართულს სიმონ მაჭარაძე უძღვებოდა, საღვთო სჯულს დავით მაჭავარიანი.

მაღალ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირდებოდა, იმის გამო, რომ რთულ, ზოგჯერ გაუგებარ მეცადინეობებს, მეტწილად უხეში და მკაცრი რეჟიმი ემატებოდა.

მოსწავლეთა დასჯის მეთოდები იმდენად სასტიკი იყო, მოსწავლეები გარბოდნენ სასწავლებლიდან.

ბესარიონს რუსული ასოების კოხტად გამოყვანა უძნელდებოდა,თორემ სხვებთან შედარებით ადვილად სძლევდა პროგრამულ მასალას. „რადნოე სლოვო" რუსეთში მცხოვრები ბავშვებისათვის იყო შედგენილი, ამიტომ გახდა იგი ქართველი მოსწავლეებისათვის რთული.

რაც ბესარიონს დააინტერესა იყო ის, რომ ანტონ მაჭარაძემ მის მშობლიურ სოფელ ინჩხურზე მოუყვა.

„დიდებულიაო ინჩხური,იქ იშვაო ივანე მინჩხი. მას განათლება ნამდვილად საქართველოში არსებულ რომელიმე აკადემიაში აქვს მიღებული და ქველმოქმედი მეფის გიორგი მეორის კარზე მოღვაწეობდაო. გიორგი მეფე სიუხვითა და აზრთა ძლევით საქვეყნოდ ცნობილი იყო. ტაძარ-მონასტრებს ჭარბად აგებდა, სარწმუნოების ქომაგობით ბევრ მეფეს აღემატებოდაო. ჭყონდიდის ტაძარი მის დროს დაარსებულად ითვლება. ივანე მინჩხი ლექსებს თხზავდა, სწორედ მან მიუძღვნა „გალობანი გიორგისანი" მეფეს. ივანე სასულიერო პირი არ გამხდარა,ბოლომდე დარჩა საერო მოღვაწედ,ამას ადასტურებს სახელი ივანეო. სასულიერო პირი რომ ყოფილიყო ერქმეოდა იოვანეო. ცნობილი სწავლულის შესახებ მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული,სადაც შესულია ივანე მინჩხის ნაწარმოებებიო. რაც მთავარია მან დაამკვიდრა ლექსების წერის თავისებური ფორმა,რასაც პოეზიაში ეწოდება „სპადუქი" და მინჩხი ითვლება ამ სტროფ-ტაეპობრივი წყობის შემომქმედადო... ანუ გალობანი შეიცავს ხუთ სალექსო საზომს,შეწყობილს ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთანო".

ნოემბრის ღამე იყო, გარეთ გამოვიდა. ცას ახედა ბესარიონმა. რატომღაც ივანე მინჩხი მოაგონდა, მისი სული ზეცაშიაო და მონდომებით დაუწყო ძებნა. ყმაწვილური გატაცების თეთრ ღრუბელზე იჯდა.

იგი ახლა იმ ასაკში იყო, როცა მოზარდებს წარმოსახვები და ფათერაკები იტაცებენ.

ჰქონდა საწინააღმდეგო შეგრძნებებიც... რუსულის მასწავლებელი შარაბიძე თითქმის მუდმივად ჩააგონებდა მოსწავლეებს რუსების შემოსვლამ რა სიკეთე მოუტანა საქართველოს. ყოველი შეცდომის ან გაკვეთილის არცოდნის შემთხვევაში სახაზავით სცემდა ან კუთხეში მუხლებზე აყენებდა მოსწავლეებს.

„გირჩევთ შეიგნოთ კეთილი მეზობლის მოწყალება – ამბობდა იგი – განავითარეთ თქვენი სული ღმერთთან სიახლოვით, თავმდაბლობით,პატიოსნებით,მორჩილებით. ქართველებს ერთი ფრთა აქვს, რომ გაფრინდეს მეორე სჭირიაო, აი, ის მეორე ფრთა რუსეთია და თუ გვინდა მათთან კარგი ურთიერთობა გვქონდეს, მათი ენა უნდა ვიცოდეთო".

ბესარიონი აშკარად ამჩნევდა, რომ მასწავლებლებს შორის განსხვავება იყო. ერთნი ფრთხილად, მაგრამ ქვეყნის ერთგულებას ავლენდა,მეორენი რუსეთის თაყვანისცემას გამოხატავდა. სამშობლოსა და ღმერთის სიყვარული გამოგონილი არ იყო. დარწმუნდა, რომ ქართველ ხალხს იმდენი სულიერი და ფიზიკური წვრთნა გააჩნდა, იმდენად მდიდარი და ძლიერი იყო, რომ შეეძლო აწმყოსა და მომავლისათვის საღი თვალით შეეხედა.

ბესარიონი იმასაც ჩახვდა. სასწავლებელში უხეში რეჟიმი მოქმედებდა, რომელიც ზღუდავდა ეროვნულს და თავისთავადს. მის არსებაში უკვე იგრძნობოდა რაღაც მოუსვენარი,უეცარი ნახტომისათვის გამზადებული რაღაც. რაც მისი შინაგანი არსებიდან გამომდინარეობდა. უკვე აგრძნობინებდა ირგვლივ მყოფთ, რომ მთელი თავისი არსებით იგი ღვთის მორჩილი იყო,რომელიც არ უკრძალავდა სამშობლო ყვარებოდა. მას ჰქონდა ამის წინაპირობა. მღვდელი მამა,გარემო ეკლესიური, სამშობლო დაპყრობილი.

მას უფალმა დაანათლა ნიჭიერება,რომ შეეგრძნო და შეეთვისებინა თანამედროვეთა მოწინავე იდეები.

მესამე კლასში სწავლობდნენ ძმები ხელაიები,რომ მამა ზოსიმემ შვილებს საცხოვრებელი შეუცვალა და უმცროსი ვაჟი პორფილე სასწავლებლად მიიყვანა. ამჯერად დაბა მარტვილში ივანე ოდიშარიას სახლი შეარჩია.

ამის შესახებ მწერალი თედო სახოკია იხსენებს:

„მამამ... მარიამობისთვის გასულს მარტვილში ჩამიყვანა და წარმადგინა სასულიერო სასწავლებელში... დამსვეს პირველ მოსამზადებელში... ბინა მამამ ერთი გლეხის, ივანე ოდიშარიას სახლში დამიდო. იქვე იდგნენ ძმები ბესარიონ და გიორგი ხელაიები უკვე მესამე კლასის მოწაფენი და მათი ძმა პორფირე,ჩემი ამხანაგი კლასით, ბესარიონ ხელაიამ ხელი მოჰკიდა ჩემს სწავლას და ორი კვირაზე ქართული კითხვაც შემასწავლა და წერაც".

სჩანს, ნიჭიერი ბესარიონი სხვებსაც შველოდა და ამ კეთილშობილურ თვისებას იგი შემდგომ მთელი ცხოვრების მანძილზე ავლენდა.

უკვე მეხუთე კლასის მოსწავლე იყო ბესარიონი და მისი ძმა გიორგი, როცა მამამ ისინი ოჩამჩირეში წაიყვანა არდადეგებზე.

სწორედ იქ გაიგებს 15 წლის ბესარიონი უკეთ რამ გამოიწვია სამურზაყანოსა და აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის გააქტიურება. რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული აფხაზი მოსახლეობის წიაღში რა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული საეკლესიო მოღვაწეობა. რომ 1866 წელს, კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს აცნობებდა აფხაზეთის ეპისკოპოსი, რომ აფხაზები სულ უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობით ინათლებიან ქრისტიანებად. ამას გავრცელებული მაჰაჯირობა აფერხებდა.

თუმცა საქართველოს ეგზარქოსი ყოველმხრივ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სკოლა გაეხსნა მოზარდებისათვის: „1868 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ხელშეწყობით დამატებით 11 სკოლა გაიხსნა (ოქუმში, ბარღებში, ნაბაკევში, გუდავაში, თაგილონში, პირველ და მეორე საბერიოში, ჭუბურხინჯში და ფახულანში), სადაც 287 მოსწავლე, მათ შორის 37 გოგონა ირიცხებოდა. მომდევნო წელს ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდა – 340 მოსწავლე. მათ შორის 48 გოგონა იყო".

„1864 წლის აღწერით სოხუმში ცხოვრობდა 450 ქართველი (მეგრელი) 217 ბერძენი, 78 სომეხი, 25 აფხაზი, 25 თურქი, ამდენივე რუსი. გარდა ამისა ცხოვრობდა 320 უცხოელი, 42 ოფიცერი, 24 ჩინოვნიკი და 5 გავლენიანი ვაჭარი".

ძმებს მამა ზოსიმემ ისიც მოუყვა ილორში ეპისკოპოსი გაბრიელი გვეწვიაო.

„მართლაც 1868 წლის 20 აპრილს თბილისში გენერალ ბარტოლომეს,ეპისკოპოს გაბრიელის და სხვათა მონაწილეობით ჩატარდა თათბირი,სადაც მიიღეს თანხმობა საქართველოს ეგზარქოსის ევსევის წინადადებაზე,რომ იმერეთის ეპისკოპოსმა შეიერთოს აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიები და აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცებისთვის მიიღოს უცილობელი ზომები. შეიმუშაოს წინადადებები,რომ გაიგზავნოს იქ მასწავლებელი მეტი ვიდრე სხვა ადგილებში,მეტი მღვდლები და დიაკვნები სოლიდური ხელფასებით".

„იმავე წელს მაის-ივნისში გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) ჩავიდა სოხუმში,მას ახლდნენ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი ვ. გეიმანი,აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე, ბლაღოჩინი დ. მაჭავარიანი და სხვა სასულიერო და საერო პირნი.

ეპისკოპოსმა შემოიარა მთელი აფხაზეთი და სამურზაყანო. მას ყველგან დიდის სიხალისით ეგებებოდნენ,როგორც ქრისტიანები, ისე მუსულმანები.

27 მაისს გაბრიელი ილორს ეწვია. უამრავი ხალხი დაესწრო წირვას. ზოსიმე მღვდელს პირისპირ ესაუბრა და კმაყოფილი დარჩა მისი საქმიანობით.

შემდეგ გაბრიელი დაწერს: „ილორში ვნახე ძველებური ხატები ქართული წარწერებით, რკინის სკივრში ოქროსა და ვერცხლის ნივთები იყო შენახული".

მე-19 საუკუნის დიდი ქართველი მოძღვრის გაბრიელის აფხაზეთსა და სამურზაყანოში ყოფნამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. სოხუმის ოლქის უფროსი კავკასიის მთიელთა სამმართველოს მოახსენებს: „მინდა მოგახსენოთ, რომ გაბრიელის მოგზაურობიდან დაიწყო დიდი პროპაგანდა მუსულმანობის წინააღმდეგ ამ მხარეში".

შემდგომ წლებში ეპისკოპოსმა არაერთხელ შემოიარა აფხაზეთი და სამურზაყანო, ახალმონათლულთა რწმენაში განმტკიცების მიზნით.

ზოსიმე მღვდელს სავსებით სწორად ჰქონდა გათავისებული ქრისტიანობის გავრცელების როლი აფხაზეთში. ამიტომ იგი აქტიურად ჩაება ახალი ეკლესიის გამართვის აუცილებელ საქმეში. ამ მხრივ მან მხარი დაუჭირა ეპისკოპოს გაბრიელის ინიციატივას. აი, რას ვკითხულობთ აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ანგარიშში „ილორის ეკლესიისგან ნასესხები 2774 მანეთით აშენდა ან შეკეთდა ააცის,კალდახვარის,ოთხარისა და კულანურხვის ეკლესიები", სწორედ ჩამოთვლილი ეკლესიები აკურთხა გაბრიელმა 1870 წელს.

ილორიდან მარტვილში დაბრუნებული ბესარიონი უფრო ბეჯითად შეუდგა მეცადინეობას. საღვთო ლიტერატურას უკირკიტებდა. საერო ნაწარმოებებსაც გაუსინჯა გემო.

კაპიტონ გაწერელიამ და განსაკუთრებით კი ლიტერატურის ახალმა მასწავლებელმა ნიკო ჭარაიამ აუხსნა,რომ აუცილებელია „ქართლის ცხოვრების" გაცნობა, „სიტყვის კონის", „ქილილა და დამანას",„ვისრამიანის",„ვარდბულბულიანის" წაკითხვა. მარად ჩარჩა გონებაში სიტყვები „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა, შინა ქართლოსისა და ნათესავთაგან,მან განავრცო ენა ქართული და აღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლისა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული".

ამბროსი იზიარებდა იმ ადამიანების მოსაზრებებს, რომლებიც მოუწოდებდნენ ძმობის,თავისუფლებისა და რწმენისათვის „უბედურებაში ჩავარდნილი შენი სამშობლოსადმი სიბრალული კი არა, სიყვარულია საჭირო".

ნიკო მასწავლებელმა მოსწავლეებს სხვათაშორის მოუყვა 1832 წლის შეთქმულების შესახებ, თორემ „ნაციონალისტობაში" ჩაუთვლიდნენ საქციელს და სასწავლებლიდან დაითხოვდნენ. ამიტომ აუხსნა,მიზეზი შეთქმულებისა და დასძინა, რომ გადასახლებულთა შორის იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს მამა, ხოლო მისი ბაბუა გარსევან ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის მფარველობის აქტის ჩამოყალიბებაში...

**ბორის დავითაია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ანზორ მელია: არ არსებობს ჩემთვის განსხვავება, როცა ავადმყოფს უჭირს გნებავთ, სომეხს, აზერბაიჯანელს, რუსს თუ ქართველს ვდგავარ ხატების წინ და ვავედრებ მათ გადარჩენას!

*საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ სტუმარია ქართველი ინტელიგენციის ჭეშმარიტი წარმომადგენელი, ცნობილი ექიმი და დიდი გულის ადამიანი, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება – კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ანზორ მელია. „რუსეთს ჰყავს როშალი, საქართველოს – მელია!“ არავის ახსოვს, რომელი ცნობილი პიროვნების სიტყვებია, თუმცა მისი ავტორი ცამდე მართალია: ანზორ მელია ყველასგან დაფასებულია – ეროვნების, თანამდებობისა და პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ალბათ, იმიტომაც, რომ ისიც ყველას ეხმარება...*

**– ბატონო ანზორ, რამ განაპირობა თქვენი კლინიკის დაარსება?**

– კარდიოლოგიური კლინიკა დაარსდა 1996 წლის პირველ აპრილს. უკვე 15 წელი შეგვისრულდა. კლინიკა **„გული“** არ აღმოცენებულა ცარიელ ადგილას და ეს არ იყო მხოლოდ ბიზნესგეგმა. 1996 წელს 27 ექიმი დავრჩით სამსახურის გარეშე. საბაზრო ეკონომიკამ მოგვისწრო. სახელმწიფო არ აფინანსებდა მწვავე ინფარქტებს. ჩვენ კი კარდიოლოგიური განყოფილება გვქონდა. ავადმყოფი მიდიოდა იქ, სადაც დაფინანსება იყო. ქრონიკულ შემთხვევებსაც აფორმებდნენ როგორც მწვავეს. ამიტომ იძულებულნი გავხდით, 14 პალატიდან იჯარით აგვეღო ოთხი პალატა და ამით გადაგვერჩინა ჩვენი თავიც და ბევრი პაციენტიც. ამას მოჰყვა ბევრი სასამართლო პროცესი, ვინაიდან ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე მყოფი ერთი ინსტიტუტის კათედრის პროფესორები თვლიდნენ, რომ მათ უფლება ჰქონდათ საკუთრებაზე, თუმცა საბოლოოდ სიმართლემ გაიმარჯვა და 13 სასამართლო პროცესის შემდეგ, იჯარის ნაცვლად, ეს რვაასი კვ. მეტრი საკუთრებაში ავიღეთ. დასაწყისში კარდიოლოგიური აპარატის გარდა არაფერი გვქონდა. დღეს კი უახლესი ტექნიკით ვართ შეიარაღებული. აღსანიშნავი ის იყო, რომ ექოსკოპიის აპარატიც კი არ ვგქონდა და ავადმყოფები კლინიკაში ჩემი მანქანით მიგვყავდა; მერე უკანვე მომყავდა. თუმცა ამბულატორიულებს რომ ვაგზავნიდი, ნახევარზე მეტი ავადმყოფი აღარ მიბრუნდებოდა. სესხსაც არავინ მაძლევდა. ბოლოს გამოჩნდა **„თბილუნივერსალ ბანკი“**, რომელმაც დიდი შესწავლის შემდეგ 26%-ად მომცა სესხი. თანხა ორ წელიწადში დავფარე და საუკეთესო მსესხებლის წოდებაც დავიმსახურე. ამ თხუთმეტი წლის თავზე სწორედ მათ მოუხდათ კლინიკის დატოვება, ვინც გვედავებოდა. ახლა ყველაფერი გვაქვს და საოცარი ის არის, რომ ის კლინიკა, რომელიც გაიყიდა, სწორედ მე ვიყიდე.

**– ალბათ, ამას ჰქვია – სამართალმა პური ჭამაო...**

– ნამდვილად ასეა და თუ კლინიკაში საქმიანობა დასაწყისში 27-მა თანამშრომელმა დავიწყეთ, დღეს მათი რაოდენობა 120-მდე გაიზარდა. ზუგდიდშიც გავხსენი კლინიკის ფილიალი და ვარემონტებ.

**– როცა გაჭირვებისა და უმუშევრობის პირობებში 120 კაცს ამუშავებთ, ამით გულით ავადმყოფებსაც უნარჩუნებთ სიცოცხლეს და თქვენ, ფაქტობრივად, ადამიანებს სამსახურის ქონის და ოჯახებით ფიზიკურად გადარჩენის შესაძლებლობას აძლევთ. ეს დღეს ძალიან ბევრს ნიშნავს...**

– წინათ მეკითხებოდნენ – სახელმწიფო გიშლის ხელსო? ვამბობდი – არა, პირიქით, მეხმარებიან იმით, რომ ხელს არ მიშლიან-მეთქი.

**– თქვენ შემთხვევაში, გარკვეულწილად, ხელის არშეშლა მოხმარებაა?**

– თავისთავად, მაგრამ ახლა, როგორც ირკვევა, საავადმყოფოების რეფერალური პროგრამების მიხედვით, საავადმყოფო გახსნეს საავიაციო ქარხანაში (ტერიტორიაზე, – **ბ.ა.**) და დავალება აქვთ, რომ ყველა ავადმყოფი იქ უნდა წაიყვანონ. ამხელა ინვესტიციებია ჩადებული. ბანკშია მთელი ჩემი ქონება და, აბა, რა გითხრათ...

**– რამდენადაც ვიცი, თქვენს მკურნალობასა და დიაგნოსტიკას ბევრი ემადლიერება. მარტო მამაჩემისთვის სწორი დიაგნოზის დასმაც პირადად თქვენი დამსახურებაა. მსმენია და, ალბათ, თქვენც, რომ საავადმყოფოები უნდა გაუქმდეს და მხოლოდ „წითელი ჯვარი“ იარსებებს, ანუ საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებენ მას. ამასობაში კი, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის გამო, ადამიანი შესაძლოა, დაიღუპოს. მედიცინის თვალსაზრისით, რამდენად სწორია ასეთი მიდგომა?**

– არ მესმის, ახალ ველოსიპედს რატომ ეძებენ და იგონებენ? მე ვერ ვიტყვი სხვაზე, მაგრამ კარდიოლოგიური სამსახური არაფრით ჩამოუვარდება წამყვანი უცხოური კლინიკების მომსახურებას. საქართველოში ასეთი ექვსი ძლიერი ცენტრია. თანაც, ქართველები ნიჭიერნი ვართ მედიცინაში. თითქოს ჩვენი ჰობია. ეს გენეტიკურად მოგვდგამს. გნებავთ – მოსკოვში, გნებავთ – საზღვარგარეთ, ნახეთ, ვინ არიან წამყვანი სპეციალისტები – ლეო ბოკერია, დავით იოსელიანი... კიდევ ათასობით ნიჭიერი ქართველი მედიკოსია. რატომ უნდათ იმის დანგრევა, რაც უკვე არსებობს? არ შეგვიშალონ ხელი და ჩვენ თვითონ განვვითარდებით. როგორც არ გვიშლიდნენ დღემდე ხელს, ახლაც ასე გააგრძელონ. მაშინ რატომ ჰყიდდნენ ამას და რატომ შეგვატანინეს განცხადება?

**– იქნებ თქვენს კლინიკასთან მიმართებაში საქმის კურსში არ არიან?**

– ჯერ ჩვენთვის ეს არ არის ცნობილი. ახლა კარდიოქირურგიის მშენებლობა დავიწყე და შევაჩერე. ჯერ დავაკვირდები. ამხელა რემონტი წამოვიწყე. თუ გზას გადამიკეტავენ და სასწრაფო ავადმყოფს არ მომაყვანინებენ ტერიტორიული პრინციპით, სწორი არ იქნება. საუბარი ქრონიკულ ქოლეცისტიტზე ან რაიმე ქრონიკულ დაავადებაზე ხომ არ არის? საქმე ეხება მწვავეინფარქტიან ავადმყოფებს, ყოველი წუთი სასწორზე რომ დევს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პირველივე წამებიდან როგორ დახმარებას გაუწევ ავადმყოფს სასწრაფოს მოსვლამდე; თუ ტკივილის დაწყებიდან პირველ ექვს საათში სასწრაფო დახმარება მიიყვანს ისეთ კლინიკაში, როგორიც ჩვენია, ინფარქტს რომ თავი დავანებოთ, კაცს სიცოცხლეს ვუნარჩუნებთ. რაც მთავარია, ინვალიდობას ავარიდებთ. ჩვენი ხანდაზმულები პენსიებს, დახმარებებს რომ იღებენ დაფლეთილი გულით, ხომ ტვირთად აწვება სახელმწიფოს? როგორ შეიძლება გულის მწავავე ტკივილით ავადმყოფი ელოდოს ვიღაც ჯგუფის ჩამოსვლას, როდესაც ამის აღმოფხვრის შესაძლებლობა თავად გვაქვს?!

**– ადამიანებიც ტვირთად ხომ არ აწვება სახელმწიფოს?**

– ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. როგორც ვიცი, სადაზღვევო კომპანიების, სასწრაფო დახმარების ექიმთა შეკრება იყო. დავალება აქვთ – მხოლოდ რეფერალურ საავადმყოფოში მიიყვანონ პაციენტი. რეფერალურ საავადმყოფოში კი კარდიოლოგი არ არის. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ გადმომიყვანეს ავადმყოფი, რომელიც ნახევარ საათში დაიღუპა. ადამიანი, ფაქტობრივად, მომაკვდავი იყო. ასეთს მე უკვე ვეღარ ვუშველი. აი, ამაზეა საუბარი.

**– ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ ავადმყოფის სიკვდილის მიზეზი შემდეგ ექიმთან ანგარიშსწორების საბაბიც ხდება ხოლმე. ექიმები ხართ დაცულნი?**

– არა, არაფრით. **„ლეჩკომბინატში“** მუშაობისას ახალგაზრდა პერსპექტიულ ექიმს ყველა პატივს მცემდა. ხელოვნების დარგის მოღვაწეები – რეზო თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ჩემი პაციენტები გახლდნენ. რაღაც რომ აწუხებდათ, მაინც მეძახდნენ, იმიტომ, რომ ახალგაზრდასაც მენდობოდნენ. **„ცისფერი მთების“** გადაღებებზე ქალბატონ სესილიას დავყვებოდი. ეშინოდა უჩემოდ სცენაზე გასვლის... იყო ნდობისა და პატივისცემის ფაქტორი. ბატონ რეზო თაბუკაშვილს მოციმციმე არითმია მოვუხსენი და ჰოლანდიაში გადაფრინდა. დაბრუნებისას უზარმაზარი თაიგულით მომადგა ცოლქმარი. შემრცხვა, ეს ბუზმერაზი ადამიანები ახალგაზრდა კაცთან რომ მოვიდნენ.

დღეს უკვე პაციენტის მეშინია. ამხელა გამოცდილების მქონე ექიმი ავადმყოფს ვუყურებ, როგორც მომავალ მომჩივანს. ექიმი აბსოლუტურად დაუცველია. ახლახან მქონდა შემთხვევა – მწვავეინფარქტიან 61 წლის ავადმყოფს გავუკეთეთ კორონოგრაფია. მწვავე ინფარქტების პროგრამაშიც ჩავსვით, მაგრამ არის კარდიოქირურგიული პროგრამა, რომელსაც სტენტირება სჭირდება. ეს პროგრამა არ ითვალისწინებს წამლით დაფარული, ანუ ძვირი სტენტის ჩადგმას. ინფარქტების პროგრამაში დადგენილი ზღვარი 1800 ლარია, რასაც მე ვერ შევცვლი. მე ვალდებული ვარ, პაციენტს ოპერაციის მსვლელობისას ავუხსნა, გავაფრთხილო, რომ არის უბრალო სტენტი, რომლის დროსაც განმეორებითი შევიწროების ალბათობა 80%-ია და არის მეორე, რომლის ჩადგმისას განმეორების საფრთხეზე 5-7%-ია (ანუ პროგრამით გათვალისწინებულს, განმეორებითი რისკის მხრივ, ბევრად სჯობია წამლით დაფარული, მაგრამ ბევრად ძვირი. – ბ.ა). ეს რომ არ ვუთხრა, პაციენტმა შეიძლება მიჩივლოს. მეუბნება – რაც შეიძლება ძვირიანი გამიკეთე – პრობლემა არ არის, საღამოს მოგიტანთო. ჩავუყენეთ. სამი დღის შემდეგ პრეტენზიით მოდიან. ამ დროს არაფერი გადაუხდიათ. პროგრამაში რატომ არ ჩამსვიო და – იჩივლეს. მოვიდნენ სამინისტროდან – სად წერია, რომ წამლით დაფარული სტენტის ჩაყენება არ შეიძლებაო? ავუხსენი, რომ ტარიფები განსაზღვრულია – 1800 ლარზე მეტი არ უნდა იყოს. ეს სტენტი კი 4 000 ლარი ღირს. მაჯარიმებდნენ... ამგვარი დამოკიდებულებით მიკარგავენ მუშაობის ხალისს. ასე არ შეიძლება. მე ყველასთან კარგად ვარ. ჩემთვის არ არსებობს არცერთი პარტია. ჩვენმა გამოშვებამ მოსკოვში ჩაიკოვსკის დარბაზში დავდეთ ჰიპოკრატეს ფიცი, რომელსაც დღესაც მივდევ ბოლომდე. ნებისმიერ წამალს აქვს გვერდითი მოვლენები. ავადმყოფიც ინდივიდუალურია. პაციენტს ამ შემთხვევაშიც შეუძლია მიჩივლოს – რატომ დამინიშნე ეს და არა – ის. მედიკოსების ასეთი დაუცველობისა და გაურკვევლობის ფონზე ქართველი ექიმები ვერ გაიზრდებიან. მე უფრო ვაჟები მჭირდება – მობილურები არიან. ოჯახიან ქალთან შედარებით, მეტად თავისუფლები არიან, მაგრამ ჩვენს სფეროში ჭირს მათი მოძებნა. არ არიან!

**– სამედიცინო განათლების მხრივ რა პრობლემებია?**

– ამ მხრივ ხინჯი არ მაქვს. მეც ვამზადებ რეზიდენტებს და ვიცი. ორი ინსტიტუტის ბაზაზე მეც ვარ და ისინი საკმაოდ ძლიერი სტუდენტები არიან.

**– ბატონო ანზორ, ამხელა გამოცდილების მქონეს, მომავალი ექიმების ასეთ ბაზას რომ ქმნით, ხელისგულზე უნდა გატარებდნენ და ყველა პირობას გიქმნიდნენ. კარდიოლოგი, უფრო სწორად, კარდიოქირურგი, გულის მიხედვით თუ განსაზღვრავს, როგორია ესა თუ ის პიროვნება – ცუდია, თუ კარგი?**

– არა, გულის მიხედვით ამას ვერ იტყვი. ჩვენ უფრო ფსიქოლოგები ვართ და ერთი შეხედვით ვატყობთ, როგორ უნდა დაველაპარაკოთ ამა თუ იმ პაციენტს. მარტო წამალი არ უშველის. შენ თუ უხილავი ძაფებით კავშირი არ გააბი პაციენტთან, არაფერი გამოვა. ის უნდა გენდობოდეს და სჯეროდეს შენი.

**– ექიმების დაუცველობა ახსენეთ. გასაკვირი არაა, რადგან დღეს თავად უწმიდესია დაუცველი. ამასთან დაკავშირებით, გვერდს ვერ ავუვლი, აზრი არ გკითხოთ პარლამენტის მიერ მიღებულ იმ კანონზე, დიდი ვნებათაღელვა რომ გამოიწვია საზოგადოებაში.**

– დიდი ილია ბრძანებდა: **„ენა, მამული, სარწმუნოება“**. მე თუ ეს არ მაქვს, ფუჭია ჩემი ცხოვრება. ხშირად მიწევს გასვლა უცხოეთში კონგრესებსა და კონფერენციებზე. ვის სჭირდები იქ შენ და რას წარმოადგენ? კი, ბატონო მედიცინა, კარდიოლოგია... მაგრამ ხუთი დღის შემდეგ მე უკვე მენატრება ჩემი სამშობლო, თბილისი, მეგობრები, სამსახური და პაციენტები. ამის გარეშე წარმოუდგენელია არსებობა და როცა ვინმე სარწმუნოებას შემილახავს, ვერ გავჩუმდები – ხმა უნდა ავიმაღლო!

**– აქ იმდენად სარწმუნოების შელახვა არ იყო. ხალხი აღაშფოთა იმან, რომ არ დაეკითხნენ ყველაზე ბრძენს, ანგარიშგასაწევ ადამიანს და ზურგსუკან – ჩუმად გააკეთეს თავიანთი ბნელი საქმე. ეს საქმე, პირველ რიგში, სარწმუნოებას, აქედან გამომდინარე კი, ყველაფერ დანარჩენს შეეხებოდა. საზოგადოება ამან შეურაცხყო...**

– ეს ჩემთვის მეხის გავარდნა იყო. მე ვიცი, რომ რელიგიური დღესასწაულების დროს პირველი პირები სანთლებით ხელში უწმიდესის გვერდით დგანან. არ ვარ ახლოს პატრიარქთან, მაგრამ ჩემთვის დაუჯერებელია, რომ მისი თანხმობის გარეშე ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა, ვინმეს მიეღო.

**– როგორც ბრძანეთ, ყველა პაციენტი თქვენთვის ერთია, მისთვისაც სამწყსოს ყველა წევრი, ასევე, ერთია. მშობელსაც ავადმყოფი შვილი ხომ უფრო მეტად უყვარს... მას შველა, ალბათ, უფრო სჭირდება. საზოგადოებას ხშირად უჭირს ამის გაგება...**

– რასაკვირველია. არ არსებობს ჩემთვის განსხვავება, როცა ავადმყოფს უჭირს – გნებავთ, სომეხს, აზერბაიჯანელს, რუსს თუ ქართველს – ვდგავარ ხატების წინ და ვავედრებ მათ გადარჩენას!

ერთ ინტერვიუში მკითხეს – რატომ არ გაიკეთა პატრიარქმა სტენტირება საქართველოშიო? რომელ კარდიოლოგს შეეძლო ამის გაკეთება? იმხელა ემოციური დატვირთვა ექნებოდა ამას ყოველი ჩვენგანისთვის... ის იმდენად ბრძენია, იმდენად დიდი ადამიანია, რომ ჩვენ დაგვინდო, აგვარიდა ის პასუხისმგებლობა და უხერხულობა, რაც შესაძლოა, ამას მოჰყოლოდა. იმიტომ კი არა, რომ ქართველ ექიმებს არ ენდო – ეს თავისი სიბრძნით გააკეთა. ჩემთვის ეს ძალზე მოულოდნელი იყო. ახლაც არ მჯერა – როგორ შეიძლებოდა პარტიარქის ნების გარეშე იმის გაკეთება, რაც პარლამენტმა გააკეთა?!.

**– პატრიარქი თავად იმდენად მშვიდი, ბრძენი პიროვნებაა, რომ ჩვენი ემოციური ბუნების გათვალისწინებით, ერთსულოვნებისა და სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს. მან უკეთ იცის, რომ ემოციურ ფონზე შესაძლოა, ბევრად მეტი დავუშავოთ ჩვენს თავსაც, ქვეყანასაც, სარწმუნოებასაც... ამიტომ მოგვიწოდებს გონიერებისკენ. მან ჩვენზე უკეთ იცის და გრძნობს იმ გლობალურ საფრთხეებს, რამაც შესაძლოა, ქვეყანა გამოუსწორებელი კატასტროფის წინაშე დააყენოს. ერთი ფრაზა და მოწოდება არ ყოფილა პატრიარქისგან ისეთი, ქვეყანას ცუდად რომ შემობრუნებოდეს. პირიქით კი გვახსოვს... ამიტომ, ალბათ ,ახლაც უნდა დავუჯეროთ...**

– ახალგაზრდები არიან და აუცილებლად მიხვდებიან, რომ მათ სჭირდებათ პატრიარქი.

**– მარტო მათ კი არა, მთელ საქართველოს სჭირდება პატრიარქი...**

– ყველას გვჭირდება. პატრიარქი არის ჩვენი იმედი. როცა მის ბრძენ სახეს ვუყურებ, ვწყნარდები და მგონია, რომ ცუდი რაც ხდება, ყველაფერი დროებითია.

**ამქვეყნად საერთოდ ყველაფერი დროებითია... გმადლობთ, ბატონო ანზორ, თქვენი დიდი გულის ადამიანობისათვის, თქვენი „გულისათვის“ და გისურვებთ წარმატებას ისეთ ღვთისნიერ საქმეში, რასაც ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ჰქვია.**

*ესაუბრა ბაია ამაშუკელი*
*საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეგვიპტელ ფარაონთა წინაპრები კავკასიელები იყვნენ

უცხოელი მეცნიერები და მკვლევარები უკვე არგუმენტირებულად ამტკიცებენ, რომ ეგვიპტელი ფარაონის ტუტანჰამონის მუმიის **დნმ**-ის ანალიზი უტყუარად მიუთითებს იმაზე, რომ მისი წინაპრები კავკასიელები იყვნენ. იმ პერიოდის კავკასია კი, როგორც არაერთი ისტორიამდელი მწერალი და ისტორიკოსი გადმოგვცემს, მხოლოდ და მხოლოდ კოლხეთსა და კოლხურ ცივილიზაციასთან ასოცირდება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 5-6 ათასი წლის წინ მიმოიფანტნენ კოლხები ევროპის ტერიტორიებზე, მათი ნაწილი კი ეგვიპტეში მოხვდა და ქვეყნის სათავეში მოექცა. ამგვარად, ევროპელები უკვე **"შეურიგდნენ"** იმ აზრს, რომ ტუტანჰამონი მათთვის არაა უცხო პიროვნება და, უფრო მეტიც, ეგვიპტის ეს ფარაონი მათი შორეული წინაპარია. ამასვე ამტკიცებენ მეცნიერი-გენეტიკოსები, რომლებიც ხანგრძლივი კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ევროპელთა ნახევარზე მეტი ეგვიპტის ფარაონის ნათესავია, ხოლო ფარაონთა წინაპრები კოლხეთის მიწაში განისვენებენ. ქართველ მეცნიერთაგან პირველმა ეს საკითხი აკადემიკოსმა კლიმენტი შელიამ წამოსწია, რომელმაც საგულდაგულოდ შეაგროვა მასალები აფრიკის ჩრდილოეთით მცხოვრებ ბერბერებზე, რომელთა ლექსიკონში დიდი ადგილი უკავია კოლხურ სიტყვებს, ხოლო ერთ-ერთი აფრიკული ტომი საერთოდ ლაპარაკობს კოლხურ ენაზე. ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებიც თვით **"ფესტოსის დისკოს"** კოლხურ წარმომავლობასაც კი ეჭვის ქვეშ აყენებენ, მიუხედავად მისი საერთაშორისო აღიარებისა, კლიმენტი შელიას ეს მეცნიერული მტკიცებულება ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს, მაგრამ სახელოვან მეცნიერს ვერც შეეწინააღმდეგენ. ამიტომ, მათ **"აგრესული"** სიჩუმის პოლიტიკა აირჩიეს. მაგრამ, როგორც ამბობენ, მათთვის **"ჭირად ქცეულმა"** მეცნიერულმა კონცეფციამ სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა და დღეს უკვე მთელი მსოფლიო აღიარებს კოლხურ ცივილიზაციას, რომელმაც სათავე დაუდო მსოფლიო ცივილიზაციას.

საagენტო **REITER**-ის განცხადების თანახმად, სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს ქალაქ ციურიხში მდებარე გენეალოგიური კვლევის ცენტრ **IGENEA**-ს ბიოლოგებმა, რომელთაც ეგვიპტელმა კოლეგებმა გადასცეს ტუტანჰამონის მუმიიდან ამოღებული **დნმ**-ის ნაწილი. სინჯები აღებული იქნა ფარაონის ბარძაყისა და მარცხენა მხრის ძვლებიდან. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა არაბეთის რესპუბლიკის სიძველეთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზაჰი ჰავასმა.

– კვლევის მიზანი იყო ფარაონთა ნათესაური კავშირების დადგენა, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ბურუსითაა მოსილი! – განაცხადა ჰავასმა.

**IGENEA**-ს სპეციალისტებმა ერთმანეთს შეუდარეს ტუტანჰამონისა და თანამედროვე ევროპელთა **დნმ**-ის მაჩვენებლები და მიიღეს გასაოცარი შედეგი – მრავალი ევროპელი, უფრო ზუსტად კი, მათი 50 პროცენტი, ტუტანჰამონის უშუალო ნათესავია და შეუძლია პრეტენზია განაცხადოს **"ფარაონობაზე"**. ზოგიერთ ქვეყანაში კი, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში, **"ფარაონთა"** რაოდენობა 60-70 პროცენტს აღწევს. მეცნიერებმა დაამტკიცეს ისიც, რომ თანამედროვე ეგვიპტელებს ფარაონებთან არავითარი გენეტიკური კავშირი არ გააჩნიათ.

იგივე დაადასტურა ორი ემბრიონის მუმიის ბირთვულ ტომოგრამაზე დაკვირვებამ. ეს საშინელი აღმოჩენა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოციან წლებში გააკეთეს ლორდ კანვარვონის მიერ ეგვიპტეში ჩაყვანილმა მეცნიერებმა, რომელთაც ემბრიონების მუმიები ფარაონის სარკოფაგში აღმოაჩინეს. საზოგადოების გულისწყრომის თავიდან ასარიდებლად მეცნიერებმა მაშინ დამალეს ემბრიონების აღმოჩენის ფაქტი და მხოლოდ 1992 წელს გაუმხილეს ეს ამბავი მსოფლიოს.

კიდევ უფრო შორს წავიდა გერმანელი მეცნიერი შტოლცი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ეგვიპტელ ფარაონთა შორეული წინაპრები კავკასიიდან გამოვიდნენ დაახლოებით 9.500 წლის წინათ, ორიათასხუთასი წლის შემდეგ კი ისინი ევროპაში დასახლდნენ. როცა ამ პერიოდის კავკასიას ახსენებენ, თავისთავად გულისხმობენ კოლხეთს, რომელსაც უკავშირდება მაშინდელი ცივილიზებული სამყაროდან შემორჩენილი უამრავი მითი და ბალადა. ამის დასტურად თუნდაც ჰომეროსის **"არგონავტიკაა"** საკმარისი. ისიც ფაქტია, რომ მითოსს ესთეტიკურ-ლიტურგიული ფუნქციის გარდა, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის ფუნქცია რჩება გარკვეულწილად. განა სწორედ ჰომეროსის მითის **"ილიადას"** საფუძველზე არ აღმოაჩინა შლიმანმა ტროა და არ აღადგინა ლეგენდათა გმირებად ქცეული ისტორიული პიროვნებები პრიამოსი, აქილევსი, ჰექტორი, პარისი, ელენე...

ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად აწარმოონ არქეოლოგიური გათხრები ვანის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც ყოველი წვიმის შემდეგ ნიაღვრებს მიწიდან მრავალნაირი ოქროს არტეფაქტები გამოაქვს, ზოგიერთი უდღეური ქართველი (ქართველი?) მეცნიერი უტიფრად აცხადებს, რომ ჰომეროსი მითოლოგია და ამ მითით ჩვენ რეალობას ვერასოდეს დავადგენთო. სამწუხაროდ, მათ პროფესორ გია კვაშილავას მიერ გაშიფრული **"ფესტოსის დისკოც"** არაფერს ეუბნება, საიდანაც აშკარად მტკიცდება, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი კოლხური კულტურის არეალს წარმოადგენდა.

სხვაგვარად, როგორ უნდა აღმოჩენილიყო კოლხური ოქროდამწერლობით შესრულებული თიხის დისკო შორეულ კუნძულ კრეტაზე. იგი ადგილზე გახლდათ შექმნილი, რადგან მას, მაშინ, კოლხეთიდან კრეტაზე ნამდვილად არავინ ჩაიტანდა. სწორედ ეს უკარგავს დღერს მოსვენებას ზოგიერთ ქართველ ვაიმეცნიერს, რომელიც ყველაფრის აღიარებაზეა თანახმა, მაგრამ გააფთრებული ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ქართული ცივილიზაციის სათევეებთან სწორედ კოლხეთი დგას!

რუსი მეცნიერები მუმიებზე დაკვირვების შედეგად ამტკიცებენ, რომ კავკასიის ხალხების შორეულ ნათესავს სწორედ ფარაონი ტუტანჰამონი წარმოადგენდა.

ხოლო, რაც შეეხება ევროპელებს, მათ შორეულ წინაპრებად მსოფლიო მეცნიერები უკვე ღიად აღიარებენ კავკასიელებს, მაგრამ, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ რომელ პერიოდში მოხდა კავკასიელთა მასობრივი მიტრაცია ევროპაში.

მაგრამ ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით, როდის აღმოჩნდნენ შორეულ ესპანეთში ბასკები, რომელთა კოლხებთან იდენტურობაში უკვე აღარავის შეაქვს ეჭვი ზოგი ანგაჟირებული სწავლულის გარდა. ზოგიერთი სიტყვების მსგავსების კვალდაკვალ, ბასკებსა და კოლხებს აბსოლუტურად ერთნაირი აქვთ ხვნა-თესვის, დაკრძალვის, ქორწილის და სხვა საზეიმო თუ სამგლოვიარო რიტუალები.

სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით დღეს საქართველოში მხოლოდ ერთადერთი მხცოვანი, ტიტანური შრომისაგან ჯანდაშრეტილი და თითქმის თვალისჩინდაკარგული მეცნიერი პროფესორი ბატონი **კლიმენტი შელია** მუშაობს. იმედია, რომ მას მალე გამოუჩნდებიან ღირსეული მემკვიდრე-მკვლევარები.

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**





## პრეზიდენტის მორიგი ტყუილი, ანუ მეფის სიტყვა კანონია

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქალაქად გამოცხადებული ანაკლია ჯერ კიდევ სოფელია. მიმდინარე წლის 22 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სოფლების – ანაკლიისა და განმუხურის – გაერთიანების შემდეგ მას საკურორტო ქალაქის სტატუსი მიენიჭა, თუმცა განმუხურსაც და ანაკლიასაც ისევ სოფლის რწმუნებულები მართავენ. მათ ამის შესახებ ჩვენთან საუბარში თავად განაცხადეს.

ჯონი მიშველიასა და დავით ცხადაიას გათავისუფლების შესახებ არანაირი დოკუმენტი არ მიუღიათ. ანაკლიის გამგებელ დავით ცხადაიას თქმით, **„ის ისევ ასრულებს გამგებლის მოვალეობას და ვინ იქნება გაერთიანებული ანაკლია-განმუხურის ახალი მმართველი, ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს“.**

ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარიას თქმით, ანაკლიის, როგორც საკურორტო ქალაქის, საკითხი პროექტის სახით არის და მის დასახვეწად სამუშაოები მიმდინარეობს. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით კი **„ანაკლიას – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ რიგით სოფელს – ქალაქის სტატუსი მიენიჭა“.** თუმცა პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება არც მის ვებგვერდზე და არც **„საკანონმდებლო მაცნეშია“** გამოქვეყნებული. არადა, კანონის შესაბამისად, დოკუმენტი იურიდიულ ძალას **„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“** გამოქვეყნების შემდეგ იძენს.

როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტმა ამჯერადაც იჩქარა – რაც ანაკლიაში სტუმრობისას თავადაც აღნიშნა. მანამ, სანამ დოკუმენტს მოამზადებენ და ანაკლიას იურიდიულად მიანიჭებენ ქალაქის სტატუსს, მიხეილ სააკაშვილმა დოკუმენტი ჰაერში გააფორმა.

სწორედ ამაზეა ნათქვამი – **„მეფის სიტყვა კანონია“.**

**კოტე ესართია,**
**საქინფორმის კორესპონდენტი**

## შიმშილობის აქცია სასაფლაოზე

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის ნაშელუს უბნის სასაფლაოსთან უვადო შიმშილობა გამოაცხადა ამ სოფლის მკვიდრმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე შუკო ჯიქიამ. აქციის დაწყების მიზეზი იტალიური ფირმა **„ფერეროს“** მიერ სოფლის ტერიტორიების მიტაცება გახდა, სადაც თხილის პლანტაციების გაშენებაა გათვალისწინებული. მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საძოვრების გარეშეა დარჩენილი.



**„ხალხი დაშინებულია, დაჩმორებულია... მკვდრებს ჰგვანან, ყველანი ამ ხელისუფლების ხელში ცოცხალ-მკვდრები ვართ და უმჯობესია, მე ვიყო ნამდვილ მკვდრებთან. ამიტომაც გადავწყვიტე, ვიშიმშილო სასაფლაოზე“,** – აღნიშნა შუკო ჯიქიამ.

მისივე თქმით, მას იმ მიწასართმევენ, სადაც დაიბადა და გაიზარდა და იტალიელ გადამთიელებს აძლევენ. იშიმშილებს მანამ, სანამ ხელისუფლება ხელს არ აიღებს მიწის გასხვისების განზრახვაზე. სასაფლაო კი, სადაც შუკო ჯიქია შიმშილობს, გადაჰყურებს იტალიელების მიერ მისაკუთრებულ, შემოღობილ და დამუშავებულ ტერიტორიებს.

**„ფერერომ“** 75 ჰა მიწა კირცხლელებს უკვე წაართვა და ახლა დარჩენილი 75 ჰა-ს დაკავებასაც აპირებენ.

**„იტალიელებმა მოგვატყუეს – შეგვპირდნენ, 35 ჰა-ს დაგიტოვებთ საძოვრებისთვისო, მაგრამ, ვატყობთ, რომ იმასაც არ გვიტოვებენ. ჩვენ უძლურნი ვართ, მათ წინ აღვუდგეთ, რადგან ხელისუფლება მათ მხარესაა“,** – აცხადებს სოფლის მკვიდრი ელგუჯა სონგულია.

**ლადო ქირია,**
**საქინფორმის კორესპონდენტი**

## აგვისტოს 5 დღე ობამას ვერ დააინტერესებს

როგორც გავლენიანი გამოცემა **„Fox News“** სტატიაში სათაურით – **„ფილმო, ობამას შენი ნახვა არ სურს“** – წერს, ჰოლივუდელი რეჟისორის – რენი ჰარლინის, ფილმი **„აგვისტოს 5 დღე“** უახლოეს მომავალში თეთრი სახლის წარმომადგენელთა დაინტერესების საგანი ვერ გახდება, რადგან, როგორც სტატიის ავტორი, **„Heritage Foundation“**-ის ანალიტიკოსი ჯეიმს ჯეი კარაფანო აღნიშნავს, ფილმი აშკარად პროქართულია, შესაბამისად, ის ვერ დააინტერესებს ობამას, რომელიც ძირითად საგარეო პოლიტიკურ წარმატებად რუსეთთან **„გადატვირთვის“** პოლიტიკის დაწყებას მიიჩნევს.

**„ჰარლინის ფილმში საშინელებად არიან წარმოჩენილი ობამას ახალი საუკეთესო მეგობრები. იმის მიუხედავად, რომ სიუჟეტი წმინდად ჰოლივუდურია, საგანგაშო სცენების უმეტესობა ამოღებულია უშუალოდ პირველი ხელიდან და „Human Rights Watch“-ის დასკვნებიდან. შესაბამისად, ვხედავთ მოხუცების წამებას და საომარი მარშრუტის მიმდებარე სოფლების განზრახ დაბომბვას. ფილმი მთავრდება ქართველთა მონათხრობით, რომლებმაც ომში ნათესავები დაკარგეს. ჰარლინის ანტირუსულ ფილმს ბლოგერები უკვე აკრიტიკებენ. ჰოლივუდმა კარგად მიიღო „სასტუმრო რუანდა“, რომელშიც მოვლენები მსგავსი სცენარით ვითარდება, თუმცა „აგვისტოს 5 დღეს“ ზურგი აქცია. განსხვავება ერთია – უკანასკნელი მათგანი ობამას კეთილ განზრახვებს მოსკოვის მიმართ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. რეგიონულ ხულიგნად რუსეთის წარმოჩენა თეთრი სახლის სამოქმედო გეგმებში არ თავსდება. უკანასკნელ დროს მოსკოვის მისამართით გაჩენილ ბრალდებებსაც აშშ-ში მცირე კუსტარული მრეწველობის შედეგად მიიჩნევენ“,** – ნათქვამია სტატიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეპარატიზმის თეორეტიკოსი და "უკანასკნელი მოჰიკანი"

**გთავაზობთ ნაწყვეტს პროფესორ ბატონ გიორგი ციციშვილისა და ცნობილი იურისტის ბატონ ვახტანგ გვარამიას წიგნიდან "მეგრული საკითხი".**

იოსებ ყიფშიძე მართლაც ეხება ს. ხუნდაძეს. იგი არ ეთანხმება მის ქართულ გრამატიკაში გამოთქმულ აზრს, მაგრამ არა მეგრელ-ქართველთა ნათესაობის არსებობის საკითხში, როგორც ამას გრ. ახალაია გვაჩეჩებს, არამედ იმაში, რომ მას (ს. ხუნდაძეს) მეგრული და სვანური დედაქართულის ისეთივე კილოკავებად მიაჩნია, როგორიცაა ინგილოური, ფშაური, ხევსურული და ა.შ. მეცნიერი ამის შემდეგ წერს: **"მეგრულ და ქართულ ენებს შორის ნათესაობის ასეთი თვალსაზრისი არამართებულია და მეცნიერების მიერ უკვე დიდი ხანია უკუგდებულიაო"** (იხ. იქვე, გვ. 39). როგორც ვნახეთ, გრ. ახალაიამ პირიქით წარმოსახა ი. ყიფშიძის ნათქვამი და ნააზრევი. ამასთანავე, მან, როგორც კომუნისტმა, ქართულ ტომთა ურთიერთობას საფუძვლად დაუდო კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა. მაშასადამე, იცუღლუტა, ისტორიისა და ლინგვისტიკის მონაცემები გამოიყენა რეალურ ისტორიაზე ვითომ მეგრელთა ინტერესებიდან გამომდინარე, სამეგრელოსათვის წარსული დიდების დაბრუნების მოტივით, ისტორიული რევანშის მიღწევისათვის. მაგრამ, როგორც ქვემოთ ნაწილობრივ ვნახავთ, მეგრულ საკითხზე მსჯელობის დროს ცუღლუტობდნენ საქართველოს ცენტრის მაღალი დონის პარტიული და სახელმწიფო მუშაკებიც.

გრ. ახალაია ივერ-მეგრელთა აღმოსავლეთ საქართველოში განსახლებისა და მათზე კულტურული ზემოქმედების ახსნის დროს ეყრდნობა ს. გორგაძეს. ამ პიროვნებამ მართლაც გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის, ნ. მარის, მ. წერეთლის, ი. ყიფშიძის და სხვათა მსგავსი ნააზრევის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოპულარული წიგნი – **"საქართველოს ძველი ისტორია. სისტემატიური კურსი სკოლებისათვის"**. მისი შესავალი ნაწილის, უძველესი ხანის, ანუ ძველი ისტორიის მესამე შევსებული გამოცემა გამოქვეყნდა 1920 წელს. იგი მთავრდება ქრისტიანობის გამარჯვებითა და არაბთა შემოსევით. როგორც ჩანს, სწორედ ამ წიგნით ხელმძღვანელობდა გრ. ახალაია. ამ სტატიის სათანადო ადგილების მოხმობის საჭიროება, ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი, რადგან იგი პრინციპში იმასვე ეყრდნობა, რაზეც საუბარი გვქონდა ი. ყიფშიძის ნააზრევთან დაკავშირებით. არც არის გასაკვირი, როგორც ი. ყიფშიძის ნააზრევის შესახებ საუბრის დროს ვნახეთ, მეცნიერთა შორის აღნიშნული ვერსია იმხანად სწორედ მიიჩნეოდა. ამასთანავე, როგორც ჩანს, გრ. ახალაია დაინტერესდა მეცნიერ-მკვლევართა შრომებში დამოწმებული წყაროებით. ამით მას შეეძლო გაეგო, რომ სტრაბონის მიხედვით, იასონს და მის თანმხლებთ გაუვლიათ იბერია, მისულან კასპის ზღვამდე. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიან: აღმოსავლეთ ქართველთა სამეფო სახლის მამამთავრობა კი, **"არიან ქართველთა ძეს, აზოს"** და მცხეთის მამასახლისთა ჩამომავალ ფარნავაზს (III საუკ. ძვ. წელთაღრ.) არა სცილდება. სტრაბონსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით ს. გორგაძემ აღნიშნული ვერსია შემდგომ განავითარა. მაგრამ იგი გრიგოლ ახალაისეული დასკვნების შესაძლებლობას გამორიცხავს. ამასთანავე, დასავლეთ-ქართული პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე არ არის გაზიარებული თანამედროვე მკვლევართა მიერ, რომელთაგან არქეოლოგები და ისტორიკოსები აღიარებენ კოლხური კულტურის გავლენას.

ქართულ ტომთა ეთნოგენეზისის მკვლევარის გრ. გიორგაძის 1999 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში **"ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი"** (გვ. 171-172) ვკითხულობთ: **"ხათურ ენასთან და ხათებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული, განსაკუთრებით ხათურის გენეტიკური კავშირისა ერთ რომელიმე გარკვეულ ენასთან. ზოგიერთი მკვლევარი ხათების შორეულ მემკვიდრედ თვლის მოგვიანო ხანის პონტოში მცხოვრებ ქასქების (ქაშქების) ტომებს, რომლებსაც ახლა ზოგჯერ მიიჩნევენ... დასავლურ ქართველურ, კერძოდ, მეგრულ-ჭანურ, ზოგადად სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებად. თუკი მომავალში ეს ჰიპოტეზა გამართლდება, მაშინ გაჩნდება კიდევ ერთი არგუმენტი დასავლურ ქართული ტომების დაკავშირებისათვის ხათებთან..."** პროფესორი გურამ ყორანაშვილი მის მიერ მობილიზებული წყაროებითა და რიგი თანამედროვე მკვლევართა არგუმენტების გამოყენებით საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს **"არგონავტების მითით" "კოლხეთის ისტორიის გააზრებას"**. მისი აზრით **"დროა, კარგა ხანია დროა რომ არგონავტების მითთან დაკავშირებით შევეშვათ დიდი "ისტორიული მარცვლის ძიებას"...** (გ. ყორანაშვილი, საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხები. თბ. 2000, გვ. 21). ამის გამო კრიტიკული აზრი არაერთმა ავტორმა გამოთქვა (იხ. კლ. შელია, **"კოლხეთის კარიბჭესთან"**, გაზ. **"დიოსკურია"**, 2006, №33, ივნისი). მათ ნიკო მარრის, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შეხედულებები მიაჩნიათ მართებულად.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის აზრით, კავკასია ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა. იგი მხარს უჭერდა მეცნიერებაში გავრცელებულ აზრს ქართველების ერთმანეთში განფენილობისა და სამხრეთული წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, ქართული ენა-კავების ერთ ჯგუფში ერთიანდება ქართების, მეგრელ-ჭან-სვანების ენა, მეორეში აფხაზური და ქართულის მონათესავე სხვა ენა. ხანგრძლივმა ისტორიულმა ცხოვრებამ და არსებობამ საერთო ენა და დამწერლობაც შექმნა. თითოეულ ტომს თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართველი ერის ამ საერთო საუნჯეში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, 1919, გვ. 3-4).

*(გაგრძელება იქნება)*

# საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

*საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.*

*იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე*

პროფ. ლევან სანიკიძე

დასაწყისი **№122, 123, 124, 125, 127, 128, 129, 130, 131**

*ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს შორეული წარსულის პერიპეტიებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გვქონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმეორედ გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშურ საქმედ მიგვაჩნია – გაზეთ "ილორის" რედაქცია.*

## კოლხეთს (საქართველოს) წარღვნამდელი ცივილიზაცია აქვს

საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და ქვეყანაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. საქართველოს წარღვნისწინადროინდელი ისტორია აქვს. უძველეს ათასწლეულებში არსებული საქართველოს ერთიანი სამეფო ისტორიული კატაკლიზმების შედეგად დაიშალა კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოდ და დედო ენა – ქართულ-მეგრულად. დიდი ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1908 წელს, ამბობდა: **„ქართველებს ენათმეცნიერები სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართლურად მოსაუბრენი შეადგენენ, მეორეს იბერელნი ეკუთვნიან, ანუ მეგრელ-ლაზ-ჭანები, ხოლო მესამეს სვანები".**

კოლხეთის წინარე ეპოქაში ერთიან საქართველოს იბერია ერქვა. ბერძნები და ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს მოიხსენიებდნენ ზემო იბერიად, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო იბერიად. გარკვეულია, რომ ძვ.წ. IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ სამეფოს დაერქვა იბერია (უფრო გვიან ქართლი).

აკადემიკოსები გ. გიორგაძე და ნ. ხაზარაძე აღნიშნავენ: დახლოებით ძვ.წ.V ათასწლეულის ბოლოდან მაინც იწყება საერთო ქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება. საერთო ქართველური (პროტოქართველური) იყო წინაპარი ენა იმ ენათათვის, რომლებსაც დღეს ვუწოდებთ ქართულს, სვანურს და მეგრულ-ჭანურს, ე.ი. ქართველურ ენებს. ჩანს, რომ ეს ენა კოლხური (მეგრული) უნდა ყოფილიყო, რადგან იმ პერიოდში სხვა ენა და სხვა ქვეყანა არ ჩანს, გარდა კოლხეთისა და კოლხური (მეგრული) ენისა.

პროფ. მ. აბდუშელიშვილი ასკვნის: **„კავკასიის ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ (ქართულ) ანთროპოლოგიურ ტიპს",** რომ ჩვენი ძველი წინაპრები ფართოდ მოსდებიან საკმაოდ დიდ ნაწილს ხმელთაშუაზღვისპირეთის, კავკასიის, წინა აზიის და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიებს.

პროფ. გ. ჭელიძე წერს: **„ბრინჯაოს ხანის მთელი კავკასიის მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეთნოტიპებით შემოიფარგლებოდა. ქართველთა თავდაპირველი საცხოვრისი მხოლოდ ისტორიული საქართველო კი არა მთელი კავკასია ყოფილა... ბრინჯაოს ხანის დროისათვის საქართველოს მთელი ტერიტორია განსახლებული იყო ერთი მოდგმის ადამიანებით, რომელთა ქართველობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს."**

ჰეროდოტეს მიხედვით ტერიტორია მეწამული ზღვიდან კავკასიის ჩათვლით უკავიათ კოლხებს, სასპერებს, ხალიბებს. მაკრონებს, მოსხებს ტიბარენებს, მოსინიკებს, მარებს და მათ მონათესავე ტომებს. ის ამ სივრცეში სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჰეროდოტე აღმოსავლეთ საქართველოსაც კოლხეთად აღიქვამდა. ხოლო ჰეკატაეოს მილეტელი (ძვ.წ.VI ს) თვლის რომ მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაში შედის, მესხები კოლხები არიან.

უნდა ითქვას, რომ ჰეროდოტეს (ძვ.წ. Vს) არ შეიძლებოდა ცოდნოდა **„იბერია"**, იბერიის სამეფო (შემდგომში ქართლის სამეფო), რომელიც შეიქმნა ძვ.წ. IV საუკუნეში. ჰეროდოტე არც სომხებს ახსენებს, რადგან ჩანს მაშინ სომხები ამ სახელწოდებით არ იყვნენ ან ასეთი ქვეყანა ან სახელმწიფოებრივი გაერთიანება არ არსებობდა. ალბათ, ამიტომ სომეხი მეცნიერები პატივისცემით არ ახსენებენ „ისტორიის მამას".

აკად. ექვთიმე თაყაიშვილი ნაშრომში **„როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?"** წერს: „აღმოსავლეთ საქართველოში მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდის იბერთა სახელმწიფო სუფევს და ქართველების ჰეგემონია მეექვსე საუკუნიდან „იწყება".

ჰეროდოტე თავისი **„ისტორიის"** დასაწყისშივე ახსენებს აჲა-კოლხეთის, მედეას (§1,2,3) და განხილული აქვს არგონავტთა მითის სხვადასხვა ნაწილი, სხვადასხვა საკითხი. ჰეროდოტემ იცის კავკასიონის ქედი, მდინარეები – ფასისი, არაქსი, ჰალისი, ზღვები ევქსინის პონტო, კასპიის ზღვა. როგორც აკად. თინათინ ყაუხჩიშვილი მიუთითებს: **„ერთი კი უდაოა და უნდა ითქვას – ჰეროდოტესათვის „აჲა" სინონიმია „კოლხიდისა"**. ის რაც იყო ჰეროდოტეს დროს **„კოლხიდა"** უწინ, დაახლოებით არგონავტთა მითის შექმნის დროს იყო აჲა.

მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ იბერიის (ქართლის) სამეფოს საფუძველი ჩაუყარეს მესხებმა და მცხეთის სახელწოდება (ტერმინი **„მცხეთა"**) დაკავშირებულია მოსხებთან. იმ პერიოდში ქართლი არ იხსენიება, მაშასადამე, ირკვევა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთ ეთნოსს, ერთ ქვეყანას წარმოადგენდა.

მესხები, რომლებიც ცხოვრობდნენ მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელში, ივ. შოპენის მიხედვით, იგივე იბერებია, ე.ი. კოლხები (ამაზე არქეოლოგიური მასალებიც მეტყველებენ), რომლებიც გადმოსახლდნენ აღმოსავლეთით და დააარსეს მცხეთა. ივ. შოპენი თვლიდა, რომ სიტყვა მცხეთა შეიძლება იყოს მოსხები ან ხეთა.

ძვ.წ. XIVს-დან V საუკუნემდე მცირე აზიაში, წინა აზიასა და კავკასიაში არსებული ურარტუს, ხეთების, დაიანის, მიდიის, სასპეთის სახელმწიფოებიდან თუ ტომთა გაერთიანებებიდან ისტორიას შემორჩა მხოლოდ კოლხეთის სამეფო, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა კოლხეთის ძლიერი, მტკიცედ ორგანიზებული, რეალური სახელმწიფოს არსებობის გარეშე.

**„საქართველოს ძველი ისტორია ფაქტობრივად კოლხეთის ისტორიით იწყება და ისტორიის ვერცერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად კოლხეთის ისტორია ჯერ კიდევ შეუსწავლელია",** – წერს პროფ. სერგი მაკალათია. ისე, როგორც ივ. ჯავახიშვილი ექ. თაყაიშვილიც ამბობს: **„ქართველთა მოდგმა დაყოფილი იყო სხვადასხვა სახელწოდების ტომებად, დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ: კოლხები (ალბათ იგივე ეგრები, ანუ მეგრელები), ლაზ-ჭანები, აფხაზები და სვანები; აღმოსავლეთ საქართველოში: მესხები, იბერები, კახები და ქართები ანუ ქართველები...**

**დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად მეთაურობდნენ ეგრები ანუ კოლხები და სახელმწიფოს ეწოდებოდა ეგრისი ან კოლხეთი. მაგრამ სხვა ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ერთი ტომი მეორეს მშვიდობიანად არ უთმობდა ძალაუფლებას."** შემდეგ აგრძელებს: **„იბერია VI საუკუნემდის არსებობდა და ამ საუკუნეში ის შეცვალა ქართლის სამეფომ თუ არა ქართლის ერისთავთა სახელმწიფომ.**

**შემდეგ იგი ქართლის სამეფოდ იქცა. თუმცა ამ პერიოდში ქართლი ირანის შემადგენლობაში შედიოდა... სახელწოდება „ქართლი" პირველად გვხდება მესხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერაში. ეკლესიის ერთ-ერთი მშენებელი სტეფანოზ I (ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ,"** (ჟურნ. „მნათობი". 1998. №8. ან ჟურნ. **„აია"**, 2001, №3, გვ. 101).

ქართლის პატრიკოსად არის მოხსენიებული და არა იბერიის პატრიკოსად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს წარწერა 591-სა და 600 წლებს შორის არის ამოჭრილი. ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში ქართლი პირველად იხსენება **„შუშანიკის წამებაში"**. დიდი მეცნიერი ხაზგასმით ამბობს: **„მეექვსე საუკუნეში, როდესაც ჰეგემონია ქართლელები იგდებენ ხელში, იბერები თანდათან კარგავენ თავიანთ დამოუკიდებელ სახეს. VIII საუკუნის ბოლოსათვის ბარის იბერები ითქვიფებიან გაბატონებულ ქართლელებში. იბერები საბოლოოდ კარგავენ დამოუკიდებელ სახეს".2 აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ მესხები არიან, შემდეგ იბერები, რომლებიც ქართლის სამთავროს ერისთავებით შეიცვალა, შემდეგ, IX საუკუნის ბოლოდან, ქართლის სამეფოდ იქცა. ბოლოს კი, X საუკუნის დასასრულიდან გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა".**

ცნობილია, რომ სამეგრელოს ერქვა იბერია. ნიკო მარი ამბობს: ადრე დასავლეთ საქართველოს ერქვა იბერია, ხოლო მოსახლეობას იბერები, რომელიც შემდგომში გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოზე და იქ მცხოვრებ ხალხზე. იოსებ ყიფშიძე წერს, რომ თავდაპირველად სამეგრელოს ერქვა იბერია, მეგრელებს იბერები და მეგრულ ენას – იბერული ენა. ის ამბობს: **„იყო დრო ქრისტეს დაბადებამდე, როდესაც დასავლეთის იბერები ბატონობდნენ აღმოსავლეთის ნათესავებზე და ამიტომ დაერქვა აღმოსავლეთ საქართველოს იბერია..."** (ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა..., ჟურნ. **„აია"** №9-10, გვ. 25-26. 2 იოსებ ყიფშიძე, მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა, სანქტ-პეტერბურგი, 1914; აგრეთვე მისი მეგრულ-რუსული ლექსიკონი და სხვა შრომები).

პროფ. გ. ჭელიძე ამბობს: **„მეგრელები არიან უძირძველესი ქართველები"**, რომ ზანურში (მეგრულ- ზანურში) **„ქორთ"** (ქართ) ძირისაგან დაუბრკოლებლადაა მიღებული **„ქორთუ"** იგივე ქართველი. ძველი კოლხეთის შესახებ ძვირფასი წერილობითი წყაროები შემოუნახეს ისტორიას ჰომეროსმა, ჰეროდოტემ, მიმნევრემ, ჰეკატეოს მილეტელმა, ქსენოფონტემ, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა, დიოდორე სიცილიელმა, არიანემ და სხვებმა.

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## ლადისლავ კუბალა

დაიბადა 1927 წლის 10 თებერვალს, უნგრეთში.

თამაშობდა კლუბებში **"ფერენცვაროში"** უნგრეთი, **"ბრატისლავა"** ჩეხოსლოვაკია, **"ვაშაში"** უნგრეთი, **"ბარსელონა"**, **"ესპანიოლა"** ესპანეთი, **"ციურიხი"** შვეიცარია, **"ტორონტო ფოლკონზი"**, კანადა.

უნგრული ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი პარადოქსი გახლდათ ის, რომ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში, ძლიერების ზენიტში ყოფნისას მის შემადგენლობაში არ თამაშობდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრფორვარდი ლადისლავ კუბალა. იგი ზოგჯერ თავდასხმის მარჯვენა შუა ხაზზეც თამაშობდა ხოლმე. ლადისლავ კუბალა საზღვარგარეთ წავიდა მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში, როცა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში თამაშობდა. ჩავიდა რა იტალიაში, ლადისლავ კუბალამ შექმნა ემიგრანტებისაგან დაკომპლექტებული გუნდი **"პრო პატრია"**, რომელიც ძირითადად საჩვენებელ მატჩებს აწყობდა. კუბალა პირველად **"ბარსელონამ"** შეამჩნია, სადაც მან თავისი საუკეთესო წლები გაატარა – გახდა ესპანეთის ხუთგზის ჩემპიონი და ევროპის ბაზრობათა თასის ორგზის მფლობელი. კუბალა ერთადერთი გამონაკლისი ფეხბურთელია, რომელმაც თავისი კარიერის განმავლობაში სამი სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებ გუნდებში ითამაშა. 19-ჯერ დაიცვა ესპანეთის ღირსება, 7-ჯერ ჩეხოსლოვაკიის, სამჯერ კი უნგრეთის ნაკრებში ითამაშა. კუბალამ ესპანეთის **"ბარსელონა"** 1961 წელს დასტოვა, მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი დათმო პორტუგალიის **"ბენფიკასთან"**. შემდეგ იგი საკუთარ გუნდს მთავარი მწვრთნელის ამპლუაში დაუბრუნდა და ამავდროულად ესპანეთის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებსაც წვრთნიდა, თუმცა იგი დიდად წარმატებული მწვრთნელი ვერ გახდა. მოგვიანებით მან საფეხბურთო სკოლა გახსნა და დამწყებ ფეხბურთელებს ავარჯიშებდა.

## ანჰელ ამადეო ლაბრუნა

დაიბადა 1918 წლის 28 სექტემბერს, არგენტინაში.

თამაშობდა კლუბებში **"რივერ პლეიტი"**, **"პლატენესი"** არგენტინა, **"გრინ გროსი"** ჩილე, **"რამპლა ხუნიორსი"** ურუგვაი.

ანჰელ ლაბრუნა დღესაც რჩება არა მხოლოდ არგენტინიის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში. იგი მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე შუა ხაზის თავდამსხმელი გახლდათ და **"სპორტული დღეგრძელობის"** მსოფლიო რეკორდიც აქვს დამყარებული – 29 წლის განმავლობაში იცავდა **"რივერ პლეიტის"** ღირსებას! მას მეტსახელად სამხრეთ ამერიკის სტენლი მეტიუზს უწოდებდნენ, რადგან სპორტული კარიერა დაასრულა 41 წლის ასაკში. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ხანდაზმული ლაბრუნა შვეციაში აღარ წაიყვანეს, მაგრამ როცა არგენტინის ნაკრებმა მოულოდნელად წაიფორთხილა (მატჩის მთავარი მსაჯის, კრაიტლაინის შეგინებისათვის მოედნიდან გააძევეს გუნდის კაპიტანი რატინი, რომელსაც მომდევნო ორი მატჩი უნდა გამოეტოვებინა), ანჰელ ლაბრუნა სპეციალური თვითმფრინავით ჩამოიყვანეს შვეციაში, მაგრამ ჩემპიონატის საბოლოო შედეგზე ლაბრუნას მაღალოსტატურმა თამაშმაც ვერ მოახდინა გავლენა და მსოფლიო ჩემპიონები ბრაზილიელები გახდნენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ დიდი გასაჭირის ჟამს არგენტინის ფეხბურთის მესვეურებს სწორედ ანჰელ ამადეო ლაბრუნა გაახსენდათ, უკვე მეტყველებს ამ ფეხბურთელის დიდ ავტორიტეტზე. სულ არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ლაბრუნამ ჩაატარა 36 მატჩი და 17 გოლი გაიტანა. მან **"რივერ პლეიტის"** მაისური 12 წლის ასაკში მოირგო და ცხრაჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი ამ გუნდის შემადგენლობაში. იგი შედიოდა არგენტინის იმ თავდასხმის სამეულში, რომელსაც **"ტექნიკური მანქანა"** ეწოდებოდა, რაც მეტყველებს მის მაღალ კლასზე.

## ბილი (დიქსი) დინი

დაიბადა 1907 წლის 22 იანვარს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბებში **"ტრანმერი"**, **"ევერტონი"** და **"ნოთს ქაუნთი"** (ინგლისი.)

ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის ნაკრებში მოხვედრისთანავე პირველ 5 მატჩში გაიტანს 12 გოლს, უდავოდ იმსახურებს დიდი ფეხბურთელის საპატიო წოდებას, თუნდაც ეს მომხდარიყო **"შემტევი ფეხბურთის"** ეპოქაში, როცა ხუთი თავდამსხმელი სამი დამცველის წინააღმდეგ გამოდიოდა და თითო მატჩში ოთხი-ხუთი და მეტი გოლის გატანა არავის აოცებდა. მაშინ ბილი დინი 20 წლის თმახუჭუჭა ყმაწვილი გახლდათ, რომელსაც წინ დიდი სპორტული გზა ედო. დიდ ფეხბურთში მისვლიდან ერთ წელიწადში ბილი დინმა ინგლისის რეკორდი დაამყარა – 60 გოლი გაიტანა ერთი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში. გარდა ამისა, ბილი დინმა თავი გამოიჩინა ჩემპიონატების ბოლო სამ ტურში, სადაც შედეგიანობით ერთი ბურთით გაუსწრო **"მიდლსბოროს"** სახელგანთქმულ ფორვარდს ჯორჯ კემზელს. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ბილი დინმა ჩაატარა 16 მატჩი, რომლებშიც გაიტანა 18 გოლი, ხოლო კიდევ მოწყობილ 16 საჩვენებელ და ამხანაგურ მატჩებში 47 გოლი გაიტანა, რაც დღემდე სარეკორდოდ ითვლება. ამგვარი მატჩების ჩატარება უაღრესად პოპულარული იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ტელევიზია. მის მიერ ჩატარებული მატჩების რიცხვს მიუმატეთ თასებზე გამართულ 33 შეხვედრაში გატანილი 38 გოლი და კიდევ 379 გოლი, რომელიც მან გაიტანა პრემიერ-ლიგის 438 მატჩში. ეს წარმატება დაუჯერებელია თუნდაც იმიტომ, რომ დინმა ჯერ კიდევ საფეხბურთო კარიერის დასაწყისში მიიღო თავის მძიმე ტრავმა, რაც ხშირად შეახსენებდა თავს ამ დიდებულ სპორტსმენსა და პიროვნებას.

**გიორგი ჯალაღანია**

# იუმორი

* * *

სპორტულ მაღაზიაში ცოლი სავარჯიშო სარბენ ბილიკზე დადგა და ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ამას თუ მიყიდი, თინეიჯერ გოგონასავით გავხდები!

– ძვირფასო, ეგ სარბენი ბილიკია, დროის მანქანა კი არ არის!

* * *

– რას აკეთებს ეს კაცი ლოგინის ქვეშ? – უყვირის ქმარი ცოლს.

– ლოგინის ქვეშ რას აკეთებს არ ვიცი, მარა ლოგინში სასწაულს აკეთებს, სასწაულს!..

* * *

– მიხო, ხედავ, ჩვენში ყველა პროფესიის ადამიანმა პოლიტიკოსობა რომ დაიწყო?

– რა გიკვირს, ზოგჯერ ცუდი ღვინისაგან კარგი ძმარი დგება!

* * *

სტუდენტი გოგონა მშობლებს ეუბნება:

– ფეხმძიმედ ვარ...

– მამა ვინ არის? – ეკითხება გაოგნებული მამა.

– გაგეცინებათ, მაგრამ სათვალე შინ დამრჩა, ოთახში კი ძალიან ბნელოდა და, საერთოდ, უამრავი ხალხი იყო წვეულებაზე...

* * *

– მოშე, მოდი ფარდები ვიყიდოთ, – ეუბნება ცოლი.

– რად გვინდა ფარდები, სარა?

– ხომ ხედავ, ჩვენს მოპირდაპირე მხარეს სტუდენტების საერთო საცხოვრებელია. რომ ვიხდი, შეიძლება, დამინახონ.

– ნუ გეშინია, სარა, დაგინახავენ და თვითონ გვიყიდიან ფარდებს.

# მხოლოდ ყველას გაერთიანება

გაზეთის მკითხველებს მინდა შევახსენო, რომ 2010 წლის 2 აგვისტოს შეიქმნა **„აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი,“** იგივე **„ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდი“**, რისი დამაარსებლებიც არიან: **ოლეგ ჯოლია** (თავმჯდომარე), **იასონ ფავლენიშვილი, ჯუმბერ ხუბუტია და მერაბ მაღლაკელიძე.**

დასახელებულ ფონდთან ჩამოყალიბდა **„ქართველ უხუცესთა საბჭო“**, სადაც გაერთიანებული არიან ცნობილი ადამიანები, ერის სასახელო შვილები: მეცნიერები, მწერლები, აკადემიკოსები, ექიმები... ერთი სიტყვით, საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის სამამულო ომის მონაწილეები, რომლებთანაც სალაპარაკოდ უეჭველად დასხდებიან აფხაზ უხუცესთა საბჭოს წევრები, ეს ის ხალხია, რომელნიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, როგორც აფხაზეთში, ასევე ჩვენში.

მთავრობაში 12 წინადადება (პროექტი) წარვადგინეთ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. ერთ-ერთი ასეთი პროექტია სოფელ რუხში, ენგურის პირა მოედანზე, სადაც ომის დაწყებამდე ქართველთა და აფხაზთა ძმობის მონუმენტი უნდა აღმართულიყო, მოეწყოს ლილოს ტიპის ბაზრობა, რაც ორ მოძმე ხალხს დააახლოებს. ეს დიდ ბიძგს მისცემს მოლაპარაკების დაწყებას და მომავალში ურთიერთობის აღდგენას. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების სიმრავლისა, რომლებიც აფხაზეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენაზე მუშაობენ, სურვილი დიდია, მაგრამ საქმე ვერ კეთდება, რამეთუ არ არსებობს საკოორდინატო საბჭო, რომელიც უფრო ორგანიზებულად შეუდგება საქმის კეთებას.

ივნისის თვეში ბიზნეს-აკადემიაში შედგა კონფერენცია, რათა ჩამოყალიბებულიყო აფხაზებთან ნდობის აღდგენის ფონდი. კონფერენციას ვესწრებოდით უხუცესთა საბჭოს წევრები. ჩემს გამოსვლაზე ხსენებული აკადემიის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართე, რომ აკადემიის ბაზაზე შექმნილიყო საკოორდინაციო საბჭო. იდეა ბევრმა მოიწონა, განსაკუთრებით ბატონმა ნოდარ ჭითანავამ, მაგრამ საბჭო მაინც ვერ შეიქმნა. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** წერილიც გამოვაქვეყნე, რის შემდეგ მიპატიჟებული ვიყავი ბატონ ზურაბ ლაკირბაიას ოფისში. ბატონი ზურაბი აფხაზეთთან ურთიერთობის საკითხზე დიდი ხანია მუშაობს. იდეა მასაც მოეწონა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს საკითხი ყველა შემთხვევაში მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს... წერილის დასაწყისში აღვნიშნე, რომ 12 წინადადება (პროექტი) გვაქვს-მეთქი წარდგენილი მთავრობაში, მაგრამ პასუხს ვერ ვეღირსეთ... თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ბევრჯერ მითქვამს და ვიმეორებ, აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცია, საუკუნეები ერთად გვიცხოვრია, ერთმანეთის ჭირი და ლხინი გაგვიზიარებია, ასე იყო და ასე იქნება მარადჟამს!

**მამანტი ჯოლია**

**ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე**

# ზუგდიდელი გულშემატკივრები „ბაიას“ პრეზიდენტობიდან ზაზა გოროზიას გადადგომას ითხოვენ

ზუგდიდი, საქინფორმის კორ. **ლადო ქირია** - საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ზუგდიდის **„ბაიას“** დამარცხებას საკუთარ მოედანზე სათასო მატჩში ნაკლებად ცნობილ ხარაგაულის **„ჩხერიმელასთან“** მთავარი მწვრთნელის – ელგუჯა ქომეთიანის, გადადგომა მოჰყვა.

**„უფულოდ გუნდი ვერ ითამაშებს. რამდენი ხანია, „ბაიას“ დაუფინანსებლობის გამო პრობლემები აქვს. გაუცემელია გასული წლის 8 თვის ხელფასი. მიმდინარე წლის ხელფასებს ფეხბურთელებს მინიმალური ოდენობით ზვიად სიჭინავა აძლევს. გუნდის პრეზიდენტი, გუბერნატორი ზაზა გოროზია კი გუნდს ვერ ელევა – არც სხვას აძლევს, არც თვითონ აკეთებს რამეს. ალბათ, სულით მაინც მარტვილის „მერანის“ ქომაგია, რადგან წარმოშობით მარტვილელია. გულშემატკივართა აზრით, ერთადერთი გამოსავალია, გუნდი ჩაიბაროს ზუგდიდის გამგებელმა ალექსანდრე ქობალიამ, რადგან გვჯერა, რომ ის გუნდს მოუვლის“,** – აღნიშნა ზუგდიდელ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტმა, ყოფილმა პარლამენტარმა შელიამ.

მისივე თქმით, სამარცხვინოა, რომ ზუგდიდის საფეხბურთო კლუბს ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა უეფას თამაშებზე, და ეს მაშინ, როცა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის პირველი საერთაშორისო თამაში ზუგდიდმა ჩაატარა 1990 წელს ლიტვის ნაკრებთან.

# გაზეთ "ილორის" მკითხველთა საყურადღებოდ!

**ჩვენი გაზეთის ამასწინანდელ ნომერში გამოვაქვეყნეთ ცნობა იმის თაობაზე, რომ ცნობილ ქართველ მეცნიერს, ღვაწლმოსილ პიროვნებას ბატონ მამანტი ძაძამიას შერყეული აქვს ჯანმრთელობა და საფუძვლიან მკურნალობას საჭიროებს, რომლის ფინანსური შესაძლებლობა ბატონ მამანტის არ გააჩნია.**

**რედაქციაში უამრავმა ადამიანმა დარეკა თხოვნით, რომ დახმარება გაუწიონ მამანტი ძაძამიას, რათა მან შეძლოს ოპერაციის ხარჯების ანაზღაურება.**

**ვაკმაყოფილებთ რა ამ ქველმოქმედი ადამიანების სურვილს, ვაქვეყნებთ ბატონი მამანტის საბანკო რეკვიზიტებს, რომელზეც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი რაოდენობის თანხის ჩარიცხვა:**

ქ. წალენჯიხა, სს "ლიბერთი ბანკის" წალენჯიხის ფილიალი,
მფო – 220101419,
ანგარიში №36010758 (GEL),
ძაძამია მამანტი

ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge